# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





კვირა, 17 ოქტომბერი, 2004 წელი. №241 (4970) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


◎ პრეზიდენტი

## ნავთობსადენი საქართველოს ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუმცა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია



ტელეფოტო.



აზერბაიჯანის აღსტაფის რაიონში გუშინ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის ქართული და აზერბაიჯანული მონაკვეთების შეერთების ცერემონია გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა მიხეილ სააკაშვილმა და ილჰამ ალიევმა, BP-ის აზერბაიჯანის ოფისის პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა, აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა სტივენ მანმა.

ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს, რომელმაც „ქვეყანა ქაოსიდან გამოიყვანა და ცივილიზებული განვითარების გზაზე დააყენა“.

სააკაშვილის თქმით, „ნავთობსადენი საქართველოს ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუმცა ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი კომპონენტია“.

თავის მხრივ, ილჰამ ალიევმა ხაზგასმით აღნიშნა ის პოზიტიური როლი, რომელსაც ნავთობსადენი რეგიონულ უსაფრთხოებაში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთელი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში ასრულებს.

მან ასევე აღნიშნა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით აშშ-ს და კომპანია „British Petroleum“-ს, რომელიც ოპერატორი და მშენებლობის ერთ-ერთი სპონსორია.

აზერბაიჯანში ნავთობსადენის მშენებლობა პრაქტიკულად დასრულდა. ქართული მონაკვეთი მთლიანად 2005 წლის დასაწყისში აშენდება. ვარაუდობენ, რომ ნავთობსადენი საექსპლუატაციოდ მომავალი წლის გაზაფხულზე გადაეცემა.

ნავთობსადენის მშენებლობა 3 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდა. მისი სიგრძე დაახლოებით 1800 კმ-ია, აქედან 247 კმ საქართველოს ტერიტორიაზე, 445 კმ კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 50 მილიონ ტონა ნავთობს შეადგენს.

ინტერ-პრესი.


### ნომერში წაიკითხავთ:

**მამუკა ხაზარაძე კინოქალაქის აშენებას გვპირდება...**



წაიკითხეთ ჩვენი კორესპონდენტის წერილი ქართული კინოს პრობლემებზე.

იხ. მე-3-4 გვ.

**ალექსანდრე დოხტურიშვილი: მზად ვარ, საქართველოს სახელით ვიასპარეზო**



იხ. მე-5 გვ.

**დაიწყო ახალი მსოფლიო ომი ტერორიზმთან,**



ასე მიაჩნია ცნობილ ინგლისელ მწერალს ფრედერიკ ფორსაიტს.

იხ. მე-6 გვ.

**მუცო არა მხოლოდ ლეგენდარული, რეალური სამოთხეცაა...**



იხ. მე-8 გვ.


◎ საერთაშორისო თანამეგობრობა

## მსოფლიოს მომავალი კეთილდღეობისა და უშიშროებისთვის

**გაეროს გენერალური მდივნის მიმართვა სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით**

**2004 წლის 17 ოქტომბერი**



მომავალი წლის სექტემბერში, გაეროს შტაბბინაში შეიკრიბებიან მსოფლიოს ლიდერები უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რათა განიხილონ 2000 წელს მიღებული ათასწლეულის დეკლარაციის შესრულების პროგრესი.

მაგრამ უკვე დღეს, როცა ჯერ კიდევ არის დრო ამ შეხვედრამდე, ცნობილია, რომ საჭირო იქნება დიდი ძალისხმევა დეკლარაციით გათვალისწინებული რვა მიზნის 2015 წლამდე მისაღწევად.

მიღწეულია მთელი რიგი წარმატებები და არსებობს გარკვეული იმედებიც. ამ მიზნებმა ასახვა ჰპოვა პრაქტიკულ ქმედებებში, რომლებიც განვითარებისკენაა მიმართული. არა მარტო გაეროს სისტემა (მათ შორის ბრეტონ-ვუდსის დაწესებულებები), არამედ დონორებიც, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, თვით განვითარებადი ქვეყნები შეთანხმდნენ ამ კარგად ჩამოყალიბებული და დროში გაწერილი მიზნების შესრულებაზე.

რაც შეეხება მიზნების განხორციელებისას მიღწეულ შედეგებს, არსებული მონაცემებით, განვითარებადი ქვეყნები სამ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი ჯგუფი, რომელიც მოიცავს აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის უდიდეს ნაწილს, სიღარიბის დონის განახევრებისა და მრავალი სოციალური საკითხის გადაწყვეტაში პირველობს. მეორე ჯგუფმა, რომელიც ძირითადად დასავლეთ აზიის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებისგან შედგება, ბევრი ინდივიდუალური მიზნის განხორციელებაში მიაღწია წარმატებას, როგორიცაა მაგ. საყოველთაო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა, თუმცა, მათ ნაკლები წარმატება ჰქონდათ სიღარიბის შემცირებაში. მესამე ჯგუფი, რომელიც ძირითადად აერთიანებს აფრიკის ქვეყნებს საჰარიდან სამხრეთით, აგრეთვე სხვა რეგიონების განვითარებად ქვეყნებს, ძალიან შორს არიან მიზნების მიღწევისაგან.

მიუხედავად მიღწევებისა და ნაკლოვანებების ამ შემოთავაზებული სტატისტიკური სურათისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარი საზრუნავია არა ციფრები, არამედ კონკრეტული ადამიანები: მუშა-ახალგაზრდობა, რომლებიც არ სწავლობენ სკოლებში, შიდსისა და სხვა დაავადებების მსხვერპლთა დაობლებული ბავშვები.

იხ. მე-2 გვ.

◎ კონტაქტები

## ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისთვის

საქართველოში საფრანგეთის საელჩოს კულტურის განყოფილება 18 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრამდე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისთვის თბილისში გამართავს სწავლების ორფაზიან და ორკვირიან კურსს.

სწავლებას ჩაატარებენ ქ. ლილის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლის სპეციალისტები, მირიამ აკლილი და ფილიპ ბრაშე. ეს სკოლა საფრანგეთში ჟურნალისტების მომზადების ძირითად დაწესებულებად ითვლება.

აღნიშნული სწავლების კურსი ქ. ლილის სკოლასთან ქართველი ჟურნალისტების (რადიო, პრესა, ტელევიზია) საწყისი და შემდგომი სწავლებს ოთხწლიანი თანამშრომლობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ამ აქციის ქართველი პარტნიორები, რომელთაც უკვე ისარგებლეს სწავლების კურსით, გახლავან GIPA (ბროსეს ქ.) და INTERNEWS (პ. იაშვილის ქ.).

სწავლება, რომელსაც ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის 33 ჟურნალისტი (სტუდენტი და პროფესიონალი) გაივლის, გულისხმობს ფრანგული ჟურნალისტიკის დღევანდელი ყოველდღიური ძირითადი ტექნიკის ათვისებას (GIPA), აგრეთვე საინფორმაციო გადაცემისა და ილუსტრირებული ჟურნალის ფრანგული მოდელის აწყობას (INTERNEWS),

28 ოქტომბერს ა. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი აქციის მონაწილე ყველა ჟურნალისტს არაოფიციალური აპერიტივით გაუმასპინძლდება. გთხოვთ, გვეწვიოთ.

ნოემბერ-დეკემბრისთვის დაგეგმილია ქართულ ტელევიზიაში ადგილზევე სტაჟირება.

საფრანგეთის საელჩო საქართველოში.

◎ კვირის თვალსაწიერი

## არა ვარდების, არამედ მცოცავი რევოლუცია აფხაზეთში

მთელი ოქტომბერი ისე განახევრდა, აფხაზეთის თემა გაზეთების პირველი გვერდიდან არ ჩამოსულა.

არ ჩამოსულა კი არა, ისეთი პირი უჩანს, კარგა ხანს კიდევ არ ჩამოვა.

ეს თემა, ანუ საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში, კარგა ხანია გასცდა ამ პატარა, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ფარგლებს და სრულიად რუსეთის ვნებათაღელვის საგნად იქცა.

მოსკოვმა, რომელსაც მიაჩნდა, რომ აფხაზეთი „ჯიბეში ედო“, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ყოველმხრივ თავისად დაგულებული ეს საკურორტო სამოთხე, რომელიც მან ყოვლად უნამუსოდ, ძალადურად ჩამოგლიჯა საქართველოს, შეიძლება მისი აღარ იყოს.

უფრო სწორად მისი, ალბათ, მაინც იქნება, მაგრამ არა „სულით ხორცამდე“, როგორც გეგმავდა.

მოსკოვის კაცი რაულ ხაჯიმბა, რომელიც ფიქრობს, რომ აფხაზეთს ურუსეთოდ ყოფნა არ შეუძლია, მხოლოდ რუსეთთან ერთად ყოფნაშია მისი ხსნა და პატრონს აღუთქვამდა, რომ მთელ აფხაზეთსაც ასე აფიქრებინებდა, არ ისურვა აფხაზეთმა და „აგრესიულად მორჩილ“ (გახსოვთ, საიდან მოდის ეს გამოთქმა!) პრორუს ხაჯიმბასთან შედარებით უპირატესობა მისცა პროაფხაზ ბაღაფშს, რითაც გვარიანად შეაშფოთა „მესამე რომი“.

ამიტომ არის, რომ ახლა, სანამ პრეზიდენტობის ბედი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, ანუ სანამ აფხაზეთის უზენაეს სასამართლოს არ გამოუტანია ვერდიქტი, თუ ვინ გაიმარჯვა არჩევნებში, აფხაზეთი ივსება მოსკოვის ემისრებით, იქიდან მოვლინებული სპეცრაზმებით (ლაპარაკია რამდენიმე დღის წინათ იქ 600-კაციანი შეიარაღებული რაზმის შეყვანაზე).

მოსკოვი აშკარად უჭერს მხარს დამარცხებულ კანდიდატს რაულ ხაჯიმბას. ეს მისი წესია: აუცილებლად მიემხროს უარესს, ოღონდ მისთვის სასურველს. ეს მრავალგზის დაადასტურა ევროპის, აზიისა თუ აფრიკის ქვეყნებთან მისმა ურთიერთობამ, იქ წარმოებულმა რუსულმა „ყველას მამიდურმა“ პოლიტიკამ, რის კვალდაკვალაც მრავალგან და მრავალგზის ავარდა სამოქალაქო ომის ხანძარი, საზოგადოებები ნაწილებად დაიხლიჩა და ერთმანეთს დაუპირისპირდა.

დიახ, მისი საყვარელი, აპრობირებული მეთოდია რეგიონისთვის ისეთი ლიდერის შერჩევა, რომელსაც მოსახლეობა მხარს არ უჭერს, მაგრამ მას იოლად მართავს თვითონ. ამ მეთოდს იგი ერთიდაიგივე შტამპით, უცვლელად იყენებს, თუმცა ამან, როგორც ვთქვით, არაერთგზის მიიყვანა კრახამდე.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### რუსუდან ნიკოლაძე – დიდი ნიკოს ღირსეული შვილი

გუშინ სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ცნობილი მეცნიერის, ქიმიკოსის და საზოგადო მოღვაწის რუსუდან ნიკოლაძის დაბადებიდან 120 წლისთავი აღინიშნა.

რუსუდან ნიკოლაძე ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი იყო. მან განათლება მოსკოვში მიიღო და საქართველოში პირველი ლექტორი ქალი გახდა, რომელიც ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში ასწავლიდა.

საიუბილეო ღონისძიებებს საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ნიკო ნიკოლაძის შთამომავალია.





### გერმანელთა პროექტი ფოთის გემთსაშენში

გერმანული კონცერნი MAN-ის ერთ-ერთი ქვედანაყოფი MAN Ferrostaal A.G სს „ფოთის გემთსაშენთან“ ახალი პროექტების განხორციელებას იწყებს.

ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტი ევროპული ბაზრისთვის ჩქაროსნული სამგზავრო გემების წარმოებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით საბერძნეთის წყლებში მყოფი 150 ერთეული „კომეტასა“ და „კოლხიდას“ ტიპის გემების ჩანაცვლება ისევ ფოთში წარმოებული ახალი თაობის ხომალდებით.

ამ მიზნით ორშაბათს, 18 ოქტომბერს თბილისში გერმანული კომპანიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი უდო ვოლკერი და დირექტორი ერვინ ერბსლოჰი ჩამოდიან. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან, ეკონომიკური განვითარების მინისტრთან კახა ბენდუქიძესთან და „ფოთის გემთსაშენის“ ხელმძღვანელობასთან.

ინტერ-პრესი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ЧАС

### სალომე ზურაბიშვილი:

## „დადგება დღე, როცა საქართველო გაწევრიანდება ევროკავშირში!“

*ლატვიაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თანმხლები დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილიც შედიოდა. „ჩასმა“ რამდენიმე კითხვით მიმართა სალომე ზურაბიშვილს.*

**– საქართველო ესწრაფვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას. როგორ ფიქრობთ, როდის მიიღებენ თქვენს ქვეყანას ამ ორგანიზაციებში?**

– საქართველოს ხალხი მუდამ მიიჩნევდა თავს ევროპის ნაწილად, და მას მტკიცედ სურს დაუბრუნდეს ევროპულ სახლს. ის გზა, რომელიც ბალტიის ქვეყნებმა განვლეს, ევროკავშირსა და ნატოსკენ, ჩვენთვის კარგი მაგალითია. თუ თქვენ შეძელით ამ გზის გავლა, ჩვენც აუცილებლად შევძლებთ. რაც შეეხება იმას, თუ როდის მიიღებენ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში, ეს დამოკიდებულია არა მარტო ჩვენზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ განვითარდებიან მომავალში ის სტრუქტურები, რომლებში გაწევრიანებასაც ჩვენ ვესწრაფვით, და რა ვადებში იქნებიან ისინი მზად ჩვენს მისაღებად. ეს კითხვები, ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება. მაგრამ ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს: ვთანამშრომლობთ როგორც ნატოსთან, ისე ევროკავშირთან, ვახორციელებთ ჩვენი აპარატის რეფორმირებას, ვცდილობთ რაც შეიძლება სწრაფად განვახორციელოთ რეფორმები.

**– დღეს საქართველოს არ აქვს საერთო საზღვრები ევროკავშირის არც ერთ წევრ-ქვეყანასთან, თუ არ ჩავთვლით ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატს – თურქეთს.**

იხ. მე-2 გვ.

### ინტერპანორამა

ვლადიმერ პუტინმა და ემომალი რახმანოვმა დუშანბეში ხელი მოაწერეს რამდენიმე სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას. მათ შორის არის, კერძოდ, ოქმი ტაჯიკეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზის სტატუსისა და ყოფნის პირობების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციისა და სიგელების გაცვლის შესახებ.



ბელორუსიის საპარლამენტო არჩევნებსა და საკონსტიტუციოთ რეფერენდუმს, რაც პრეზიდენტის განკარგულებით ერთდროულად გაიმართება, თითქმის 700 მეთვალყურე დაესწრება. მათგან 287 ეუთოს წარმოადგენს, 257 – დსთ-ს აღმასკომს, 148 კი დამოუკიდებელი მეთვალყურე იქნება.





ხულიგანთა ბრბომ სკანდალი ატეხა ლონდონის მეტროს ყველაზე ხალხმრავალ სადგურში, რის გამოც მისი მუშაობა ნახევარი საათით შეწყდა. ევაკუირებული მგზავრები ამ დროის მანძილზე კოკისპირულ წვიმაში ქუჩაში იდგნენ.



◉ საერთაშორისო თანამეგობრობა

# მსოფლიოს მომავალი კეთილდღეობისა და უშიშროებისთვის

(პირველი გვერდიდან)

დედები, რომლებიც დაიღუპნენ მშობიარობის დროს, საზოგადოება, რომელიც ზარალდება გარემოს დაბინძურებით. ჩვენ შეგვიძლია და ვალდებული ვართ, დავძლიოთ სიღარიბის ეს და განვითარების ხელშემშლელი სხვა გამოვლინებები.

ათი წელი გვაშორებს დასახულ ვადამდე, მიზნები კი კვლავინდებურად მიღწევადი და რეალურია. მაგრამ მათ მისაღწევად საჭიროა, განვითარებულმა ქვეყნებმა ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სხვა ქვეყნებს, აგრეთვე, ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა ვალების შემსუბუქება და სავაჭრო დათმობები, რაც გათვალისწინებული იყო საპროგრამო რვა მიზნის მიხედვით. ჩვენ ასევე გვჭირდება, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა გადახედონ განვითარების საკუთარ პროგრამებს. სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო დღეს, მოვუწოდებ ყველა ქვეყანას, შეასრულოს თავისი ვალდებულებები; მე ასევე მოვუწოდებ მსოფლიოს ლიდერებს, ყველაფერი გაკეთდეს, რათა მომავალი წლის უმაღლესი დონის შეხვედრა იქცეს მსოფლიოს მომავალი კეთილდღეობისა და უშიშროების გადამწყვეტ ფორუმად, და არა მხოლოდ შედეგების შემაჯამებელ ღონისძიებად.

**კოფი ანანი.**



◉ დეტალი

## კოფი ანანი – უკანასკნელი მორალური დასაყრდენი

გერმანულმა ჟურნალმა „დოიჩლანდ“-მა გამოაქვეყნა ცნობა, რომ **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა** 2004 წლის იანვრის ბოლოს მიიღო გერმანიის პრესის ყველაზე საპატიო ჯილდო, რომელსაც ანიჭებენ საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პიროვნებებს, რომლებმაც დიდი ზემოქმედება მოახდინეს მასმედიაზე. „სწორედ ერაყის კრიზისთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი იცქირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისკენ და კოფი ანანს უკანასკნელ ინსტანციად მიიჩნევენ“, – წერენ გერმანელი ჟურნალისტები.

**ირაკლი ჯაფარიძე.**

◉ ინფორმაცია

სასამართლო

### რატომ არის აუცილებელი რეფორმა

**საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ორგანიზებით, გუშინ რკინიგზელთა კულტურის სახლში სა-**



**სამართლო სისტემაში დაგეგმილი რეფორმის შესახებ კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კემულარია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და საქართველოში მოქმედი მოსამართლეები დაესწრნენ.**

**როგორც კოტე კემულარიამ განაცხადა, სისტემაში რეფორმის ჩატარება აუცილებელია, და მისი მიზანია პირველ რიგში სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირება და კორუფციის აღმოფხვრა. მისი თქმით, ბოლო პერიოდში სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა კვლავ არის კორუფციის ცალკეული ფაქტები.**

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, ქვეყანაში მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი ამოქმედდება, გარდა ამისა, გაერთიანდება პირველი ინსტანციის – რაიონული და საქალაქო სასამართლოები, შეიქმნება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო უზენაესი სასამართლო სააპელაციო ინსტანციად გარდაიქმნება.**

**რეფორმის პროექტის თანახმად, მოსამართლეები ვიწრო სპეციალობების მიხედვით იმუშავებენ და მხოლოდ სამოქალაქო, ან სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ. კემულარიას განცხადებით, მთავრობას დაგეგმილი აქვს ასევე მოსამართლეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სასამართლო ორგანოების კომპიუტერული უზრუნველყოფა.**

**სასამართლო სისტემის რეფორმის პროექტი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უახლოეს ხანებში წარედგინება.**

**ინტერ-პრესი.**

◉ არჩევნების წინ

# ამომრჩევლებს მისი სწამთ

**ნათქვამია, კაცი საქმით იცნობაო. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა თემურ ჭეიშვილმა სულ რაღაც 7 თვის მანძილზე იმდენი რამ გააკეთა, რომ მას გამოცდა აღარ სჭირდება. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ მოაწესრიგა „დინამოს“ სტადიონისა და „დინამოს“ საწვრთნელი ბაზის მიმდებარე ტერიტორიები. ორივეგან აღდგა შესანიშნავი პარკები, დაიდგა სკამები, გაკეთდა პავილიონები, მოიხრეშა სავალი გზები, განათდა ლამპიონებით. დიღმის მასივში კი ტექსელის აჯანყებულთა სახელობის ხეივანი მოსახლეობის დასვენებისა და გართობის ნამდვილ კერად იქცა.**

ყველა დიდუბელს ახსოვს, თუ რა დახმარება გაუწია თემურ ჭეიშვილმა ხელმოკლე ოჯახებს, გაჭირვებულ ადამიანებს. დიდუბის გამგეობას 2003 წელს განცხადებით მიმართა 4 ათასმა კაცმა, 2004 წლის იმ პერიოდში კი, ვიდრე თემურ ჭეიშვილი მუშაობდა, – 15 ათასმა კაცმა. მისი ყველას სჯეროდა და მომავალშიც დაიჯერებს. ამიტომაც 24 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმას აუცილებლად ამ ღირსეულ პიროვნებას ხალხი ერთსულოვნად მისცემს. იმედი გვაქვს, რომ ბატონი თემურის სახით საკანონმდებლო ორგანოს კიდევ ერთი საქმიანი და ავტორიტეტიანი დეპუტატი შეემატება.

თემურ ჭეიშვილი წინასაარჩევნოდ უკვე მოსახლეობაში გავიდა. იგი შეხვდა დიღმის მასივის, წერეთლის პროსპექტის, ელიავას, სამტრედიის, წყალტუბოს, მირცხულავას ქუჩების ამომრჩევლებს. შეხვედრები კონსტრუქციული და საქმიანია. სამწუხაროდ, ძველი ხელისუფლებისგან შემორჩენილია უამრავი სოციალური პრობლემა, რომელთა მოგვარება მოუწევს დღევანდელ მმართველ პარტიას, რომლის ერთ-ერთი აქტიური ლიდერი ბატონი თემურიც გახლავთ.

**პავლე გამყრელიძე,**
**სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენოსანი;**

**ვალერიან ხიზანიშვილი,**
**სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, სამამულო ომის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.**

◉ კვირის თვალსაწიერი

# არა ვარდების, არამედ მცოცავი რევოლუცია აფხაზეთში

(პირველი გვერდიდან)

აფხაზეთში ახალი უბედურებაც იკვირტება. იქ უკვე გამოჩნდნენ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც მხარს, რა თქმა უნდა, დამარცხებულ ხაჯიმბას უჭერენ (სოხუმში გამართულ ხაჯიმბას მომხრეთა მიტინგზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი კონფედერატი სოსლანიევი). როგორც ამბობენ, იქ უკვე რამდენიმე ასეული ჩრდილოკავკასიელი „სიმართლისათვის მებრძოლია“ ჩასული, ძირითადად ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკებიდან.

კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია სამხრეთ რუსეთში მოქმედი გავლენიანი არაფორმალური ორგანიზაციაა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1992-1993 წლების ომის დროს (მაშინ კონფედერაციის დამკვრელ ბატალიონს ჩეჩენ მოთარეშეთა ერთ-ერთი ამჟამინდელი მეთაური შამილ ბასაევი ხელმძღვანელობდა). წლების განმავლობაში აფხაზეთის მოსახლეობაში კონფედერაცია ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. და ახლა წაგებულმა არძინბამ გადაწყვიტა ეს ძალა გამოიყენოს, რათა ხალხს აზრი შეაცვლევინოს ბაღაფშის მიმართ. როგორც ჩანს, ეს მოსკოვის მდუმარე თანხმობით ხდება. აბა სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა?

იარაღით გაძეძგილი აფხაზეთი სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე აღმოჩნდა. აშკარად დატრიალდა დენთის სუნი.

რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რათა აფხაზეთი საბოლოოდ მოეწყვიტა საქართველოსგან, ფიცი-მტკიცის მიუხედავად რომ აღიარებს და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მან აფხაზეთთან გახსნა საზღვარი, დაურიგა რუსული პასპორტები, ამარაგებს გაზით და სხვ. ამიტომ დაჯერებული იყო, რომ აფხაზეთი სათანადოდ დაუფასებდა ამ ამაგს.

არ მოხდა ასე, რუსულმა „ვერტიკალმა“ აფხაზეთში ვერ გაამართლა.

და ვარდების სფეროს მივადექი: არა მგონია, ჩრდილოკავკასიელი კონფედერატების აფხაზეთში გამოჩენა და სამოქალაქო ომის სამართებლის პირზე სიარული რუსეთის ინტერესებში შედიოდეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირება სერიოზულად გაართულებს კავკასიაში არსებულ ისედაც ერთობ რთულ ვითარებას, რაც არამც და არამც არ უნდა აძლევდეს ხელს ჩეჩნეთის ომში ყელამდე ჩაფლულ რუსეთს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ რუსეთი, რომელიც ასე იოლად წაგებას არ შეეგუება, რაიმე ახალ სისაძაგლეს მოიფიქრებს. არის აზრი, რომ სწორედ ამ სისაძაგლის გამო დასვეს „პრემიერ-მინისტრად“ რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ნოდარ ხაშბა.

ეს კაცი რომ „ხალიფაა ერთი საათით“, აშკარაა. მოსკოვმა მშვენივრად იცის, რომ არჩევნებში სერგეი ბაღაფშმა გაიმარჯვა. და ყველაფერს აკეთებს, რათა გამარჯვებულს გამარჯვება გამოგლიჯოს ხელიდან. მაგრამ იმასაც ხედავს, რომ ეს ერთობ რთული საქმე იქნება: სასწორის პინაზე სამოქალაქო ომი დევს. მას ეჭვი არც ეპარება, რომ როგორც კი ბაღაფში პრეზიდენტის სავარძელს დაიკავებს, ამ ხაშბას უმალ მოისვრის იქიდან.

და მაინც, მოსკოვმა ხაშბას „პრემიერ-მინისტრის“ სახელო უბოძა ორიოდე დღით. რატომ?

მალე ესეც გამოჩნდება – არ შეიძლება აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ დაუსრულებლად გადადოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა, თუ ვინ გაიმარჯვა.

ვითარება ერთობ „მარტივია“: ვლადისლავ არძინბას ჯერაც ცოცხალი ხელისუფლება ახალ-ახალ გზებს ეძებს პრეზიდენტის არჩევნების ხელმეორედ გამართვისათვის (რუსეთისა და კონფედერატების დახმარებით), ოპოზიციას კი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მანამდე იბრძოლოს, სანამ მისი კანდიდატის გამარჯვებას არ აღიარებენ. 14 ოქტომბერს სოხუმის ცენტრში ბაღაფშის შტაბის მიერ მოწვეულ აფხაზი ხალხის საერთო-ეროვნულ ყრილობაზე (მას 8-10 ათასი კაცი ესწრებოდა) ხმამაღლა ითქვა, პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა სერიოზულად არის ავად, დაკისრებულ მოვალეობას ვეღარ ასრულებსო და პარლამენტს მოუწოდეს პრეზიდენტი ქმედუუნაროდ ცნოს და დაუყოვნებლივ დაიწყოს ხელისუფლებისგან მისი ჩამოშორების პროცედურა. ამ განცხადებას ხელისუფლების მომხრენი „მცოცავი გადატრიალების“ აღსრულების პირველ ნაბიჯად მიიჩნევენ.

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ბაღაფშზე დიდ იმედებს არ ამყარებს, მაგრამ მისი არჩევით მაინც კმაყოფილია, აცხადებს, ჩვენს არაკეთილისმსურველებს ამ არჩევნებმა იმედები აშკარად გაუცრუა. ახლა შეიძლება თამამად ვისაუბროთ იმაზე,



რომ მოლაპარაკებები შედეგიანი იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ერთ დღეში მოგვარდება. ამიტომაც ვთხოვ ყველას, ეიფორიაში ნუ ჩავარდებიანო.

ასე რომ, „იმედი ვიქონიოთ და ველოდოთ“...

მაშინ, როდესაც აფხაზეთში ვითარება წკიპზეა შემდგარი, ჩვენთან პარლამენტართა საყოველთაო განწმენდა დაიწყო.

გასული კვირა ისტორიას იმით შერჩება, რომ პარლამენტში საჯაროდ მოაწერეს ხელი კანონმდებელთა ეთიკის კოდექსს.

ამიერიდან: ვეღარ ნახავთ ერთმანეთისთვის „ბორჯომის“ შესხმას.

ამიერიდან: ვეღარ ნახავთ ერთმანეთისთვის საფერფლით თავის გაპობას.

ამიერიდან: ვეღარ ნახავთ ერთმანეთისთვის კასტეტით ყბის მონგრევას.

ამიერიდან: ვეღარ ნახავთ ერთმანეთისთვის თავში ჩაფარებას, სილის გაწვნას და გასალახად დარბაზიდან გარეთ გათრევას.

ამიერიდან: ვეღარ ნახავთ (ვეღარ მოისმენთ): „შე ბოზოს“, „შე ჩათლახოს“, „შე პედერასტოს“ და „შენი დედის“... ძახილს.

ამიერიდან: ვეღარ ნახავთ: სხდომებზე ძილს, ვაშლის ჭამას, კევის ღეჭვას და ქრონიკულ გამოუცხადებლობას.

ერთი სიტყვით, გაჩნდა იმედი, რომ ამიერიდან ჩვენი პარლამენტი პარლამენტს დაემსგავსება.

თუმცა ერთგვარი შეშფოთების საბაბს იძლევა ერთი გარემოება. პარლამენტის თავმჯდომარის ამ ინიციატივას 100-ზე მეტი პარლამენტარი გამოეხმაურა, მაგრამ იქ მაინც აღმოჩნდა მცირე ჯგუფი, რომელიც ეთიკის კოდექსზე ხელმოწერას არ გეგმავს (ჯერჯერობით მაინც), მაგალითად – რესპუბლიკელები და, რატომღაც, ქალბატონი ელენე თევდორაძე (დავით ბერძენიშვილი აცხადებს, იმ პარლამენტში, სადაც იგნორირებულია რეგლამენტი, ჩვენი ხელმოწერა უმრავლესობის გვერდით კატეგორიულად მიუღებელიაო).

ეთიკის კოდექსის მიღებამ ერთი უხერხული და სასაცილო ვითარებაც შექმნა. ჩვენი პარლამენტის მეტყველება სულ უფრო და უფრო ივსება უცხოური სადაგი სიტყვებით. ოღონდ ეს კია, ყოველი ასეთი ახალი სიტყვა, ტანჯვით შეიმეცნება ხოლმე. მახსოვს თავის დროზე, როგორ იტეხდნენ ჩვენი პოლიტიკოსები ენას და კისერს „კონსენსუსზე“; „პლურალიზმზე“ და ა. შ., რომლებიც დღეს ლამის „შე ჩემასავით“ მშობლიური და ძვირფასი გახდა მათთვის.

ამჯერად, „ნეპოტიზმმა“ მოჰკვეთა კბილები ჩვენს პარლამენტარებს. არადა, ჩინოსანის ქმედება კანონის ფარგლებს მიღმა, რასაც ეს უკუღმართი „ნეპოტიზმი“ ნიშნავს, ბევრისთვის ქართულად სულაც არ არის უცხო და შორეული. მაგრამ მიეჩვევიან, გაიწაფებიან და ამ სიტყვასაც გულისფიცარზე ამოიტვიფრავენ.

გასულ კვირა პრეზიდენტის ბალტიისპირული წარმატებული ვოიაჟით იყო გამორჩეული.

და კიდევ იმით, რომ საპარლამენტო უმრავლესობის მონოლითს კიდევ ერთი კენჭი გამოეცალა. მისი რიგები დატოვა გიგა ბუკიამ, ანუ ნაციონალებს გამოაკლდა და ძიძიგურდავითაშვილს შეემატა. მართალია, ერთი კაცის გასვლა ან შემოსვლა ნაციონალ-დემოკრატების ფრაქციას ვერაფერს დააკლებს და დაატყობს (თუმცა ესეც არის: ზღვა კოვზით დაილევა), მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელის მაია ნადირაძის თქმისა არ იყოს, თვალსაჩინო ხდება „სექტანტობის ტენდენცია“. საქმე ის არის, რომ ამ ახალი განდგომის მიზეზი, როგორ თუ უმრავლესობამ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნაზე თქვა უარიო, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ვარაუდობს, მიზეზი სულაც არ იყო, ოდენ საბაბი იყოო.

სხვა მხრივ კი, ეს გასული კვირა, როგორც იტყვიან, არც არაფრით უკეთესი ან უარესი არ ყოფილა სხვა კვირებთან შედარებით. ცის მანანასავით მოგვევლინებოდა ხოლმე რაიმე სკანდალი (ააშენებს ღმერთი!) და ჩაყვინთულებს დროებით გამოგვაფხიზლებდა ხოლმე!..

**ალეკო ასლანიშვილი.**

◉ ინფორმაცია

### „ზემო ლარსის“ გამშვებმა პუნქტმა მუშაობა განაახლა

**რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, მაღალმთიან ზონაში მდებარე „ზემო ლარსის“ გამშვებმა პუნქტმა მუშაობა განაახლა. როგორც „რია ნოვოსტი“ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონულ სასაზღვრო სამსახურზე დაყრდნობით იუწყება, პარასკევს დილის 7.00 საათიდან ნებადართულია საქართველოს მოქალაქეების და მათი სატრანსპორტო საშუალებების, ყაზბეგის რაიონის და ჩრდილოეთ ოსეთის მცხოვრებლების საზღვარზე გადაადგილება.**

**თუმცა, როგორც სასაზღვრო სამმართველოს პრეს-სამსახურში და-**



**აზუსტეს, ქართველ მესაზღვრეთა თქმით, მათ შესაბამისი ბრძანება ჯერჯერობით არ მიუღიათ, ამიტომ მოქალაქეთა ზოგიერთი კატეგორია რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთის უფლებით ჯერჯერობით ვერ სარგებლობს.**

**ამავე მიზეზით საქართველოში შესვლას ვერ ახერხებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სატრანზიტო კოლონის ორი ათეული ავტომანქანა, რომელსაც სომხეთში მდებარე რუსეთის ბაზებისთვის სამხედრო ტვირთი მიაქვს.**

### ლეიბორისტები წინასწარ იზღვევენ თავს

**ლეიბორისტები“ კვლავ 24 ოქტომბრის შუალედური არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებაზე საუბრობენ. პარტიის მიერ დიდუბისა და კრწანისის რაიონებში წარდგენილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა – პაატა ჯიბლაძემ და სოსო შატბერაშვილმა ხელისუფლება ამჯერად საარჩევნო სიების გაყალბებაში დაადანაშაულეს.**

**გუშინ პარტიის ოფისში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ჯიბლაძემ და შატბერაშვილმა ორივე რაიონის ამომრჩეველთა სიები წარმოადგინეს, რომელშიც მათი მტკიცებით, არაერთი „მკვდარი სული“, არასრულწლოვანი და თბილისში არარეგისტრირებული პირია დაფიქსირებული.**

**გარდა სიების გაყალბებისა, „ლეიბორისტები“ ხელისუფლებას საარჩევნო კომისიებში მათი წევრებისა და აქტივისტების გადა-**



**ბირება-მოსყიდვის მცდელობაშიც სდებენ ბრალს. მოსყიდვის მცდელობის შესახებ განცხადება დიდუბის რაიონის საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა გივი მდინარაძემ გააკეთა. მას თურმე ტელეფონით ანონიმური პირი დაუკავშირდა, რომელმაც გადმობირების სანაცვლოდ 300 ლარის ოდენობის ფულადი ანაზღაურება და მობილური ტელეფონი შესთავაზა.**

**პარტიის წევრები არჩევნებზე ექსცესებს არ გამორიცხავენ, რაზეც პასუხისმგებლობას მთლიანად ხელისუფლებას აკისრებენ.**

**ინტერ-პრესი.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სალომე ზურაბიშვილი: „დადგება დღე, როცა საქართველო გაწევრიანდება ევროკავშირში!“

(პირველი გვერდიდან)

– როცა ბულგარეთი და რუმინეთი შევლენ ევროკავშირში, შავი ზღვის მხრიდან ჩვენ უფრო დავუახლოვდებით ევროკავშირს – ჩვენ დაგვაკავშირებს საზღვაო საზღვარი. ბუნებრივია, ჩვენ გვსურს, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს თურქეთიც, რომელსაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორად მივიჩნევთ. თუმცა, დასაშვებია, რომ საქართველო თურქეთზე უფრო ადრეც კი გაწევრიანდეს ევროკავშირში. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და პრობლემებიც პატარა გვაქვს. თურქეთი კი დიდი სახელმწიფოა და მას სერიოზული პრობლემები აქვს.

**– ამ ბოლო ხანებში, მნიშვნელოვნად გაუარესდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

– საგარეო პოლიტიკაში საქართველოს დასახული აქვს სამი ძირითადი პრიორიტეტი: ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში, პარტნიორობა და ურთიერთობის განვითარება შეერთებულ შტატებთან, ურთიერთობის გაუმჯობესება რუსეთთან.

სამწუხაროდ, ეს ბოლო პუნქტი ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა. ჩვენ ვცადეთ დაგვეწყო მოსკოვთან დიალოგი, მაგრამ რუსეთის მხარე ამას გაგებით არ მოკიდებია. ჩვენი პოზიცია მკაფიო და კონკრეტულია: გვსურს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება. მაგრამ, სამწუხაროდ, მთლად გარკვეული არ არის რუსი პოლიტიკოსების პოზიცია. ერთი მხრივ, რუსეთი თითქოს, მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა, მაგრამ ამავე დროს კავშირი აქვს დამყარებული აფხაზ სეპარატისტებთან. არის შემთხვევები, როცა სერიოზული რუსი ბიზნესმენები ჩამოდიან საქართველოში, მაგრამ ამის შემდეგ, რუსეთი კეტავს საზღვრებს და თავის ტერიტორიაზე არ უშვებს ქართველ მეწარმეებს.

ვფიქრობ, რომ შექმნილი სიტუაციის განმუხტვის მიზნით, დიალოგის გარდა, სხვა ალტერნატივა არ გვაქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა ვიმეგობროთ, და ვფიქრობ, რომ რუსეთსაც არ აქვს სხვა გზა. მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის გამო, ჩვენ უარს არ ვიტყვით მთავარ პრიორიტეტებზე.

შესაძლოა, რუსეთს ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია თავისი პოზიციები და ვერ შეუმუშავებია სამოქმედო სტრატეგია. მაგრამ იმისთვის, რომ მოსკოვმა მოაგვაროს თავისი პრობლემები ჩრდილოეთ კავკასიაში, მას სჭირდება პარტნიორი.

უნდა დაიწყოს ახალი ფაზა, თუ ჩვენ გვსურს დავამყაროთ ნორმალური ურთიერთობა, უმთავრესი მნიშვნელობა არ უნდა ენიჭებოდეს საქართველოში რუსეთის ბაზების განლაგების საკითხს და უნდა შეწყდეს ეკონომიკური ზემოქმედება. ამ მეთოდებს რუსეთი მიმართავდა XIX-XX საუკუნეებში. მაგრამ დადგა ახალი ხანა და ჩვენ უნდა ვეძებოთ ურთიერთობის ახალი ფორმები.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ რუსეთი მხარს უჭერს აფხაზ სეპარატისტებს. და ეს ხდება მაშინ, როცა რუსეთი საყვედურობს საქართველოს, ჩეჩენი**



**ტერორისტების დახმარების გამო.**

– ჩვენ არასდროს არ ვუჭერდით მხარს ჩეჩენ სეპარატისტებს და ეს არც მოხდება. ჩვენ, უბრალოდ, მივიღეთ ჩეჩნეთიდან ლტოლვილები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო, მივიღეთ ყველა ზომა იმისთვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ტერორისტული აქტები. ამ საკითხში ჩვენ ვთანამშრომლობთ ამერიკელებთან, ეუთოსთან. რუსეთის მხარესთან ერთად განხორციელდა ერთობლივი, ანტიტერორისტული ოპერაციები. საბოლოო ანგარიშით, თვით რუსეთმაც აღიარა, რომ არანაირი პრობლემა არ ყოფილა საზღვარზე. ხოლო თუ იყო საქართველოში ჩეჩენ მოთარეშეებთან დაკავშირებული რაღაც მომენტები, უნდა ითქვას, რომ ამ ადამიანებმა თვითონ ისარგებლეს ჩვენი ტერიტორიით, მაგრამ ჩვენ მათთვის ამის შესაძლებლობა არ მიგვიცია. და იმ დროს, როცა ჩეჩნეთში ომი იყო გაჩაღებული, საქართველოს ერთხელაც არ დაუჭერია მხარი ჩეჩენი სეპარატისტებისთვის.

სამაგიეროდ მაშინ, როცა ჩვენ წარმოგვექმნება სეპარატისტებთან დაკავშირებული პრობლემები, რუსეთი ყოველმხრივ უჭერს მათ მხარს: ეხმარება პასპორტების გაფორმებაში, ფინანსებით, აწვდის იარაღს (საინტერესო დეტალი, როცა თარჯიმანმა, რომელიც ჩვენ გვეხმარებოდა მინისტრთან საუბრის დროს, სიტყვა „სეპარატისტები“ თარგმნა, როგორც „ტერორისტები“, ქალბატონმა ზურაბიშვილმა მაშინვე გაუსწორა მას, და აღნიშნა, რომ საქმე ეხება სწორედ სეპარატისტებს. – **ავტორის შენიშვნა**.).

**– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს სურს განახორციელოს ეროვნულ უმცირესობათა სკოლის რეფორმის ლატვიური ვარიანტი, ეს მართლაც ასეა?**

– არა. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეუძლიათ ისწავლონ მშობლიურ ენაზე. თუმცა, ამ სკოლებში გაიზარდა ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა. ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტური დასახლების ადგილებში, მაგალითად, იქ, სადაც სომხები ცხოვრობენ, სომხური სკოლები უფრო მეტია, ვიდრე ქართული. ასეთივე სიტუაციაა აზერბაიჯანულ სკოლებთან დაკავშირებითაც. იმ ადგილებში კი, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ, ქართული სკოლები საერთოდ არ არის. არავინ არ ატანს ვინმეს ძალას, ისწავლოს ქართულ ენაზე.

ცნობა

**სალომე ზურაბიშვილი 52 წლისაა. იგი ქართველი ემიგრანტების ქალიშვილია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნამდე ზურაბიშვილს ეკავა საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტი. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. წარმოადგენდა საფრანგეთს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნატოსა და ევროკავშირში.**

**ვადიმ როდიონოვი,**
**დანილ სმირნოვი,**
**„ჩას“ (რიგა), 15 ოქტომბერი.**

⊙ რაც ნაკლებად ცნობილია

# გრიგოლ ორბელიანის ერთი „ვარიანტი“

„ძველთ უძველესი არს ესე წესი: რაც ვერ ჰქმნან მამათ, ისა ჰქმნან შვილთა!“

გრ. ორბელიანი

**გრიგოლ ორბელიანი, გასული საუკუნის 60-იან წლებში კავკასიის სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, პირველი ქართველი მოღვაწე იყო, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოსა და კავკასიის სატელეგრაფო ხაზების მშენებლობას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მხარის ეკონომიკური აღორძინებისთვის, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისა და საქართველო-რუსეთს შორის ინფორმაციათა სწრაფი გაცვლისთვის.**

1862 წლის 17 სექტემბერს პეტერბურგიდან თბილისში გრ. ორბელიანს წერილი გამოუგზავნა რუსეთის გზათა მიმოსვლისა და სახალხო ნაგებობათა მთავარი სამმართველოს უფროსმა კ. ჩევკინმა.

„მოწყალეო ხელმწიფევ, თავადო გრიგოლ დიმიტრის ძევ! ჩემდამი დაქვემდებარებულ სამმართველოსთვის საჭიროა ტელეგრაფების სრული მონაცემები, რისთვისაც მაქვს პატივი მოგმართოთ თქვენს ბრწყინვალებას უმორჩილესი თხოვნით, გამოგვიგზავნოთ იმ სატელეგრაფო ხაზებისა და სადგურების რუკა, რომლებიც მოეწყო და მოეწყობა კავკასიასა და ამიერკავკასიაში. მათ შორის, სადაც შეიძლება, მავთულებისა და აპარატების რაოდენობის აღნიშვნით. ირწმუნეთ ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემა და ერთგულება. კ. ჩევკინი“.

გრ. ორბელიანმა საპასუხო წერილს თან დაურთო კავკასიასა და ამიერკავკასიაში გაყვანილი სატელეგრაფო ხაზების რუკა.

ვინ იყო კ. ჩევკინი, რომელმაც ეს წერილი გამოუგზავნა გრ. ორბელიანს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მის პირად ინიციატივას სატელეგრაფო კავშირების მოწყობის საქმეში?

სანქტ-პეტერბურგში, კავშირგაბმულობის ცენტრალურ მუზეუმში, აღმოჩნდა დოკუმენტები აღნიშნული პიროვნების შესახებ.



კონსტანტინე ვლადიმერის ძე ჩევკინმა (1803-1876) სახელმწიფო სამსახურში მუშაობა 1830 წლიდან დაიწყო პარიზში, რუსეთის საელჩოში. ერთი წლის შემდეგ მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1838 წელს კ. ჩევკინი რუსეთის ინჟინერთა კორპუსის შტაბის უფროსია, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგ-მოსკოვის რკინიგზის მშენებლობაში (1842 წ.), როგორც სამშენებლო კომისიის წევრმა. 1843 წელს მას გენერალ-ლეიტენანტის წოდებას ანიჭებენ, ხოლო 1855 წლიდან – რუსეთის სამხედრო საბჭოს წევრად ირჩევენ. ამავე წელს იგი დაინიშნა გზათა მიმოსვლისა და სახალხო ნაგებობების მთავარი სამმართველოს უფროსად, ანუ როგორც ხშირად იწოდებოდა – სამმართველოს „მთავარსარდლად“.

1865 წელს კ. ჩევკინს გენერალ-ადიუტანტის წოდება მიენიჭა. 1862 წლიდან სახელმწიფოს საბჭოს წევრია, ხოლო 1863 წლიდან – სახელმწიფო ეკონომიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კ. ჩევკინმა, როგორც სახელმწიფო ეკონომიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, 1867 წელს შეადგინა თბილისი-ფოთის რკინიგზის მშენებლობის კონცესიის პროექტი, რომელიც პეტერბურგში, კავკასიის კომიტეტში მოიწონეს.

როცა გრ. ორბელიანმა საპასუხო წერილი გაუგზავნა პეტერბურგში კ. ჩევკინს, მან თხოვნითაც მიმართა გამოეგზავნა თბილისში რუსეთის სატელეგრაფო ქსელის რუკა.

გრ. ორბელიანის ამ თხოვნას გარკვეული მოსაზრება ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ ამ დროისთვის უკვე მოქმედებდა გრ. ორბელიანის თაოსნობით აგებული სატელეგრაფო კავშირი თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის და მიმდინარეობდა ტელეგრაფის გაყვანა ვლადიკავკაზიდან სტავროპოლამდე. გრ. ორბელიანს უკვე აფიქრებდა, თუ რა მიმართულებით უნდა მომხდარიყო სტავროპოლიდან ტელეგრაფის ხაზის გაყვანა, რათა თბილისის სატელეგრაფო სადგური უშუალოდ დაეკავშირებინათ მოსკოვთან და პეტერბურგთან. თუკი თბილისში სპეციალისტებს ექნებოდათ რუსეთის სატელეგრაფო კავშირების მთლიანი რუკა, მაშინ უკვე შეიძლებოდა საქართველოს და რუსეთის დამაკავშირებელი ხაზის მიმართულების დადგენა, ე. ი. ყველაზე უფრო მოხერხებული ვარიანტის შერჩევა.

როცა გრ. ორბელიანმა თავისი თხოვნის თანახმად პეტერბურგიდან რუსეთის სატელეგრაფო კავშირების რუკა მიიღო, მან და ადგილობრივმა სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს ამ რუკაში ნაჩვენებ წყვეტილ ხაზს სტავროპოლსა და ნოვოჩერკასკს შორის. ეს იმას ნიშნავდა, რომ პეტერბურგში გათვალისწინებული ჰქონდათ, კავკასიის სატელეფონო ქსელის რუსეთის ქსელთან შეერთება მომხდარიყო ნოვოჩერკასკის ტელეგრაფის სადგურის გზით, რომელსაც უკვე ჰქონდა კავშირი მოსკოვთან და პეტერბურგთან. რასაკვირველია, თბილისში ცხადი გახდა, რომ სტავროპოლ-ნოვოჩერკასკის ვარიანტი სავსებით გამართლებული იყო. ამ მხრივ ეს იყო უმოკლესი მანძილი კავკასიის და რუსეთის სატელეგრაფო ქსელების შეერთებისთვის.

მაგრამ თბილისში ამ დროისთვის სხვა ვარიანტიც დაიბადა. გრ. ორბელიანის „ვარიანტი“. ეს იყო წინადადება, რათა სტავროპოლიდან დეპეშები გაეცვალათ ქერჩთან (ეკატერინოდარსა და ტამანზე გავლით), საიდანაც საიმედო კავშირი მოქმედებდა არა მარტო მოსკოვთან და პეტერბურგთან, არამედ ოდესასთანაც. 1863 წლის 7 იანვარს გრ. ორბელიანმა მეორე წერილი გაუგზავნა კ. ჩევკინს, რომელშიც აღნიშნავდა, რომ სტავროპოლსა და ნოვოჩერკასკთან შეერთების გარდა მიზანშეწონილად მიაჩნდა ტელეგრაფის ხაზი სტავროპოლიდან ქერჩამდეც მიეყვანათ, რაც ხელს შეუწყობდა ვაჭრობას და სტავროპოლში განლაგებულ ყუბანის ოლქის ჯარების შტაბის განუწყვეტელ სატელეგრაფო კავშირს ეკატერინოდართან და, საერთოდ, შავი ზღვის სანაპიროებთან. ამას გარკვეული სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ქერჩის მიმართულებით ტელეგრაფის ხაზი უფრო გრძელი აღმოჩნდებოდა, ვიდრე ნოვოჩერკასკისკენ, სამაგიეროდ, მისი მშენებლობა იაფი დაჯდებოდა, რადგან ბოძების დამზადება უშუალოდ ტრასაზე მოხდებოდა, მაშინ როცა სტავროპოლ-ნოვოჩერკასკის საფოსტო გზა ისეთ ადგილებში გადიოდა, სადაც ტყე არ იყო და ბოძების ტრანსპორტირება როსტოვიდან უნდა მომხდარიყო.

ამ წერილიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი, როგორც გონიერმა ადმინისტრატორმა და სამხედრო პირმა. ისევე, როგორც საქართველოსა და კავკასიაში ტელეგრაფის სხვა ხაზების მშენებლობის დროს, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ცნობების სწრაფად გადაცემა სასიკეთო გავლენას მოახდენდა სავაჭრო ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე.

გრ. ორბელიანის სტავროპოლ-ქერჩის „ვარიანტი“ მით უფრო საყურადღებოა, რომ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოჩენილი რუსეთის ტელეგრაფების რუკა, რომელიც მას გამოუგზავნეს, კიდევ ერთ სხვა ძალზე მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა თბილის-სტავროპოლ-ქერჩის ტელეგრაფს. საქმე ის არის, რომ თბილის-სტავროპოლ-ნოვოჩერკასკის ტელეგრაფის ხაზი მოსკოვსა და პეტერბურგისკენ უმეტეს მანძილზე გრძელდებოდა მხოლოდ ერთი ტელეგრაფის ხაზით, მაშინ, როცა ყირიმის ნახევარკუნძული მოსკოვთან შეერთებული იყო სამი ხაზით, ხოლო აქედან პეტერბურგისაკენ უმეტეს მანძილზე ოთხი ტელეგრაფის ხაზი მოდიოდა. ასე რომ, თბილისის ქერჩთან ტელეგრაფით დაკავშირება საქართველოს უფრო საიმედო კავშირს უქმნიდა მოსკოვთან და პეტერბურგთან (ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდისათვის).

თბილისიდან მიღებული დეპეშები ყირიმის ნახევარკუნძულიდან მოსკოვში შეეძლოთ გადაეცათ ასეთი მიმართულებით: პერეკოპი-მარიუპოლი-მოსკოვი, პერეკოპი-ხერსონი-ნიკოლაევი-ხარკოვი-მოსკოვი, პერეკოპი-ნიკოლაევი-ოდესა-კიევი-მოსკოვი.

გარდა იმისა, რომ შესაძლებელი იყო პეტერბურგში ყირიმიდან დეპეშების გადაცემა მოსკოვზე გავლით (მოსკოვსა და პეტერბურგს შორის ოთხი ტელეგრაფის ხაზი მოქმედებდა), შესაძლებელი ხდებოდა დეპეშების გაცვლა კიდევ ოთხი შემოვლითი ხაზით – კიევსა და ფსკოვზე გავლით.

სავსებით ცხადია, რომ გრ. ორბელიანის „ვარიანტით“ თბილისიდან დეპეშები გაცილებით სწრაფად და საიმედოდ გადაეცემოდა რუსეთის ტელეგრაფში ჩართულ სადგურებს და განსაკუთრებით პეტერბურგის სატელეფონო სადგურს.

აღნიშნულ საკითხს გრ. ორბელიანი პეტერბურგში გაგზავნილ თავის წერილში არ შეეხო. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, იგი სწორედ ამ მდგომარეობას ითვალისწინებდა, ვინაიდან საბოლოო მიზანი მაინც კავკასიის მოსკოვთან და პეტერბურგთან საიმედო კავშირი იყო.

საფიქრებელია ისიც, რომ გარდა ამ ოფიციალური თვალსაზრისისა, რომლებიც პეტერბურგში კ. ჩევკინს გაუგზავნა, გრ. ორბელიანის წინადადება სტავროპოლიდან ქერჩზე გავლით თბილისის ტელეგრაფის რუსეთის სადგურებთან შეერთების თაობაზე ნაკარნახევი იყო იმ მოსაზრებითაც, რომ ასეთი ტრასით საქართველოსა და კავკასიის ტელეგრაფის სადგურები უფრო ახლოს აღმოჩნდებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სატელეფონო სადგურებთან და მკვეთრად შემცირდებოდა საქართველოდან ევროპაში გადასაცემი დეპეშების გზა.

ყირიმის ნახევარკუნძულთან სტავროპოლის ტელეგრაფით შეერთება სასარგებლო იყო იმითაც, რომ ასეთი ხაზი ძალზე გააადვილებდა ფოთსა და ოდესას შორის დეპეშების გაცვლას. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ოდესა უდიდესი სავაჭრო ნავსადგური იყო შავ ზღვაზე, ხოლო ფოთსა და ოდესას შორის – გემების გაცხოველებული მიმოსვლა, ასეთი კავშირი ძალზე ეფექტური აღმოჩნდებოდა.

პეტერბურგში გზათა მიმოსვლისა და სახალხო ნაგებობათა მთავარ სამმართველოს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია გრ. ორბელიანის წინადადებისათვის და მთავარი სამმართველოს უფროსმა კ. ჩევკინმა პასუხი გამოგზავნა კავკასიაში მეფისნაცვლის სახელზე. მთავარი სამმართველო იტყობინებოდა, რომ გრ. ორბელიანის წერილის მიღებამდე უკვე დადებული იყო კონტრაქტი ნოვოჩერკასკ-სტავროპოლის ტელეგრაფის ხაზის მშენებლობაზე. ჩატარებული იყო გარკვეული სამუშაოები და ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდებოდა. რაც შეეხება გრ. ორბელიანის წინადადებას სტავროპოლსა და ქერჩს შორის ტელეგრაფის ხაზის გაყვანაზე, იგი სასარგებლოდ იქნა მიჩნეული. როგორც პეტერბურგიდან იტყობინებოდნენ, გრ. ორბელიანის „ვარიანტის“ განხორციელება დაკავშირებული იყო ერთ სირთულესთან: ქერჩის სრუტეში უნდა ჩადებულიყო წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელი, რომელიც, შესაძლებელია, შეფერხებით იმუშავებდა, რადგან იმ დროისათვის რუსეთში ჯერ კიდევ არ ამზადებდნენ საიმედოდ წყალქვეშა კაბელებს.

ცხადია, გრ. ორბელიანი და თბილისელი სპეციალისტები ყურადღებას მიაქცევდნენ წყალქვეშა კაბელის საკითხის გადაწყვეტას, და ასეც მოხდა. 1865 წელს თბილისში ჩამოვიდა ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი და გამომგონებელი ვერნერ სიმენსი, რომლის მიერ დაარსებული ფირმა „სიმენსი“ გრ. ორბელიანთან დადებული კონტრაქტის თანახმად აწარმოებდა ტელეგრაფის ხაზების სამუშაოებს საქართველოსა და კავკასიაში. ეტყობა, სწორედ მასთან მოლაპარაკების შედეგად 1866 წლის დასაწყისში ვ. სიმენსის ძმამ ვილჰელმ სიმენსმა, რომელსაც საზღვაო კაბელების დიდი ქარხანა ჰქონდა ლონდონში, წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელი გამოგზავნა ქერჩის სრუტეში ჩასადებად.

1866 წლის 15 სექტემბერს ეს კაბელი სრუტეში ჩაიდო და სწორედ მაშინ დაიწყეს დეპეშებმა „მოგზაურობა“ ტრასით: თბილისი-ვლადიკავკაზი-სტავროპოლი-ქერჩი, ხოლო აქედან ოდესის, მოსკოვისა და პეტერბურგის მიმართულებით.

ასე, ჯერ 1863 წელს საქართველოსა და კავკასიის სატელეგრაფო ქსელი დაუკავშირდა რუსეთის სატელეგრაფო ქსელს სტავროპოლ-ნოვოჩერკასკის, ხოლო 1866 წელს სტავროპოლ-ქერჩის ტელეგრაფის ხაზებით. ამ მოლაპარაკებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოსა და რუსეთის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებაში.

**და ყოველივე ეს განუხრელად იყო დაკავშირებული ჩვენი სახელოვანი პოეტის გრ. ორბელიანის სახელთან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველო-რუსეთს შორის სატელეგრაფო კავშირების დამყარებას ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფირმა „სიმენსის“ მეშვეობით 1862-1863 წლებში თბილისიდან (ვლადიკავკაზზე გავლით) სატელეგრაფო ხაზი აიგო სტავროპოლამდე.**

**ანდრე კარბელაშვილი.**

⊙ დასკვნა შენც გამოიტანე

# წუთისოფელი მართლაც ჭრელია

## ამის მომპარავს რა ვუყოთ?

**ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კონექტიკუტის შტატში გამოიგონეს ციცქნა მოწყობილობა, რომელიც არამცთუ ხელჩანთაში, არამედ გულის ჯიბეშიც კი ეტევა. იგი პატრონს წამდაუწუმ დაბალი ხმით აფრთხილებს: – „მე პატიოსანი ვარ, არ უნდა მოვიპარო არაფერი, თორემ ციხეში მოვხვდები“. სიტყვები მეორდება მუსიკის თანხლებით და მოქმედებს ადამიანთა თვითშეგნებაზე. რატომ გახდა ამ მოწყობილობის გამოგონება აუცილებელი?**



ამჟამად მთელს მსოფლიოში მძვინვარებს ქურდობა სავაჭრო ობიექტებში. დანაკარგები უზარმაზარია. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად მაღაზიებიდან უკვალოდ ქრება დაახლოებით 30 მილიარდი დოლარის საქონელი. შემდეგ მოდიან ნორვეგიელები, ბერძნები, ავსტრიელები, პორტუგალიელები და ესპანელები. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მხრივ მოკრძალებულად გამოიყურებიან რუსები, იქ იკარგება ფულადი ბრუნვის მხოლოდ 1 პროცენტი.

საინტერესოა, ყველაზე მეტად რა იკარგება სუპერმარკეტებში? ესაა – პრეზერვატივები, ბიკინები, უსაფრთხო სამართებლები, ქალის ტამპონები, მობილურის აქსესუარები, ჰიგიენური პომადები, სპირტიანი სასმელები... სასწაული გაგიგონიათ? მსოფლიოს უამრავი ქვეყნის მაღაზიათა უმრავლესობაში პრეზერვატივებს უფასოდ, კლიენტის მოსაზიდად არიგებენ და ყველაზე მეტად მაინც მას იპარავენ (რამ აამჟუვნა ეს ხალხი).

თუმცა ჯოხის გადატეხა მარტოოდენ ქურდებზე არ შეიძლება. საცალო ვაჭრობის ასოციაციის მონაცემებით, მაღაზიებში მოსაპარად წინასწარი განზრახვით მიდის კლიენტთა მხოლოდ 10 პროცენტი; „მომპარავთა“ 15 პროცენტი ავადმყოფები არიან, 20 პროცენტი კი – გულმავიწყები (ისინი ორჯერ აჭარბებენ ქურდებს). ვისზე მოდის დანაკარგის 65 პროცენტი? გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: – 60 პროცენტი თვით მაღაზიათა გამყიდველებზე, 5 პროცენტი კი – მომმარაგებელ მუშაკებზე.

ქურდბაცაცებს ვეღარ აჩერებს ვეღარც დაცვის ტექნიკური აღჭურვილობა, ვეღარც პოლიცია. ამიტომ აქაიქ თავად მონახეს გამოსავალი. პოლონეთში, ქალაქ შჩეცინში, მაგალითად, მაღაზიათა მფლობელები შეეკრნენ მაფიას. ახლახან იქ ერთ-ერთ მაღაზიაში ახალგაზრდა ბაცაცა დააკავეს და თავისებურადაც გაასამართლეს. იგი ერთიანად გააშიშვლეს, კისერზე წარწერა ჩამოჰკიდეს – „მე ქურდი ვარ“ და ამავე მაღაზიის წინ ორი საათი დააყუდეს. „მოსამართლე“ გასრიალებულ „მერსედესში“ იჯდა და პროცესს იქიდან უთვალთვალებდა, ახლოს კი ვერავინ ეკარებოდა.

რა მეთოდს აირჩევს საქართველო ან ამგვარი ქურდობის აღსაკვეთად ან ამგვარი ბაცაცების დასასჯელად?

## ჩვენი გოგონები მანიაკს ვაბდღვნევინოთ?

**თვეზე მეტია, თბილისში პანიკაა, – ვაკე-საბურთალოს რაიონში მანიაკი დაძრწის, ახალგაზრდა გოგონებს ემტერება, სამი უკვე იმსხვერპლაო, ერთს, მაგალითად, მეგობრების თვალწინ ყელი გამოსჭრაო (თუმცა, მაინც გადარჩაო)... ამ ბოლო ფაქტს საავადმყოფოშიც ადასტურებენ, მაგრამ სამართალდამცავები მაინც ომახიანად აცხადებენ, – ყველაფერი ტყუილია, არავითარი მანიაკი ქალაქში არ დაიარებაო.**

რატომ ასე დაჟინებითი უარყოფა? როცა ორი და სამი ფაქტი ზედიზედ მოხდება, სიფრთხილე არ უნდა გამოვიჩინოთ? ქუჩა-ქუჩა ისევ პირდაღებულებმა ვიაროთ? არა სჯობია,



ვიაჩესლავ კოლესნიკოვი.

ხალხს ვუთხრათ, – მაინც ფხიზლად იყავით, უდროო დროს, უადგილო ადგილას ნუ მიეტანებითო? რა, ჩვენთან არ მომხდარა ისეთი მკვლელობები, რომლებიც უფრო მანიაკურს მიეკუთვნება? რა ვუყოთ რუსთავს, სადაც მოსახლეობა დაზაფრა სამი პატარა გოგონას გაუგონარმა მკვლელობამ?

ეს მანიაკობა მთელს მსოფლიოშია ჭირივით მოდებული. გაივსო რუსეთი ასეთი არამზადებით. დღე არ გავა, შიგ მოსკოვში, ვიღაც არ მოგუდონ, ვიღაც არ მოკლან, – თინეიჯერები, მოსწავლეები, ახალაკოკრებული გოგონები. მოსკოვიდან თბილისამდე კი ერთი ნაბიჯია. ისე მოჯლიგინებს იქიდან დანაშაული, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ...

1 ივნისს კუტუზოვის პროსპექტზე გაგუდეს 21 წლის მარინა რისუხინა; 6 ივნისს პრედჩეტენსკის ქუჩაზე მოახრჩვეს 26 წლის ნატალია ზინოვიევა. მოსკოველ სამართალდამცავებს ეგონათ, რომ კვლავ მოტრიალდა 2003 წელს გაქცეული მანიაკი, რომელმაც 15 გოგონას სიცოცხლე შეიწირა. დაფაცურდნენ და, მიაგნეს 30 წლის ვინმე ვიაჩესლავ კოლესნიკოვს, პირწავარდნილ მანიაკს, რომელსაც ამ ორი გოგონას გარდა ჯერ კიდევ 2003 წლის 8 ივლისს მოუხრჩვია 25 წლის ალექსანდრა ჩერნიშოვა.

ღმერთმა დაგვიფაროს მსგავსი ტიპებისგან, მაგრამ რითი ვართ დაზღვეულები ჩვენ? რა, საამისო სიმპტომები არა ჩანს? ზუსტად წლეულს, ზუსტად ივნისში საგარეჯოს რაიონში 7 წლის თამარი ჯერ გააუპატიურეს, მერე კი გაგუდეს და სადღაც, გადაგდებულ, ჯართში ჩასაბარებელ მაცივარში ჩატენეს.

ასე რომ, მაინც ფრთხილად. გულის დაარხეინების დრო ჯერ არ დამდგარა!

## შვილები ვის მივუყაროთ?

**ბრიტანელი სოციოლოგების დასკვნით, ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტს რადიკალური ცვლილებები ელის. ამერიკასა და ევროპაში ყოველწლიურად მატულობს დანგრეული ოჯახების რაოდენობრივი მაჩვენებელი. გამოკითხული გათხოვილი ქალების 52 პროცენტი აღიარებს, რომ თავიდან თუ ექნებოდა არჩევანის საშუალება, სულ სხვა მამაკაცს გაჰყვებოდა ცოლად. ამერიკაში ყოველი მეორე ოჯახი ინგრევა. იმდენი საქმეა გასარჩევი, რომ განქორწინების პროცედურის ჩატარებას კომპიუტერულ მოსამართლეებსაც კი ავალებენ.**

დასავლელი მეცნიერები ოჯახურ ცხოვრებას ოთხ ეტაპად ყოფენ. პირველი ეტაპი – 18-დან 28 წლამდე სიყვარულის, აქტიური სექსისა და ბავშვების გაჩენის პერიოდია. მეორე ეტაპზე – 28-დან 40 წლამდე ადამიანებს სექსზე მეტად კარიერა აინტერესებთ. მესამე ეტაპის დროს – 40-დან 55 წლამდე ადამიანი მყუდრო ოჯახური ცხოვრებისკენ მიისწრაფვის და კარიერაც და სექსიც უკანა პლანზე გადადის. მეოთხე ეტაპი – შვილიშვილებთან ყოფნის სიხარულს უკავშირდება და დანარჩენი ყველაფერი უინტერესო ხდება. აქედან გამომდინარე, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქალმა და მამაკაცმა ყოველი ახალი ეტაპის წინ ახალი ქორწინება უნდა გააფორმონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ავტომატურად ჩაითვლებიან გაყრილებად.



თუ ამ „იდეას“ მივყვებით, ჩვენ ეტაპ და ეტაპ შეიძლება ხელთათმანებივით ვიცვალოთ ცოლები. ამასთან, ფეხებზე დავიკიდოთ შვილები, რომლებიც ისევე ავტომატურად „დაობლდებიან“, როგორც მშობლები ავტომატურად გაიყრებიან.

ოთხი ცოლი (იქნებ ოთხი ქმარიც) ზოგისთვის კიდეც სანატრელია, მაგრამ ამას ჰქვია დედაშვილობა, მამაშვილობა ანდა ცოლქმრობა?

**ბონდო გულიაშვილი.**

⊙ ინფორმაცია

### 26 მილიონი ევროთი დაგვეხმარება

**გერმანიის მთავრობა 2004-2005 წლებში საქართველოს 26 მილიონი ევროთი დაეხმარება. როგორც „ინტერ-პრესს“ ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში განუცხადეს, მიმდინარე წლის 18-20 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ ბონში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და საქართველოს მთავრობებს შორის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ სამთავრობო მოლაპარაკებები გაიმართება.**

**სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, გერმანიის მთავრობა მზად არის საქართველოს 2004-2005 წლებში 18 მილიონი ევრო გამოუყოს, საიდანაც 17 მილიონი შეღავათიანი კრედიტია, ხოლო 1 მილიონი ევრო კი გრანტი. გარდა ამისა, იგეგმება 8 მილიონი ევროს ფარგლებში ტექნიკური დახმარების გამოყოფაც.**

### საქართველოში ნოუთ-ბუქების აწყობა დაიწყო

**ჯგუფი „სამგორი 94“-ისა და კომპიუტერული კომპანია „მაქს-ტოპ-პირველის“ საქართველოში აწყობილი პირველი ნოუთ-ბუქის პრეზენტაცია გუშინ გაიმართა.**



**როგორც ინტერ-პრესს „სამგორი 94“-ის პრესსამსახურში განუცხადეს, ახალი კომპიუტერი ცნობილი კომპიუტერების მწარმოებლის „ინთელის“ ბაზაზეა აწყობილი. – ეს არის ის კომპიუტერი, რომელიც არ საჭიროებს კაბელს და ნებისმიერი წერტილიდან თავისით შედის ინტერნეტში, – განაცხადეს პრესსამსახურში.**

### გამწევე კომისიებს ფინანსური პოლიცია შეამოწმებს

**ქალაქებისა და რაიონების გამწვევი კომისიების ფინანსურ საქმიანობას საქართველოს ფინანსური პოლიცია შეამოწმებს. სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი გაწვევასთან დაკავშირებით ფინანსურ მაქინაციებში გარეულ პირებს თანამდებობების დატოვებას მანამდე ურჩევს, ვიდრე მათი საქმიანობის შემოწმებას ფინანსური პოლიცია დაიწყებს.**

**ფინანსური პოლიციის უფროსს დავით კეზერაშვილს აღნიშნული დავალება ზურაბ მელიქიშვილმა გუშინწინ სახელმწიფო კანცელარიაში საშემოდგომო გაწვევასთან დაკავშირებით გამართულ თათბირზე მისცა.**

**მელიქიშვილის მტკიცებით, მიუხედავად საგაზაფხულო გაწვევასთან დაკავშირებით არსებული ზოგადად დადებითი ვითარებისა, იგი ფლობს ინფორმაციას, რომ რიგ რაიონებში გადავადების თანხები სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად, გაწვევაზე პასუხისმგებელ პირთა ჯიბეში წავიდა.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ ბუნდოვანი სიტუაცია

# მამუკა ხაზარაძე კინოქალაქის აშენებას გვპირდება

**რატომ იყიდება კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და რატომ მივიდა საქმე გაყიდვამდე? ვის აძლევს და ვის არ აძლევს ხელს სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ გაყიდვა? რა ბედი ელის ძველი და ახალი კინოსტუდიების პავილიონებს?**

**„ქართული ფილმის“ უძრავი ქონების ნაწილი გაიყიდება თუ მოხდება სრული აქტივის პრივატიზება? საბოლოოდ, გადაწყდება თუ არა ამ კორპორაციის ინვესტირების საკითხი და რა გზით წარიმართება ფინანსური კაპიტალის მოზიდვა?..**

**ეს შეკითხვები და კიდევ, უამრავი ქვეკითხვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ყიდვა-გაყიდვის შესახებ აჟიოტაჟი ატყდა. კინემატოგრაფისტთა რეაქცია ადეკვატური გამოდგა, თუმცა კინოსტუდიის აქციონერთათვის სრული ინფორმაციული ვაკუუმი შეიქმნა... რატომ?**

– იმიტომ, რომ ყოველივე იმალება, ყველაფერი იჩქმალება სს „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობისგან არა მხოლოდ დღეს, არამედ წლების განმავლობაში, – **აღშფოთებით მესაუბრება რეჟისორი ბუბა ხოტივარი,** – რამდენიმე თვეა, რაც დირექტორი ვარ დოკუმენტური კინოსტუდიის, მაგრამ თუ რა ხდება ამ ეტაპზე, არ ვიცი... არავის არაფერს არ ეუბნებიან. რატომ? ქურდს ბნელი ღამე უყვარს და იმიტომ. სად გაქრა „ქართული ფილმის“ უზარმაზარი ქონება?

**– ბატონო ბუბა, ფაქტია, რომ სს „ქართული ფილმი“ გასაყიდ საწარმოთა რეესტრშია მოხვედრილი, ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა მთავრობას აქვს სრული უფლება კინოსტუდიაში თავისი კუთვნილი წილი – აქციათა 66 პროცენტი გასაყიდად გაიტანოს განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარაა, რომ სს „ქართულმა ფილმმა“ პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. ეს სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ასეა...**

– აბსოლუტურად გეთანხმებით... კინოსტუდიამ არსებობა ახლა კი არა, უკვე დიდი ხანია შეწყვიტა, „ქართული ფილმი“ წლების მანძილზე არ ფუნქციონირებდა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! მთავრობამ სერიოზულად უნდა გადახედოს ქართული კინოს პოლიტიკას და რადიკალურად უნდა შეცვალოს სიტუაცია, რადგანაც ქართული კინოს შეგნებული ნგრევა ნამდვილად ეროვნული ტრაგედიაა. აქამდე ყველაფერი იყო ქაღალდზე, ყოველ წელს აუდიტი მოდიოდა და წერდა იმას, რაც ამ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობას უნდოდა. სააქციო საზოგადოებამ როგორც სისტემამ უნდა შეწყვიტოს არსებობა და მმართველობის სხვა სტრუქტურაზე უნდა გადავიდეს. არ შეიძლება მუდმივად ერთ ადგილზე ვიყოთ გაყინული, რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს, არა?!

**– აქამდე რატომ არ შეიცვალა?**

– წინა ხელისუფლების მხარდაჭერა ჰქონდათ, თანაც უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი იყო და არის დღესაც, – **ამბობს რეჟისორი ზაზა ურუშაძე,** – ყველაფერთან ერთად ბევრი უცნაური და აბსურდული რამ ხდება: კინოსტუდიაში ორი სააქციო საზოგადოებაა, იცოდით ეს? არის პატარა სს „ქართული ფილმი და თანამშრომლები“ და დიდი სს „ქართული ფილმი“. ამ ორივე სააქციო საზოგადოების დირექტორია რეზო ჩხეიძე. ეს პატარა სს, რომლის აქციონერები ვართ ჩვენ – კინემატოგრაფისტები, თუმცა, ამის არანაირი მოწმობა არ გაგვაჩნია, არის დიდი სს „ქართული ფილმის“ აქციათა 1/3 წილის მფლობელი. წარმოგიდგენიათ, აქციონერები ვართ არა მხოლოდ კინემატოგრაფისტები, არამედ ისინიც კი, ვისაც ოდნავი შეხება აქვს კინოსთან – სხვადასხვა რაიონული კინოთეატრების ინჟინრები, დამლაგებლები, მეხანძრეები, ყარაულები, ბილეთის გამყიდველები... და როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გლობალური განხილვა მიმდინარეობს, მაშინ ისინი თავიანთი გამოგზავნილი ხელმოწერილი ფურცლებით, ანუ ხმებით პირდაპირ გვიპირისპირდებიან კინემატოგრაფისტებს და გამოდის, რომ რეჟისორები ყოველთვის ვრჩებით უმცირესობაში.

**– ბატონო ზაზა, ასეთ შემთხვევაში კინემატოგრაფისტთა რეაქცია ან თუნდაც, პროტესტი რა მხრივ გამოიხატება?**

– კინემატოგრაფისტებს არავინ არაფერს რომ არ გვეკითხება, სწორედ ეს იწვევს დიდ უკმაყოფილებას. როგორც იცით, სს „ქართული ფილმის“ 2/3 წილი ეკუთვნის სახელმწიფოს, ამიტომაც, სააქციო საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოზე მაღლა დგას, ორი კაცი – რეზო ჩხეიძე (1/2 ხმით) და სახელმწიფოს წარმომადგენელი (2/3 ხმით) იღებს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას და



შემდეგ ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს. ეს სამეთვალყურეო საბჭო – გენერალურ დირექტორს, რომელიც ისევ რეზო ჩხეიძეა, ანუ გამოდის ისე, რომ „ქართული ფილმის“ მონოპოლიური სისტემა ერთი კაცის ხელშია მოქცეული და სხვის პროტესტსაც კი არანაირი წონა არა აქვს.

ალბათ გახსოვთ 1999-2000 წლების ცნობილი მოვლენები, როცა სს სამეთვალყურეო საბჭოს 9-კაციანი შემადგენლობიდან 5 წევრმა – მე, რეზო ესაძემ, მერაბ კოკოჩაშვილმა, ლევან ზაქარეიშვილმა და ლევან ცინცაძემ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რეზო ჩხეიძის გენერალური დირექტორის პოსტი გაუქმებულიყო, რამაც დიდი აჟიოტაჟი და დაპირისპირება გამოიწვია და მას შემდეგ, რაც კინოსტუდიაში აგვიჭედეს კარები, დავტოვეთ იქაურობა და შეიქმნა ეროვნული კინოცენტრი.

დღეს საკითხი ისე კი არ უნდა განვიხილოთ, კარგია თუ ცუდია რეზო ჩხეიძე, არა, ეს არ იქნება სწორი, მაგრამ დრომ და სიტუაციამ ჩვენ დაგვანახვა, რომ აქამდე სს-ის არაეფექტურმა მენეჯმენტმა კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდო „ქართული ფილმი“, გააპარტახა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც არც ერთ რეჟისორს არ უნდა მისვლა.

იხ. მე-4 გვ.

**◉ გულის ბუხარი**

## რობერტ ძერია

# 2. არჩევ ტაძრაზე

### ჩაფიქრებული კაცის ჩანაწერები

### გზას უდაბნოსკენაც მივყავართ...

აგვისტო იწურებოდა.

ცხელი დღე იყო.

ხვატიანი.

დასავლეთიდან მოვდიოდით. ქარელის გადასახვევისთანავე შევნიშნეთ კვამლის საოცრად განიერი ფარდა. სიგრძეზე, გზის გასწვრივ იწვოდა რაღაცა.

გორის უღელტეხილზე ამოსულებმა ვნახეთ ასეთი სურათი: იგოეთამდე ბოლში იყო გახვეული გზისპირა ბუჩქნარი...

მინდორში გლეხები ნამჯას წვავდნენ თურმე. კაცები, ქალები.

ეტყობათ ერთმანეთთან გადაძახილში დაავიწყდათ მთავარი — სტიქია.

ცეცხლმა საზღვარი არ იცის. ნამჯიანი მინდვრიდან გზისპირეთში გადასულიყო.

ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა ჩირგვებში შეპარულს.

მანქანა გავაჩერეთ. ხანძრის ოინებზე მივუთითეთ. სამთითებით გამოგვეპნთნენ. ძირითადად ქალები. სიცილით დაიხოცნენ კაცები — თქვენც საქმე ნახეთო, რაღა.

რას ვიზამდით?

ხმის შემწევიც არავინ იყო.

ტრასაზე თავპირისმტვრევით დაქროდნენ ავტომანქანები. სარკმელები აწეული ჰქონდა ყველას. შავი გამონაბოლქვებით ავსებდნენ ისედაც კვამლით გაჯერებულ ჰაერს.

იწვოდა გზისპირი. თვალწინ იღუპებოდნენ მოზარდი ხეები.

ტრასის გასწვრივ გაშენებული ქარსაცავი ზოლი ამ რამდენიმე წლის წინ გაიჩეხა. შემდ წაიღეს ახლომდებარე სოფლების მკვიდრებმა.

უნებურად რამდენიმე ხნის წინ გაზეთებში წაკითხული გამახსენდა.

ჯვარი აქაურობას და...

კოსმოსიდან გადაღებული სურათების შესწავლით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დავით გარეჯის უდაბნო ერთ დროს, თურმე აყვავებული მხარე იყო.

ხშირი ტყე.

ხილნარები.

მსხვილი დასახლებები.

ამშვენებდნენ.

აშენებდნენ.

ხის მასალაზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ გააქრო ტყის უზარმაზარი მასივები.

დაშრნენ წყაროები.

თანდათან მოსახლეობაც აიყარა და უკეთესი ადგილების საძებნელად წავიდა.

არ ვიცი, ვინ სად რა იპოვა. ფაქტი კი მხოლოდ შედეგი და დღევანდელობაა — უდაბნოდ ცნობილი უსიცოცხლო ველები, ხრიოკი გორაკები...

უკვე მანქანაში ამეკვიატა უკუღმართი კითხვები.

როგორ ვჭრით ყოველდღე იმ ტოტს, რომელზედაც ვსხედვართ?

რას ველით ხვალისგან?

მოვა ვინმე და გაგვიშენებს გაჩეხილს, გადამწვარს?

არა. არ მოვა არავინ.

თავისას უნდა მიხედოს ყველამ.

მათ შორის ჩვენც — ღმერთის მიერ ბოძებულის პატრონებმა.

სხვანაირად...

სხვა ცხოვრება მოგვიწევს...

უდაბნოსკენ მიმავალი გზა მაინც თუ ესიზმრება ვინმეს?

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 240.**

### კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია

ბრმა უნდა იყო.

ყრუ.

შეიძლება შეგნებულად, გამიზნულად არ გინდოდეს და ამიტომაც ვერ დაინახო გაკეთებული, გახმაურებული, დაგეგმილი, გასაკეთებელი.

ვერ გაიგონო ძახილი, რომელიც ყველას ერთნაირად უხმობს.

ჩვენ ახლა ყველაფერი უნდა გადავდოთ.

დავტოვოთ ღირებული, შეიძლება უმნიშვნელოვანესიც.

უდეფიციტო ბიუჯეტი, გამლხვალი პენსიები, ხელფასების მინიმალური, მაგრამ მაინც ზრდა და მრავალი სხვა.

დავიწყოთ სრულიად უწყინარი საქმით.



ეს ერთი შეხედვით უწყინარი, თორემ...

ერის კულტურა ყველაზე კარგად ჩანს სასაფლაოზე, ბაზარში, კიდევ სხვაგანაც, ცოტა მოფარებულში.

ეს აქსიომაა.

თანაც ძალიან ძველი.

სასაფლაოზე წარსულისადმი დამოკიდებულება ილანდება.

ბაზარში — ეკონომიკური შესაძლებლობა.

სხვაგან საკუთარ თავთან მარტო დარჩენილის შინაგანი ეთიკა, სულიერი სიმაღლე.

უდავოა: თბილისი ბოლო წლებში ნამდვილად არ გამოირჩეოდა უზადო სისუფთავით, დაკრიალებული სკვერებით, ბაღებით, ეზოებით.

არც დღეს არის უკეთესი, **განსაკუთრებით** უკეთესი სურათი.

ოღონდ ეგაა, ყინული დაიძრა.

დაიძრა ზედმეტი ჯახირის, რახა-რუხის გარეშე.

მერიასთან, საკრებულოსთან იქმნებიან მოხალისეთა რაზმები, რომლებიც ყოველგვარი ანგარების გარეშე უკვე ზრუნავენ, ხვალაც იზრუნებენ ეზოების, მიმდებარე ტერიტორიების, საზოგადოების თავშეყრის ადგილების მოწესრიგებაზე, შემდგომ მოვლაზე, გაკეთებულის პატრონობაზე.

ეს არ არის ყველასთვის კარგად ნაცნობი შაბათობების უხეირო ასლი.

ეს ახალია, სრულიად სხვა ყაიდის მოძრაობაა, სადაც ყველა ერთმანეთზე აგებს პასუხს, ერთი მეორეს არ მისცემს გასაკეთებლის მიფუჩეჩების, ჰაიჰარად გაკეთების უფლებას.

ადამიანების ცნობიერებაში სერიოზული პროცესი მიმდინარეობს.

იბადება ის, რასაც ყველა ერთნაირად ელის — საერთო წესრიგი.

ტოტებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ახლის გაკვირტული ბუჩქები დღეს უკვე ჩანს.

ეს ხატოვნად.

რეალურად — მრავალი მართლაც კოხტა, ლამაზი სკვერი, სულის მოსათქმელად ზედმიწევნით მოხერხებული რამდენიმე ბაღი, ზედმეტი ხარახურისგან გათავისუფლებული ასობით ეზო.

ცოტაა?

გეთანხმებით, ცოტაა, ძალიან ცოტა, მაგრამ ეს დასაწყისია.

სხვათა შორის, კარგი დასაწყისი.

### ოღონდ ქართულად მალაპარაკეთ...

დარწმუნებული ვიყავი.

მჯეროდა: სპორტული შეჯიბრების დროს წესის და რიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს ერქვა მსაჯი.

მ — ს — ა — ჯ — ი.

„მსაჯი — პირი, რომელიც სჯის რაიმე სპორტულ თამაშს, შეჯიბრებას. ფეხბურთის მსაჯი..."

ასე განმარტავს ამ კაცის რაობას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი — ნებისმიერ ქართველისთვის მშობლიური ენის კანონმდებელი.

რატომ უნდა ვიდავოთ?

ისედაც ნათელია: ლექსიკონის ავტორებმა, სარედაქციო კოლეგიის წევრებმა, გამოცემის საერთო რედაქტორმა იცოდნენ, რასაც წერდნენ, ხელს რასაც აწერდნენ. მათ შორის — ქართული ენაც.

კიდევ: მსაჯის დამხმარე პირებს გვერდითი მსაჯები ერქვათ.

ეს ფეხბურთში.

საუბარსაც ფეხბურთით ვიწყებთ.

სულ ახლახან გავიგე: მსაჯს არბიტრი რქმევია, დამხმარე პირებს — ლაინსმენები.

გვჯერა: განმარტებითი ლექსიკონის ავტორებმა ეს ტერმინებიც იცოდნენ.

უპირატესობა მაინც ქართულს მიანიჭეს, ცხადია, სხვა ენებთან, ვთქვათ, რუსულთან, ინგლისურთან შედარებით.

ისე ჩემთვის სულერთია;

გინდა მართლა მგელს შევუჭამივარ, გინდა სხვა მგლისფერ არსებას.

ისე კი სჯობდა: არც ერთს არ შევეჭამე. მევლო ამ მიწაზე, რაღაცაში მაინც გამომდგომოდა საცოდავი ჩემი ორი ღერი ქართული, თორემ რა გამოდის?

ჩემს თვალწინ მომსახურება სერვისად იქცა, მართვა — მენეჯმენტად, იერ-სახე — იმიჯად, შედეგი — რეზულტატად.

რენომე.

მარკეტინგი.

სხვა მრავალი. მსგავსი მათნაირი.

ანეკდოტივით არის, მაგრამ მაინც:

სანზონაში ერთი ჩემი ახლობლის ბინის ქვეშ პატარა სასურსათო მაღაზია გახსნა კარგმა, წესიერმა, მაგრამ ფრიად მოხერხებულმა, დროის შესაფერად აწყობილმა კაცმა.

მინი-მარკეტი დაარქვა პაწია დუქანს.

სურსათიც ასარჩევად მოიმარაგა. წარწერები კი აბრაზე მხოლოდ ინგლისურ ენაზე გაუკეთა.

თავს დავდებ:

კიდევ ერთი ასი წელი ქართულის უცოდინარი ინგლისელი იმ „მინი-მარკეტში" არ შეივლის.

მე ქართულს მაინც წავიკითხავდი.

ბევრი ჩემისთანაც.

ცუდად ნურავინ გამიგებს. არავის არაფერს ვასწავლი.

თხოვნა მაქვს ერთი: მაცალეთ ქართულად ლაპარაკი, როგორც პოეტი ამბობდა, მალაპარაკეთ თუნდაც მთელი დღე.

ოღონდ ქართულად მალაპარაკეთ.

ყოველგვარი პიარებისა და იმიჯების გარეშე!

**რობერტ ძერია.**

---

**◉ პოეზია უპირველეს ყოვლისა**

## მიხეილ დანიშაშვილი

# ციკლიდან „საინგილო"

### ქურმუხის ხეობაში

ეს ჭალები, ეს ველები,
ეს მინდვრები, ეს მთები,
ასე მშობლიურად რომ ვგრძნობ,
ვექსოვები — ვერთვები, —
ეს ბოსტნები, ეს ბაღები,
ეს ტყეები, ეს ხმები,
ასე სულში რომ ხმაურობს
და მეც სულში ვესხმები.
ვისი ნასახლარებია,
ვისი ნაფუძრებია,
ხსოვნისკენ რომ მოიწევენ,
სხეულში რომ მჯრებიან?
ვინ განაგო, ვინ განამო,
ვინ არია სამანი,
რას ჩურჩულებს ეს ლოდები
ამ ბებერი სამარის?
ან შენ რა გსურს რომ მიამბო,
ობლად მდგარო იფანო?
მიპასუხე გარდასული
დროის უტყვო ტვიფარო.

### ქურმუხის წმინდა გიორგობაზე

რწმენავ, შენ კლდე ხარ დაურღვეველი,
შენ მდინარე ხარ აუმღვრეველი.
შენ ტაძარი ხარ, ქურმუხს მდგომელი,
აუღებელი, მიუდგომელი.
შენ ვერ-რა შანთით ვერ იშანთები,
არც გარდახდები — გარდაქამდები.
შენ მლოცველისა და მრევლის ზღვა ხარ,
შენ ინგილოთა აქ ყოფნას გავხარ.
წმინდა გიორგის საყდართან დგეხარ,
მარადისობის შვილი და ტყვე ხარ,
რაგინდა უცხო გახდეს გარემო,
შენ მაინც ჭგიებ, სუნთქავ, ხარებობ.

ყველგან, ყოველთვის, როგორც აქ, ახლა,
შენ კაცს ახლიხარ, შენ კაცი გახლავს,

### თამარის ხიდი ქურმუხის წყალზე

გადიკირვია აგური აგურს,
შეხიდებიან ბურჯებს ბურჯები
და ჭაეროვან თაღის კამარას
ეხლება სივრცე თლილი ტუჩებით.
შეხორცებიან ლოდები ლოდებს,
გამოხვეულან მტკიცე ზეწარში.
და შენივთებულთ ერთ ჰარმონიად
შეუმართიათ მკერდი ზეცაში.
ჩამოფენილან წლებზე წლეები,
საუკუნეზე საუკუნენი.
როგორც რიყეში სიპზე სიპები.
კუნელზე ტყეში როგორც კუნელი.
ახლაც გაისმის ნალთა კვესება
მერნების, ჯერაც გაუხედნავთა,
დარუბანდიდან რომ მოაქცევენ
თბილის-ქალაქად ზვირთებს მხედართა,
ამოხატულან ია-იებად
ხიდზე თამარის ნატერფალები,
ვით ვარსკვლავები ღამის ოვალზე,
ან ქიმერებში ნატვრისთვალები.
თითქოს ფურცლავდე მტვრიან ქრონიკებს,
ან კითხულობდე წარწერებს რიდით,
ისე გაშლილა დროის ეტრატზე,
ქურმუხის წყალზე თამარის ხიდი...

### კახის სკოლაში

აი ჩვენი „დედა ენა".
ჩვენი უმთავრესი წიგნი,
ო, რამდენი საუნჯეა
და სიბრძნეა იმის შიგნით?
უწმინდესი დვრიტა არის,



თილისმაა იგი ჩვენი
ქვეყანაზე არსებობის,
სიცოცხლის და გადარჩენის!
მხოლოდ ჩვენმა ზეცამ უწყის,
მხოლოდ ჩვენმა მიწამ იცის,
ფასი დედა ენის წიგნთან
საღვთოდ დადებული ფიცის!
ამბობს პედაგოგი სკოლის,
ვუსმენ, ამეტიროს ლამის,
სმენას ეეინება უნჯად
ხსოვნა დიდებული წამის...
ვხვდები: ჭეშმარიტად ამ წიგნს
მათთვის რა და რაც ფასი აქვს, —
მას პატარა ინგილოთა
სულში სულ სხვა სიო მიაქვს...

### სამი წლის სოფიკოს

ერთი პატარა ინგილო
გოგონა ცხოვრობს კახში,
სოფიკო ჰქვია სახელად,
ასე უხმობენ ხალხში,
ასე თქვა, როცა ვეწვიე
ამ მოუსვენარს სახლში:
— მე თუმც ჯერ დიდი არა ვარ,
ისევ დავდივარ ბაღში...
უკვე მშვენივრად ვიცი და
მგონი არ არის გვიან,
სამშობლოს ჩემსას, მშობლიურს,
საქართველო რომ ჰქვია.

---

**◉ ტრანსპორტი**

# მგზავრებზეც ვიფიქროთ!

**გაჭირვებას რა ვუთხრათ, თორემ, თავმოყვარე კაცი არც კი ჩაჯდებოდა იმ ავტობუსებში, დიღმის მასივიდან 21-ე და 46-ე მარშრუტებზე რომ მოძრაობენ.** ძველ, დაფაცხავებულ მანქანებში ნამდვილად რომ არ შეისვლება. ბევრ მათგანში სკამები მორყეულ-დაფლეთილია და ძრავებიც „სულს ღაფავენ". ამას წინათ აკაკი წერეთლის ძეგლის წინ 46 ნომერ ავტობუსს სიცხე-პაპანაქებაში ძრავა ჩაუქრა. კარგა ხანს იჯახირეს მძღოლმაც და კონდუქტორმაც, მაგრამ „სული ვერ ჩაუდგეს". ბოლოს 21 მარშრუტის ერთ-ერთმა მძღოლმა შეიცოდა კოლეგა და ავტობუსი „ბუქსირით" წაიყვანა.

ახლა წამდაუწუმ გვესმის, თბილისის საქალაქო სამგზავრო ავტობუსების პარკი უამრავი ახალი მანქანით გამდიდრდაო, მაგრამ ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი მანქანები ორიოდე მარშრუტზე თუ გამოჩნდა.

„ბოროტ ენებს" თუ დავუჯერებთ, დასახელებულ მარშრუტებზე მანქანების გამოცვლას არ აპირებენო, ზოგ-ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ ამ ძველი მანქანების გამოცვლა იმიტომ არ უნდათ, რომ ავტომეურნეობების მოხელეები თუ „კრიშები" მათ მძღოლებს უფრო მეტ ფულს ახდევინებენ, ვიდრე ახალი მანქანების მძღოლებიდან ამოიღებენო. აბა, ვის აწუხებს ეკოლოგიური გარემო თუ მგზავრების კომფორტი?

გადაჭრით ვერ ვიტყვით, რა როგორ არის, მაგრამ ერთი რამ ცხადია — დედაქალაქში ასეთი მანქანების ექსპლუატაცია სირცხვილია, დანაშაული თუ არა!

რადგან სამოქალაქო ტრანსპორტზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ახალ საგზაო „რეფორმაზე", ანუ ყბადაღებულ „სამკუთხედზეც" არა ვთქვათ ორიოდე სიტყვა, იგივე დიღმელებისა თუ დიდუბელების გულისტკივილზე. რასაკვირველია, სასიამოვნო იქნება, რომ ამ „ბერმუდის სამკუთხედზე" ეგრეთ წოდებული „საცობები" თუ აღარ იქნება. მაგრამ არცთუ დიდი ხნის პრაქტიკამ დაგვანახა (და ამას ქალაქის მესვეურებიც აღიარებენ), რომ „სიახლე" მაინც და მაინც არ წაადგა სამომავლო გაჭირვებას. უფრო მეტიც, ზოგიერთისთვის (არცთუ ცოტასთვის) მდგომარეობა კიდეც გაუარესდა. დიღმის მასივის საავადმყოფოების ზონიდან დიდუბის გავლით ფილარმონიამდე და უფრო შორსაც მოდიოდა 21 ნომერი ავტობუსი და 32 ნომერი სამარშრუტო ტაქსი. ახლა ორივე ეს მარშრუტი ვარაზის ხევით უნივერსიტეტთან ადის. ფილარმონიისაკენ და მის სამეზობლოსკენ მიმავალი მგზავრები ქუჩის გადალახვით ან სხვა ტრანსპორტში უნდა გადასხდნენ, ან კარგა დიდი მანძილი ფეხით გაიარონ, რაც რასაკვირველია, მათ გულისწყრომას იწვევს.

ამიტომაც დიღმელ-დიდუბელები (და არა მარტო ისინი) მოითხოვენ, ვაკიდან მომავალმა 21-ე მარშრუტის ავტობუსმა ფილარმონიასთან გაუჩერებლად კი არ მოუხვიოს, არამედ რესპუბლიკის მოედნამდე გავიდეს. ამით მგზავრებიც ისარგებლებენ და მძღოლებიც. თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ იქნებ იქ, დიღმის მასივშივე მოხდეს პატარა ცვლილება და 46-ე ნომერი მტკვრის სანაპიროზე კი არ მოდიოდეს და დიღმის ხიდით აგრძელებდეს გზას, არამედ რობაქიძის ქუჩის ბოლომდე ადიოდეს და „ციცინათელასთან" უხვევდეს. გარწმუნებთ, ამით მგზავრებიც კმაყოფილები დარჩებიან და მძღოლებიც.

ოღონდ, რითაც დავიწყეთ, იმით ვამთავრებთ, ამ მარშრუტებზე თბილისქალაქის შესაფერი ავტობუსები უნდა დადიოდეს!

**ვალიკო სიმონიშვილი.**

---

**◉ გვირეკავენ, გვეკითხებიან**

**— ვცხოვრობ დიდ დიღომში. მყავს სამი შვილი — 10, 7 და 4 წლის. მიმდინარე წელს საცხოვრებელ ბინაში შევიყვანე ბუნებრივი აირი. მეზობლებმა მითხრეს, რომ ვსარგებლობ შეღავათით ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდის დროს.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია?**

**ბორის ნადირაძე.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მრავალშვილიან ოჯახებს, ე. ი. იმ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 3 და მეტი არასრულწლოვანი (18 წლამდე) შვილი, უფლება აქვთ უფასოდ მოიხმარონ თვეში 40 კუბ. მეტრი ბუნებრივი აირი.

* * *

**— ვარ 56 წლის. მაქვს 29 წლის შრომის სტაჟი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა ასაკის პენსია?**

**გულნარა გამყრელიძე.**

— მოქმედი კანონის შესაბამისად, მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ ქალებს 60 წლის ასაკში 20 წლის შრომის სტაჟით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ 29 წლის შრომის სტაჟი გქონიათ, 60 წლის შესრულებამდე მოხუცებულობის პენსია არ დაგენიშნებათ.

* * *

**— ვარ მარტოხელა დედა, ვცხოვრობ თბილისში. მყავს 2 შვილი (9 და 3 წლის), რომელთაც მამა არ ცნობს და დაბადების მოწმობაში გატარებული არიან ჩემს გვარზე.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, დამენიშნება თუ არა დახმარება ბავშვებზე?**

**ნაზი არჯევანიძე.**

— ყოველთვიური სოციალური დახმარება ენიშნებათ მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრებ მარტოხელა დედებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი — თითოეულ ბავშვზე თვეში 5 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენ თბილისში ცხოვრობთ, ყოველთვიური სოციალური დახმარება გეკუთვნით და მისი დანიშვნის თაობაზე გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალურ საკითხთა განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**— ვარ ბავშვობიდან ინვალიდი, 20 წლის. ვცხოვრობ პენსიონერ მშობლებთან ერთად. ჩვენთან ერთად ცხოვრობს ჩემი უფროსი ძმაც, რომელსაც უკვე შეუსრულდა 18 წელი. აღნიშნულის გამო ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონიერია თუ არა ჩვენი ოჯახისათვის სოციალური დახმარების მოხსნა?**

**ვლადიმერ ახობაძე.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური დახმარება, უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახს, სამწუხაროდ, უწყდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ოჯახის თუნდაც ერთი ჯანმრთელი წევრი სრულწლოვანი, ე. ი. 18 წლის გახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ პენსიონერი მშობლების გარდა გყავთ შრომისუნარიანი ძმა, მისი 18 წლის შესრულების შემდეგ სოციალური დახმარების მიღება კანონის შესაბამისად სწორად შეგწყვეტიათ.

**ირინე ღლონტი.**

***დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.***

---

**◉ ბუნდოვანი სიტუაცია**

# მამუკა ხაზარაძე კინოქალაქის აშენებას გვპირდება

(მესამე გვერდიდან)

რატომ? იქ ვერც ერთი რეჟისორი ვერ გარისკავს წვალებით გადაღებული ფირი გაავლოს, რადგანაც აპარატურაა უვარგისი, მწყობრიდან გამოსული, დამტვრეული... ერთი კაბელი აღარ დარჩა, ერთი განათების აპარატი...

**— ბატონო ზაზა, აქამდე არსებობდა იმის რეზერვები, რათა კინოსტუდია აღჭურვილიყო ევროსტანდარტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რადგანაც სხვაგვარად წარმოუდგენელია არსებობდეს თანამედროვე კინემატოგრაფი. საინტერესოა ისიც, აქამდე რატომ არ ჩაიდო ინვესტიციები „ქართულ ფილმში" და რატომ მივიდა საქმე გაყიდვამდე?**

— რეალურად ინვესტიციებზე არავინ არ ფიქრობდა... ჭორის დონეზე იყო რაღაც საუბრები, ვითომ 30-მილიონიანი დოტაცია მოდიოდა ესპანეთიდან, მაგრამ ფაქტია, 30 კი არა, ერთი ლარიც არ ჩაიდო ქართულ კინოში. 1990-92-95 წლებში უცხოელ ინვესტორთა მხრიდან იყო გარკვეული ინიციატივები, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ „ქართული ფილმის" სისტემა არის აბსოლუტურად შეუვალი, სადაც ფინანსების ჩადება ნიშნავს ფულის დაკარგვას, ყველა გაიქცა და გაიქცნენ არა მხოლოდ უცხოელი ინვესტორები, არამედ ჩვენი ქართველი რეჟისორები. ტექნიკას ვინ ჩივის, კინოსტუდიაში დეკორატორებიც კი აღარ დარჩა. პროფესიები განითესა, ამაზე ფიქრობს ვინმე? — არავინ. ქართველ რეჟისორებს სამოღვაწეო ასპარეზი წაართვეს, ეს აშკარა იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა კინემატოგრაფისტები ელექტრიკოსებად, მღებავებად აქციეს. სირცხვილი არ არის?! რომელ ინვესტიციაზეა საუბარი, როცა წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე მენეჯმენტზე, ისევ საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ და კომუნისტურად აზროვნებენ. უკეთესი მენეჯმენტის პირობებში არ იქნებოდა ასეთი სერიოზული კრიზისი „ქართულ კინოში". კარგი რეჟისორი არ ნიშნავს კარგ მენეჯერს. და ეს არცაა გასაკვირი — რეზო ჩხეიძემ შეიძლება იცის, როგორ უნდა გადაიღოს „ჯარისკაცის მამა", მაგრამ დრომ გვიჩვენა, რომ მას არ შეუძლია 21-ე საუკუნეში მართოს სს „ქართული ფილმის" თანამედროვე მენეჯმენტი. ფაქტია, აქამდე უამრავი რამ გაიყიდა, იჯარით გაიცა, ახალი კინოსტუდიის ნაწილი გაქირავდა, თანხები შემოვიდა...

**— და სად წავიდა ეს ფული?**

— ეს უნდა შეეკითხოთ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელს.

**— რატომღაც მან ჩვენთან სასაუბროდ ვერ მოიცალა...**

— ფაქტია, არაეფექტურად დაიხარჯა.

**— დღეს, „ქართული ფილმის" ერთადერთ ინვესტორად სახელდება „თიბი-სი" ჯგუფი. უფრო კონკრეტულად კი — „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდი", რომელიც ითვალისწინებს ძველი კინოსტუდიის ბაზაზე კონცეფციური, თუმცა სარისკო პროექტის განხორციელებას. ამ ინიციატივას რატომღაც, კინემატოგრაფისტთა გაღიზიანება მოჰყვა...**

— ბუნებრივია... ეს ინიციატივა ძალზე პოზიტიურია, მაგრამ არავინ არ იცის, რეალურად თუ რა ხდება. და ეს იწვევს კინემატოგრაფისტთა ძალიან დიდ უკმაყოფილებას. ჩემი აზრით, ეს საკითხი ერთობლივად უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის ხელისუფლებამ, კინემატოგრაფისტებმა და კინოცენტრმა. ინვესტიცია ჰაერივით სჭირდება, მაგრამ ხომ უნდა მსჯელობა, არა?! ასეთ სიტუაციაში მე მაინც ვფიქრობ მთავარი სიტყვა უნდა თქვას ხელისუფლებამ. ხალხი ღელავს, ხალხი დაიღალა ამდენი ჩხუბით, ყვირილით... ასე აღარ შეიძლება... საქართველოში რევოლუცია მოხდა, მაგრამ არანაირი რევოლუცია არ იგრძნობა ქართულ კინემატოგრაფში. მე მივესალმები მამუკა ხაზარაძის ამ სასიკეთო ინიციატივას, თუკი ეს წაადგება ქართული კინოს განვითარებას, თუმცა არა იმ პირობებში, რაც დღეს არის შექმნილი სააქციო საზოგადოებაში. ჩვენ — რეჟისორები, მთავრობისგან ვითხოვთ მხარდაჭერას, რათა არ მოხდეს ჩვენი უფლებების ბლოკირება.

**— საერთოდ, „ქართულ ფილმში" ფინანსური კაპიტალის ჩადება პირობითია, მაგრამ აქვე მნიშვნელოვანია, ქართული კინოს სასარგებლოდ თუ რა პრიორიტეტები გამოიყოფა...**

— რა თქმა უნდა... კინოს მართვა ძალიან სპეციფიკურია. უცხოეთში იმდენად სწორ და ტაქტიან მარკეტინგის მენეჯმენტს აწარმოებენ, რომ ფილმი გადაღებამდე უკვე გაყიდულია. ამგვარი პრინციპი უნდა შემოვიდეს და დამკვიდრდეს ჩვენშიც, — **მესაუბრება რეჟისორი ზია ჭუბაბრია.** დღეს თანამედროვე კინოაპარატურასთან შედარებით დოკუმენტურ კინოსტუდიაში დგას ქვის ხანა, ეს ხომ სასაცილოა, არა?! არადა, კინემატოგრაფიის 80 პროცენტი არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელზეც უკვე ვოცნებობთ რეჟისორები. ვფიქრობ, ის სოლიდური ინვესტიცია, რომლის დაბანდებასაც აპირებენ ქართულ კინოში, ცალ-ცალკე გამოყოფს მხატვრულისა და დოკუმენტური კინოსტუდიების ბაზებს. სწორად წარმართავს თანამედროვე კინემატოგრაფიაში დისტრიბუციულ პროცესებს... ამგვარი მიდგომით თანამედროვე ქართულ კინოს ასპარეზი მიეცემა მსოფლიო ბაზარზე. და, რაც მთავარია, და, რაც აქამდე უნდა მომხდარიყო — დოკუმენტური კინოსტუდია ცალკე უნდა გამოეყოს „ქართულ ფილმს" და მოიპოვოს დამოუკიდებლობა. ამ ინიციატივით მე ჯერ კიდევ მაშინ გამოვედი, როცა ვიყავი დოკუმენტური სტუდიის დირექტორი. მაგრამ ვერ მივაღწიე მიზანს მრავალი მიზეზის გამო, შემიშალეს ხელი, სასამართლოში წასვლა კი არ ვამჯობინე, რადგანაც არ მინდოდა ჩემს კოლეგებს ასე უხეშად დავჯახებოდი და ამიტომაც გვერდზე გავდექი. შეიძლება ეს ჩემი მხრიდან შეცდომა იყო, მაგრამ ცხოვრებაში არსებობს რაღაც ეთიკის ნორმები, რომელთაც არ მინდა გადავუხვიო.

**— დოკუმენტური კინოსტუდიის საკითხი დღესაც აქტუალური უნდა იყოს...**

— სანამ დოკუმენტური კინოსტუდია „მემატიანე" არ გამოეყოფა სს „ქართულ ფილმს", ანუ „საბჭოთა კავშირს", მანამდე გადარჩენა არ უწერია. — **ამბობს ბუბა ხოტივარი,** — დოკუმენტურ კინოში ახლახან მოხდა პატარა ვარდების რევოლუცია, ქართული ფილმის ხელმძღვანელობას არ უნდოდა ჩვენი ახალი გუნდის მოსვლა. ჩვენ უნდა დავიცვათ დოკუმენტური კინო, რომელსაც მოუჭრეს განვითარების გზები და ახლა მის ტერიტორიას ასხვისებენ. „ქართული ფილმის" ხელმძღვანელობა ვითომ ებრძვის პრივატიზაციას, სინამდვილეში კი მზაკვრულ ხელშეკრულებებს აფორმებს. ინვესტიციები პირდაპირ კინოში უნდა ჩაიდოს. იგივე გააკეთოს მამუკა ხაზარაძემ, ბევრად დიდი მოგება იქნება... კინოსტუდიის საკითხებში უნდა ჩაერიოს მთავრობა, ყველაფერი უნდა გახდეს გამჭვირვალე, უნდა შედგეს აქციონერთა კრება და შევხვდეთ მამუკა ხაზარაძეს... მასთან ჩვენ არ გვიშვებენ, კინოსტუდიაში ყველაფერს მალავენ, ჩქმალავენ...

**— ...კინოსტუდია „ქართულ ფილმს" ყიდულობს მამუკა ხაზარაძე — ეს ფრაზა სხვადასხვა ინტერპრეტაციით ჟღერდა ბოლო სამი თვის მანძილზე და სინამდვილეში არ არის სწორი. და მაინც, რა მოხდა, ჭორი ტყუილად აგორდა? — ვეკითხები ცნობილ ბიზნესმენს.**

— რატომღაც, ჩვენი ინიციატივა ყველამ სხვადასხვაგვარად გაიგო... არადა, მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ „ქართული ფილმის" 2/3 წილი გამოიტანა გასაყიდად, შეიძლება ითქვას, მე ვიყავი პირველი მოწინააღმდეგე „ქართული ფილმი" არ გაყიდულიყო აუქციონზე. ამით ამოიწურებოდა ბოლო შანსი ქართული კინოინდუსტრიის გადარჩენისა და მისი შემდგომი აღორძინებისა. ამ აზრის გათვალისწინებით, ჩვენ შევხვდით ეკონომიკის მინისტრს, პრემიერ-მინისტრს და კულტურის მინისტრს და შევთავაზეთ, ჩამოგვეყალიბებინა „ქართული ფილმის" აქტივების ბაზაზე ერთობლივი წარმოება — კინოქალაქი, რომელშიც სახელმწიფო შემოვიდოდა უძრავი ქონების სახით და ჩვენ დავაბანდებდით ინვესტიციას.

ამ იდეის პრეზენტაცია ჯერ არ შემდგარა, რადგან ველოდებით ამ ინიციატივის ოფიციალურ დასტურს ეკონომიკის სამინისტროსგან და „ქართული ფილმის" აქციონერებისგან. თანხმობისთანავე ჩვენ მზად ვართ კონკრეტული ხელშეკრულებები და პროექტი საჯაროდ წარვადგინოთ.



**— ბატონო მამუკა, საინტერესოა, როგორი იქნება ამ პროექტის კონცეფცია და რამდენად არის განსაზღვრული მისი ფინანსური კაპიტალი?**

— ეს პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე — აღმაშენებლის გამზირზე, მინიატიურული კინოქალაქის გაშენებას. ეს იქნება ევროსტანდარტების კინოცენტრი, სადაც კინემატოგრაფისტებს შემოქმედებითი მუშაობისთვის ყველა პირობა შეექმნებათ, კინომოყვარულთათვის კი გახდება შემეცნებით-გასართობი კომერციული კინოქსელი. ვფიქრობთ, ამ მხრივ ქართული კინემატოგრაფის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას ხელი შეეწყობა და, რაც მთავარია, ამ მხრივ მოხდება ქვეყნის გარეთ მიმოფანტული ინტელექტუალური რესურსების მობილიზება და უკან დაბრუნება.

რაც შეეხება თანხებს, ჩვენ უხეშად დავითვალეთ და, სავარაუდოდ, ეს პროექტი 30-მილიონიან ინვესტიციას მოიცავს. რა თქმა უნდა, ეს თანხა თავიდანვე ერთდროულად არ ჩაიდება, აქ მოხდება ფინანსების ეტაპობრივი დაბანდება, მაგრამ ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე პროექტის სრული განხორციელებისთვის 25-30 მილიონი დოლარია საჭირო. ეს სოლიდური თანხა იქნება მოზიდული იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა თუ ფონდებისაგან, რომლებთანაც ჩვენ უკვე დიდი ხანია ვთანამშრომლობთ. კინოქალაქის გაშენება უცხოელ ინვესტორებთან ერთად ჩვენი ახლად დაარსებული კომპანიის „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდის" ერთ-ერთი პროექტია. ამ კომპანიას განზრახული აქვს უახლოეს 4 წელიწადში საქართველოს მასშტაბით ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ასევე ტურისტულ-რეკრეაციული ზონების შექმნის მიზნით, 100-130-მილიონიანი ინვესტიცია შემოიტანოს.

**— ეს სამომავლოდ, მაგრამ კინოქალაქის ინვესტირება სავარაუდოდ როდის დაიწყება?**

— ჩვენ ველოდებით რეაქციას, როგორც კი გვექნება ოფიციალური თანხმობა, შემდეგ იურიდიული დოკუმენტაცია მომზადდება, დაახლოებით 8 თვე დასჭირდება პროექტირებას და მერე უკვე ინვესტირებზე ვიმუშავებთ.

**მზექა მახარაძე.**

# ბუშის მთავარი პოლიტიკური მრჩეველი სასამართლოს წინაშე წარსდგა

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მთავარმა პოლიტიკურმა მრჩეველმა კარლ როუვმა ფიცის ქვეშ მისცა ჩვენება დიდ ფედერალურ ჟიურის თეთრი სახლიდან საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის თაობაზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.**

როგორც ჟურნალისტებს განუცხადა როუვის ადვოკატმა რობერტ ლასკინმა, გამომძიებლებმა აღნიშნეს, რომ როუვი არ არის სისხლის სამართლის დევნის ობიექტი.

გამოძიებამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო გასული წლის შემოდგომაზე, უნდა დაადგინოს, თუ თეთრი სახლიდან ვინ აცნობა ჟურნალისტებს, რომ ამერიკელი დიპლომატის ჯოზეფ უილსონის ცოლი — ვალერი ფლეიმი — არის დაზვერვის გასაიდუმლოებული ოპერატიული თანამშრომელი.

ამერიკაში მოქმედი კანონების თანახმად, ასეთი ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება ითვლება დანაშაულად, რომელიც ისჯება 10 წლამდე ვადის თავისუფლების აღკვეთით და 50 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმით.

თვით უილსონი კი აცხადებს, რომ თეთრმა სახლმა ასეთი გზით იძია შური იმის გამო, რომ მან საჯაროდ ილაპარაკა თავისი მისიის შესახებ ნიგერიაში, ქვეყანაში, რომელიც ეჭვმიტანილი იყო, რომ ჰქონდა კონტაქტები ერაყთან ბირთვულ სფეროში.



ნიგერიაში მოგზაურობის შედეგით უილსონმა გამოიტანა დასკვნა, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ერაყელები ცდილობენ აფრიკის ამ სახელმწიფოში ურანის შესყიდვას, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამის მიუხედავად, თავისი თანაშემწეების წაქეზებით, ბუშმა მაინც განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინი ცდილობდა აფრიკაში ურანის შესყიდვას. თუმცა, მოგვიანებით თეთრი სახლი იძულებული გახდა საჯაროდ გაებათილებინა ასეთი მტკიცებულება.

როგორც უილსონი ამტკიცებს, მისი ცოლის, როგორც დაზვერვის ოპერატიული თანამშრომლის ვინაობა გაამხილა სწორედ კარლ როუვმა, რომელსაც, როგორც ამას უილსონი იმედოვნებს, ადრე თუ გვიან მაინც გამოიყვანენ თეთრი სახლიდან ხელბორკილებით.

როუვის გარდა, დიდ ჟიურის ჩვენებები უკვე მისცეს პრეზიდენტმა ბუშმა, ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა ტენეტმა, პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში რაისმა, თეთრი სახლის პრესმდივანმა მაკლელანმა. ამავე საქმის ფარგლებში დაჰკითხეს ასევე რამდენიმე ჟურნალისტი.

# მოკლედ

**ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები უმაღლესი მთავარსარდლის პოსტს უფრო მეტად მიანდობენ ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, ვიდრე მის მეტოქეს, დემოკ-**



**რატ-სენატორს ჯონ კერის. ასეთია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც პარასკევს გამოაქვეყნა ანანბერგის საჯარო პოლიტიკის ცენტრმა. გამოკვლევის თანახმად, გამოკითხულთა 69 პროცენტმა განაცხადა, რომ ენდობიან თეთრი სახლის ამჟამინდელ მეთაურს, და სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრთა მხოლოდ 24 პროცენტი უჭერს მხარს ჯონ კერის.**

* * *

**სამი ბავშვი და პოლიციელი დაიღუპნენ ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მომხდარი აფეთქების შედეგად. „თალიბანის“ მოძრაობის მოთარეშეებმა პარასკევს**



**საღამოს ცეცხლი წაუკიდეს სატვირთო მანქანას, რომელიც ამერიკელთა სამხედრო ბაზისკენ მიემართებოდა. იქვე შეკრებილი იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, ძირითადად, ბავშვები. სწორედ ამ დროს გაისმა კიდეც აფეთქების ხმა.**

* * *

**პაკისტანში მძევლად აყვანილი ჩინეთის მოქალაქე გადარჩა იმის გამო, რომ არ იცოდა ინგლისური ენა. ორი ჩინელი ინჟინერი ტყვედ აიყ-**



**ვანეს ტერორისტებმა გასულ შაბათს ქვეყნის ერთ-ერთ მიყრუებულ რაიონში. ერთი მათგანი — ვან ენდე გადარჩა მძევლების განთავისუფლებისათვის განხორციელებული ოპერაციის დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი კოლეგა — ვან პენი მოკლეს.**

* * *

**რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა „ალ-არაბიისათვის“ მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ შესაძლებელია ტერორისტებს მიაყენონ პრევენტული დარტყმები. თავდაცვის მინისტრის თქმით, რუსეთში შეგროვებულია „გარკვეული ინფორმაცია“ ტერორისტთა თავმოყრის ადგილების შესახებ. „ასეთი ინფორმაცია არასდროს არ გახმაურდება საჯაროდ. ხოლო, როცა ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ მზად ვართ, განვახორციელებთ პრევენტულ დარტყმებს ისე, რომ ამას არავის არ შევუთანხმებთ“, — თქვა ივანოვმა.**

# ხუთი ქრისტიანული ეკლესია ააფეთქეს

**შაბათს, გამთენიისას, ბაღდადში ააფეთქეს ხუთი ქრისტიანული ტაძარი. ამას იტყობინება რეიტერის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა გამონათქვამებს.**

როგორც პოლიციელებმა აღნიშნეს, ხუთივე აფეთქება მოხდა პრაქტიკულად ერთსა და იმავე დროს, დაახლოებით დილის 4 საათზე. ამ ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა ეკლესიები მნიშვნელოვნად დაზიანდა. აფეთქებებისათვის პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის უკისრია.

როგორც ყატარის „ალ-ჯაზირას“ ტელეარხი იტყობინებოდა, დაუდგენელმა პირებმა აამოქმედეს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები.

2 აგვისტოს ტერორისტებმა მოაწყვეს მსგავსი აქცია, განახორციელეს რა ექვსი აფეთქება ბაღდადისა და მოსულის ქრისტიანული ეკლესიების მახლობლად. მაშინ დაიღუპა 10 კაცი, 50-მდე კი — დაიჭრა.

ერაყის ეროვნული უშიშროების მდივანმა მუაფაკ არ-რუბაიმ აგვისტოში ქრისტიანების წინააღმდეგ განხორციელებულ ამ ბარბაროსულ აქციებში დაადანაშაულა აბულ მუსაბ აზ-ზარქავი. არ-რუბაის თქმით, ტერორისტებს სურთ ერაყიდან განდევნონ ქრისტიანთა თემი.

„ბოლო სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ერაყიდან გაქცეულ ქრისტიანთა რიცხვმა 40 ათასს მიაღწია“, — განაცხადა 20 აგვისტოს ერაყის მიგრაციის საკითხთა მინისტრმა პასხაპელ იშო ვარდამ, ერთადერთმა ქრისტიანმა ერაყის მთავრობაში. გაზეთ „აშ-შარქ ალ-ავსათისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ვარდამ აღნიშნა, რომ ერაყიდან ქრისტიანების მასობრივი წასვლის მიზეზი გახდა „ქვეყანაში არსებული უაღრესად საშიში ვითარება და ის ტერორისტული აქტები, რომლებიც ბაღდადისა და მოსულის ეკლესიებში განხორციელდა“. „ტერორისტული აქტების რიცხვის ზრდა და უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები უქმნიან საფრთხეს მთელი ქვეყნის მოსახლეობას, — თქვა შემდეგ მინისტრმა. — მაგრამ ქრისტიანები, რომ-



ლებიც რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ, განსაკუთრებით დაუცველად გრძნობენ თავს ისლამისტი ექსტრემისტების მიერ განხორციელებული ასეთი შემოტევების დროს“.

ერაყში ცხოვრობს 650-800 ათასი ქრისტიანი. ისინი ქვეყნის მთელი მოსახლეობის სულ სამ პროცენტს შეადგენენ.

# ისრაელი ტოვებს ღაზის სექტორის ჩრდილოეთ ნაწილს

**16 დღის განმავლობაში მიმდინარე ოპერაციის შემდეგ, ისრაელის ჯარებმა, როგორც ჩანს, მთლიანად დატოვეს ღაზის სექტორის ჩრდილოეთი ნაწილი.**

ჯარები ღაზის სექტორში შეიყვანეს პალესტინელთა იმ ჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც უშენენ რაკეტებს ისრაელის ტერიტორიას. ოპერაციის მიმდინარეობისას, რომელშიც ისრაელმა ავიაცია და მძიმე ტექნიკაც გამოიყენა, დაიღუპა 100-ზე მეტი პალესტინელი.

ტანკები გამოიყვანეს ლტოლვილების ჯაბალიის ბანაკიდან, აგრეთვე ქალაქებიდან ბეით-ჰანუნიდან და ბეით-ლაჰიიდან.

თვითმხილველთა თქმით, პარასკევს კიდევ ოთხი პალესტინელი დაიღუპა, როცა ისრაელის არმიამ მიაყენა დარტყმები ჯაბალიის ბანაკს.

ისრაელის მხარე ამტკიცებს, რომ ამ დაღუპულთაგან სამი პალესტინელი მოთარეშე იყო, რომლებსაც სურდათ მიეტანათ იერიში ისრაელის პოზიციებზე.

მეორე ინციდენტის შედეგად, ბრმა ტყვიას ემსხვერპლა მოხუცი პალესტინელი ქალი, რომელიც ოჯახის წევრებთან ერთად სადღესასწაულო სუფრასთან იჯდა.

პალესტინელები ამტკიცებენ, რომ ტყვია გაისროლეს ჯაბალიის მახლობლად განლაგებული ისრაელის ჯარების პოზიციებიდან, თუმცა, ისრაელის მხარე უარყოფს ამ ინფორმაციას.

ამავე დროს, ისრაელის არმიამ სასამსახურო მოვალეობების შესრულებისაგან გაათავისუფლა ერთ-ერთი ოფიცერი იმის გამო, რომ ოქტომბრის დამდეგს ღაზში მოკლეს პალესტინელი მოზარდი — გოგონა.

სამხედროები აცხადებენ, რომ ოფიცერი სამუშაოდან დაითხოვეს არაეთიკური ქცევის, აგრეთვე იმის გამო, რომ ვერ გაართვა თავი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

ღაზის სექტორის ჩრდილოეთი ნაწილიდან ისრაელის ჯარების გამოყვანა პარასკევს საღამოს დაიწყო.

როგორც ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზეევ ბოიმმა თქვა, „ჩვენ არ გვსურს ურთიერთობის გაუარესება ადგილობრივ მოსახლეობასთან“.

„ოპერაციის მიზანი მიღწეულია და რაკეტების დაშენა ისრაელის ტერიტორიისათვის საგრძნობლად შემცირდა“, — აღნიშნა მან.

ღაზის სექტორს, რომელშიც მილიონზე მეტი პალესტინელი ცხოვრობს, ისრაელმა 1967 წლიდან დაუწესა კონტროლი.

ისრაელის პრემიერმა არიელ შარონმა გამოთქვა ღაზიდან ებრაელთა დასახლებებისა და ისრაელის ჯარების გამოყვანის გეგმა.



დაახლოებით 8 ათასმა ებრაელმა მოსახლემ და ჯარისკაცებმა, რომლებიც მათ იცავენ, ღაზის სექტორი უნდა დატოვონ 2005 წლის დამლევისათვის, თუმცა ისრაელი აპირებს კვლავ გააკონტროლოს ღაზის სექტორის სახმელეთო და საზღვაო საზღვრები, აგრეთვე, საჰაერო სივრცე.

**გუშინ**

## მხოლოდ შედეგები

**ფეხბურთი.** XVI ეროვნული ჩემპიონატი. XI ტური. „კოლხეთი“ — „თბილისი“ 1:0, „დილა“ — „სიონი“ 2:1, „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ 1:1, „მესტაფონი“ — „ტორპედო“ 1:1, „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:0.

**კალათბურთი.** დუდუ დადიანის III მემორიალი. II ტური. „თუჯი“ (რუსთავი) — „ბურჯი“ (თელავი) 89:77, „დინამო“ — სსუ 106:49, სტუ — „მაქაბი“ 107:86, თსუ — ნტდ (ბაქო) 67:71.

**ჭიდაობა**

## მიხეილ სალაძის თასზე

**საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივით, მსოფლიო ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ სალაძის თასის გათამაშებას ტრადიციულად გლდანის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის (დირექტორი ალბერტ კუხიანიძე) სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა.**

შეჯიბრებაში, რომელიც მეშვიდედ გაიმართა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 258 ჭაბუკი ჩაება. ასპარეზობამ, რომელიც საკმაოდ დაბალ დონეზე ჩატარდა, ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა.



მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრება ფილას ახალი წესებით გამართა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: მინდია გობაძე (ხულო), იონა ქუთათელაძე (წყალტუბო), ირაკლი რაზმაძე (მარტყოფი), ლაშა ლოლაშვილი (თბილისი), გია ტულუში (ოზურგეთი), ზვიად ოქრაძე (ბათუმი), კახაბერ მექვაბიშვილი, ირაკლი ფიფაიშვილი (ორივე — ოზურგეთი), ზაზა შავაძე (ხულო), მათე სოფაძე (გლდანის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი), გენო ხელაია (რუსთავი).

27-28 ოქტომბერს ამავე სასწავ- [redacted]

**ჩვენებურები**

# ალექსანდრე დოხტურიშვილი: მზად ვარ, საქართველოს სახელით ვიასპარეზო

***„ანო ლიოსიას“ სპორტის სასახლის ტრიბუნები იმ საღამოსაც გადაიჭედა. ქომაგთა შორის მრავლად იყვნენ ქართველებიც. მიზეზიც ჰქონდათ — ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად ერთმანეთს ეცილებოდნენ ფინელი მარკო ული-ჰანუკსელა და სართიჭალაში დაბადებულ-გაზრდილი ალექსანდრე დოხტურიშვილი, რომელიც უზბეკეთის სპორტულ ღირსებას იცავდა.***

გულშემატკივრები გამაყრუებელი ყიჟინით ამხნევებდნენ მეტოქეებს. ქართველმა ფალავანმა აშკარად დაჩაგრა ფინელი: ორჯერ ტრიალით ორ-ორი ქულა აართვა, თავად კი მხოლოდ ერთი დათმო, საბოლოოდ 4:1 გაიმარჯვა და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. უზომოდ გახარებულმა უზბეკეთის ეროვნული დროშით ორჯერ შემოურბინა ხალიჩას...

**ალექსანდრე დოხტურიშვილი** ისევ თბილისშია. თავისი მწვრთნელის — ჯონი რეხვიაშვილის ხელმძღვანელობით ფალავანთა კლუბში განაგრძობს ვარჯიშს. „დოხტურამ“, როგორც მას სიყვარულით ეძახიან ახლობლები, ჭიდაობა 15 წლისამ (1980 წლის 22 მარტს დაიბადა) დაიწყო. 1999 წელს ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. მსგავსი შედეგი ჰქონდა მომდევნო წელს მსოფლიო პირველობაზეც, სამაგიეროდ, ევროპელი თანატოლები დაჩაგრა. 2001 წელს კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა დიდებშიც. წლეულს უზბეკეთის სახელით აზიელები დააჩოქა, ათენში კი ოლიმპიურ ოქროსაც გაუსინჯა გემო.

ფალავანთა კლუბში ალექსანდრე დოხტურიშვილთან საუბარი სწორედ ელადური ბატალიების გახსენებით დავიწყეთ.

— პირველ მეტოქედ უნგრელი თამაზ ბერზიცა მყავდა, — მითხრა მან. — იგი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია, კარგი მოჭიდავე. თავიდან ქულა ამართვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავამარცხე 4:2. მძიმე ორთაბრძოლა გადავიტანე, ჯგუფის დანარჩენ წევრებთან გამკლავება არ გამჭირვებია. ჭიდაობის ეშხში რომ შევედი, იოლად ვძლიე აზერბაიჯანელ ვუგარ ასლანოვს და ბერძენ ალექსიოს კოლითსოპულოს.

**— ნახევარფინალში რუსეთელ ვარტერეს სამურგაშევს როგორღა მოუგე? როგორც მითხრეს, მის ძმებს მთელი ჭიდაობის სამყარო ჰყოლიათ მოსყიდული...**

— (ეცინება). მეც მსმენია ამგვარი რამ. თუმცა, უზბეკებსაც აქვთ თავიანთი წონა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში, ამიტომ მითხრეს, მსაჯების ნუ შეგეშინდება, ამ მხრივ პრობლემები არ გექნება, შენ მხოლოდ იჭიდავე, დაამტკიცე, რომ მასზე ძლიერი ხარო. როცა ასეთ იმედს გაძლევენ; იცი, რომ არბიტრები არ „დაგწვავენ“, ხალიჩაზეც უფრო ბრძოლისუნარიანი ხდები. არაერთხელ მინახავს სამურგაშევის ჭიდაობა. 2000 წლის ოლიმპიადაზე სიდნეიში აკაკი ჩაჩუას მსაჯებმა წააგებინეს მასთან აშკარად მოგებული ნახევარფინალური შეხვედრა. არადა, აკაკი ჩემპიონი გახდებოდა. შარშანწინ ბადრი ხასაია ორჯერ ეჭიდავა მას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში.

რამდენიმე წლის წინათ სამურგაშევი მოსკოვში, მგონი, დაჭრეს. მას შემდეგ სუნთქვა უჭირს. ძმებიც იმიტომ იხდიან ფულს, რომ მსაჯებმა ვარტერესის მეტოქეები ორთაბრძოლის პირველ ორ წუთში დაჩაგრონ. რუსეთელმა ფალავანმა მერე იცის, როგორ შეინარჩუნოს უპირატესობა. ათენშიც იყო ამგვარი ცდა. პირველი მან „ამქაჩა“, მე კი „დავხურე“, ორივეს თითო ქულა მოგვცეს. ამას არ ელოდა, ამიტომ ფსიქოლოგიურად გატყდა. მისი დამარცხების შემდეგ ფინელი ული-ჰანუკსელას ძლევა არ გამჭირვებია ფინალში.



**— რა იგრძენი, გადამწყვეტი ორთაბრძოლა რომ მოიგე?**

— ვერ დავიჯერე, რომ უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. მე ხომ შემთხვევით მოვხვდი ათენში. შარშან საქართველოს ჩემპიონატში დამარცხების შემდეგ ოლიმპიადაზე ფიქრი შორეული ოცნება იყო. მაშინ გადავწყვიტე უცხოეთში წასვლა. ბევრი მეგობარი მყავს შუა აზიაში და მეც ტაშკენტს მივაშურე. თბილისშიც ხელი არ შეუშლიათ ჩემი განზრახვისთვის. სამ თვეში მომცეს უზბეკეთის პასპორტი. მერე იქაურ ჩემპიონატში ვიასპარეზე. ფინალი წავაგე ტრავმის გამო — შუბლი გამისკდა. გამარჯვება ჩემს მეტოქეს მიაკუთვნეს, რადგან ბიძამისი ჭიდაობის ფედერაციის ერთ-ერთი მესვეურია. თუმცა, მალევე მიხვდნენ, რომ ის ბიჭი ჩემი დონის მოჭიდავე არ იყო. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატზე მე წამიყვანეს. იქ კი რუსებმა მიმუხთლეს — ფილაში იჩივლეს, მაგას ჯერ უზბეკეთის სახელით გამოსვლის უფლება არა აქვსო და არ მაჭიდავეს. სერბეთის სალიცენზიო ტურნირში მაინც მოვიპოვე ელადის საგზური, თუმცა, იქაც წამაგებინეს ფინალი კუბელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ფილიბერტო ასქუისთან, რომელიც ათენში ფინელთან დამარცხდა.

**— ხალიჩას უზბეკეთის ეროვნული დროშით რომ შემოურბინე, რა ინატრე?**

— ნეტავ, ეს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა იყოს-მეთქი.

**— ამბობენ, უზბეკებმა დოხტურიშვილს საჩემპიონო ხალათის ჯიბეებში 200 ათასი დოლარი ჩაუდესო, მართალია?**

— ხალათის ჯიბეებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სახელმწიფომ 100 ათასი დოლარით დაგვაჯილდოვა მე და არტურ ტაიმაზოვი, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში გახდა ჩემპიონი. ამდენივე ფედერაციის პრეზიდენტმა სალიმ აბდულალიევმა გვაჩუქა. უზბეკეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ოლიმპიადის ყველა მონაწილეს 10-10 ათასი დოლარი დაურიგა, არავინ განუსხვავებიათ, როგორც ეს საქართველოში მოხდა. ჩემპიონები, მართლაც იმსახურებდნენ მაღალ ჯილდოებს, მაგრამ ვერცხლის პრიზიორებმა რა დააშავეს? რამაზ ნოზაძე 20 წლის ბიჭია, უყურადღებობით გული აუცრუვდება, მით უმეტეს, რომ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ მამიაშვილმა დაადგა თვალი. კარგ პირობებს შესთავაზებენ და ისიც წავა.

**— რა დროს წასვლაზეა საუბარი, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამშობლოში უხმობს ქვეყნიდან გადახვეწილთ. შენც ხომ შეხვდი ბატონ მიხეილს. რამდენად რეალურად მიგაჩნია საქართველოში დაბრუნება?**

— მზად ვარ, ნებისმიერ შეჯიბრებაზე ჩემი ქვეყნის სახელით ვიასპარეზო, მაგრამ ყველაფერი სურვილზე როდია დამოკიდებული — ოლიმპიურ ჩემპიონს იოლად არავინ შეელევა, თვითნებურად კი ვერ წამოვალ. ჯერ ერთი, რომ ეს უმადურობა იქნება და, მეორეც, სულ მცირე, სამწლიან დისკვალიფიკაციას მომცემენ. მე აქ მოსალაპარაკებლად არ ჩამოვსულვარ, ოჯახის წევრები და ახლობლები მოვინახულე.

როგორც გითხარით, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს სახელით ასპარეზობა ჩემი ოცნებაა, მაგრამ ახლა ყველაფერი ქართულ და უზბეკურ მხარეთა მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული...

იმედია, ქართული სპორტის მესვეურები არაფერს დაიშურებენ ოლიმპიური ჩემპიონის — ალექსანდრე დოხტურიშვილის სამშობლოში დასაბრუნებლად, რათა მან კვლავ ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება დაიცვას.

**ვაჟა დანელია.**

[redacted]



[redacted]

მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ“, — თქვა იკონომუმ.

2004 წლის ოლიმპიადის შემდეგ საბერძნეთის მთავრობას მრავალმა ქვეყანამ მიმართა დიდი სპორტული ღონისძიებების უსაფრთხოებაში ამ გამოცდილების გასაზიარებლად. ამაზე პრესას აცნობა საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა გეორგიოს ვულგარიკისმა. პირველ რიგში ასეთი თხოვნით მიმართეს ტურინისა და პეკინის ხელისუფლებმა, სადაც (შესაბამისად) უნდა გაიმართოს 2006 წლის თეთრი ოლიმპიადა და 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადა.

შეგახსენებთ, რომ საბერძნეთმა ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მილიარდ ევროზე მეტი დახარჯა. მას კონსულტაციას უწევდა 7 ქვეყანა, მათ შორის აშშ, ისრაელი, საფრანგეთი, ნატოს შენაერთები კი იცავდნენ ქვეყნის საჰაერო და საზღვაო საზღვრების ხელშეუხებლობას.

## ვანდალებმა შუმახერებიც არ დაინდეს

**ღიახ, ვანდალებმა შებილწეს სახელგანთქმული პილოტების მიხაელ და რალფ შუმახერების დედის საფლავი. მათ წააქციეს საფლავის ქვა, კუბომდე გათხარეს საფლავი, ოღონდ თავად კუბო არ გაუხსნიათ.**

როგორც ჩანს, იქ მძარცველები მოქმედებდნენ, რომლებიც დახარბდნენ კუბოს სახურავზე დამაგრებულ



ჯვარს, მაგრამ ფიქრობენ, ისინი ვიღაცამ ან რაღაცამ დააფრთხო, რადგან კუბო ვეღარ გახსნეს.

„შეძრწუნებული ვარ, — თქვა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა, — ნუთუ ასეთი ადამიანებიც არიან! დედამიწა მათ როგორ იტანს?

„ზოგიერთისთვის არ არსებობს წმიდათაწმიდა რამ“, — დაამატა რალფმა.

ხუთშაბათს, დღის მეორე ნახევარში საფლავი ისევ ამოავსეს, პოლიციამ კი საქმის გამოძიება დაიწყო.

## ჩოგბურთს თუ სანახაობა აკლდა?!

**მომავალ კვირას მადრიდში იწყება საჩოგბურთო ტურნირი. მისმა ორგანიზატორებმა მაყურებელთა გაოცება გადაწყვიტეს. ცენტრალურ კორტზე მოთამაშეებს, ბიჭუნებისა და გოგონების ნაცვლად, ბურთებს მიაწვდის 25 ტოპმოდელი.**

ესპანელების მწვრთნელმა ხულიო ნეიტომ აღიარა, რომ მისთვის ადვილი როდი იქნება მოდელებისათვის ამ საქმის სწავლება. „მაგრამ ბედნიერი ვიქნები, თუ მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს ეს სიახლე მოეწონებათ“.

## ჯავრს ტელევიზორებზე იყრიან (?!)

**შარშან ფეხბურთში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რუმინეთის ეროვნული ნაკრების წარუმატებლობის გამო გულშემატკივრებმა ფანჯრებიდან ტელევიზორები გადაყარეს. როგორც ჩანს, მათ ისევ დაიწყეს წინასწარი ვარჯიში, თუკი მათი ნაკრები გზას ვერ გაიკვლევს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირისაკენ.**

კინაღამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ჩეხებთან ამასწინანდელი დამარცხების (0:1) შემდეგ ფანჯრებიდან ნატყორცნმა ტელევიზორებმა. იან კოპლერის პენალტმა, მატჩის ბედი რომ გადაწყვიტა, ისე გააღიზიანა 43 წლის რუმინელი გიცე აკსინცე, რომ ფინალურ სასტვენთან ერთად „საძულველი“ ტელევიზორი ფანჯარაში მოისროლა და მხოლოდ სასწაულს გადაურჩა მისი ქვედა მეზობელი რადუ დემერგიუ, რომელიც აივანზე ძმასთან ერთად მატჩის შედეგებს არჩევდა.

„თავდაპირველად გავოცდი გიცეს საქციელით, — იხსენებს დემერგიუ, — მაგრამ როცა შევიტყვე, რომ ისიც ფეხბურთს უყურებდა, სავსებით გავიზიარე მისი აღშფოთება“.

## ლურსმანიც იარაღი ყოფილა

**რინგზე რაღა არ ხდება. აბა, გაიხსენეთ, მაიკ ტაისონმა გამარჯვების წყურვილით ევენდერ ჰოლიფილდს ყური მოაკვნიტა. პოლონელი მოკრივე ანჯეი გოლოტა კი მეტოქეს რეგულარულად წელს ქვევით ურტყამდა.**



ახლა უფრო შორს წავიდა ჯერომ იანგი. რათა თავისი მეტოქე უილიამ ლეინი დაეჯაბნა, მან ლურსმანი გამოიყენა. ამ ცივი იარაღით მან რამდენჯერმე დაარტყა ოპონენტს და იატაკზე დაანარცხა.

იანგის სასამართლო განზრახ მკვლელობის ბრალდებით 2 ნოემბერს გაიმართება.

## რონალდო ქორწინდება

**ფეხბურთის მინდორზე მისი ყველას ეშინია, ამიტომაც შეარქვეს ფენომენი. აქამდე ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა. მაგრამ პირად ცხოვრებაში მარცხი იწვნია: პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა (ამაზე უკვე რამდენჯერმე ვწერდით), თანაც მისი ყოფილი ცოლი ახლა „დროს ატარებს“**



**ქმრადყოფილის თანაგუნდელებთან. რონალდომ ღირსეულ პასუხად ხელახალი ქორწინება მიიჩნია.**

მისი რჩეულიც ცნობილია — ბრაზილიელი ფოტომოდელი დანიელა ჩიკარელი. თუმცა ფეხბურთელი რატომღაც ქორწინებას აგვიანებდა.

მაგრამ ყოფილი ცოლის ბოლო გამოხდომის შემდეგ (იხ. ჩვენი გაზეთის 14 ოქტომბრის ნომერი), რონალდომ მეორე ქორწილი დანიშნა. ის 2005 წლის 2 იანვარს გაიმართება.

**სპორტის რედაქცია**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 241, კვირა, 17 ოქტომბერი, 2004 წელი.

## სარკე – ათასობით ჩიკაგოელისათვის

**ჩიკაგო უზარმაზარი ცათამბჯენებისა და მწვანე პარკების ქალაქია, იგი მნახველს აოცებს თავისი არქიტექტურული ექსპერიმენტებით. მიმდინარე წლის ზაფხულში ჩიკაგოს დაემატა კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა – ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ძველი გრანდ-პარკის მახლობლად, გაიხსნა ახალი პარკი, რომელსაც მილენიუმ-პარკი (ათასწლეულის პარკი) შეარქვეს.**

მისი პროექტი, ჯერ კიდევ 1997 წელს შეიმუშავეს. პარკის შექმნაში ჩაებნენ ცნობილი არქიტექტორები და დიზაინერები. ასე რომ, თავდაპირველ ჩანაფიქრს საკმაოდ არაორდინარულად შეესხა ხორცი. მეგაპოლისის შუაში ამოიზარდა უჩვეულო არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც უკვე აღიარეს ახალი ათასწლეულის ერთ-ერთ ყველაზე ექსტრავაგანტულ პროექტად. მისი მშენებლობა თითქმის 500 მილიონი დოლარი დაჯდა. 24 აკრ ფართობზე გადაჭიმულ მილენიუმ-პარკს ახლა თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ჩიკაგოს ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო.

გრანდ-პარკის აღმოსავლეთი ნაწილიდან აქ მოსვლა შეიძლება ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ტალღისებრი ხიდით, რომელსაც ბი-პი ეწოდება (ცნობილი თანამედროვე ფრანგი არქიტექტორის ფრანკ ჯერის ნამუშევარი), რომელიც მდორედ ეშვება ქვემოთ, როგორც უზარმაზარი მახრჩობელა გველის სხეული. ხიდიდან იშლება მიჩიგანის ტბის ნაპირზე გაშენებული ქალაქის საოცარი ხედი. ახალ პარკში „ბინა დაიდო“ ფრანკ ჯერის კიდევ ერთმა ქმნილებამ – ჯეი პრიცკერის სახელობის პავილიონმა. ეს, ალბათ, არის შეერთებულ შტატებში არსებული ყველაზე ორიგინალური და დახვეწილი ღია საკონცერტო მოედანი. თუ საკონცერტო დარბაზის უჩვეულო არქიტექტურით დატკბობა შორიდანაც შეიძლება, სკულპტურული ქმნილება – „კარიბჭე ღრუბელი“ გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. ამ 110-ტონიან ელიფსის მოყვანილობის ნაგებობასთან, რომელიც თავისი ფორმითა და ბრწყინვალებით ვერცხლისწყლის უზარმაზარ წვეთს მოგვაგონებს, ყოველთვის უამრავი ხალხი იყრის თავს. ეს სკულპტურა შექმნა



უჟანგავი ფოლადის მილიონობით ფურცლისგან მსოფლიოში ერთ-ერთმა ცნობილმა მოქანდაკემ ენიშ კაპურმა. ამ უზარმაზარ წვეთში, როგორც მრუდე სარკეში, აისახებიან ადამიანები, ჩიკაგოს უზარმაზარი ცათამბჯენები, ცაში მიმოფანტული ღრუბლები და თვით პარკი მისი საოცარი ნაგებობებით.

პარკის კოლექციის კიდევ ერთი მშვენებაა კრაუნ-შადრევანი – ესპანელი მოქანდაკის ჰაუმე პლენსის ნამუშევარი. იგი შედგება მინის ბლოკებით აწყობილი ორი 15-მეტრიანი კოშკისგან, რომლებიდანაც წყლის ჭავლი მოედინება.

## ტყუპებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**საფრანგეთის ბრეტანის მხარეში მდებარე პატარა სოფელი პლეკადეკი სამართლიანად მიიჩნევს თავს ევროპელი ტყუპების დედაქალაქად. სოფლის შესასვლელთან ასეთ აბრას შეხვდებით: „პლეკადეკი. ტყუპების სოფელი“. და ეს სავსებით სერიოზული განცხადება გახლავთ. რადგან, სოფელში, რომლის მოსახლეობაც სულ 1525 კაცს შეადგენს, 32 წყვილი ტყუპი ცხოვრობს.**

ზოგი მათგანი აქ დაიბადა, ზოგიც კი საცხოვრებლად გადმოვიდა სხვა რაიონებიდან, რადგან უფრო ახლოს ყოფილიყო „თავისიანებთან“. ადგილობრივი მცხოვრებლები უკვე კარგა ხანია შეეჩვივნენ იმას, რომ მათ მშობლიურ სოფელში ტყუპები უფრო ხშირად იბადებიან, ვიდრე სადმე სხვაგან. და რადგან ეს ასეა, მაშ, რატომ არ უნდა მოეწვიათ ტყუპები სტუმრად მსოფლიოს ყველა კუთხიდან? ასეთი აზრი პირველად თავში მოუვიდა ადგილობრივ მცხოვრებს ალენ ლონეს – ტყუპი გოგონების მამას. ტყუპების პირველი შეკრება გაიმართა 1994 წელს. მაშინ პლეკადეკში ჩავიდა 300 ტყუპი. მალე კი სოფელში ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება „ორი შვილი და კიდევ მეტი პლეკადეკში“. გადაწყდა, რომ ტყუპების შეკრებები ყოველწლიურად უნდა გამართულიყო. დროთა განმავლობაში პატარ-პატარა შეკრებები საერთაშორისო დღესასწაულად იქცა. მიმდინარე წელს, ამ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული თითქმის 8 ათასი კაცი.



## დაიწყო ახალი მსოფლიო ომი ტერორიზმთან

### ასე მიაჩნია ცნობილ ინგლისელ მწერალს ფრედერიკ ფორსაიტს

***შეხვედრას წიგნების „ტურის დღის“, „ოდესა ფაილის“, „მეოთხე ოქმის“ და მრავალი სხვა ნაწარმოების ავტორთან და მის აზრებს პოლიტიკისა და ლიტერატურის შესახებ მიეძღვნა სტატიების სერია ლონდონის „დეილი ექსპრესში“, მათ შორის გაზეთის კორესპონდენტის ჯენიფერ სელვეის მასალაც, რომელსაც დღეს გთავაზობთ.***

თბილი, მზიანი დღე იყო. ფრედერიკ ფორსაიტს – ბრიტანეთში, ალბათ, ყველაზე პოპულარულ პროზაიკოსს, ლონდონში შევხვდი.

– არ ვიცი, რაზე ვწერო, – თქვა მან და მორიგი სიგარეტი ამოიღო პორტსიგარიდან. – დასრულდა ცივი ომი, წარსულს ჩაბარდა ჯაშუშების დრო, აღარც კოლუმბიის კოკაინის მეფეები არიან. ყოველივე ამის შესახებ ბევრი რამ მითქვამს, ისევე, როგორც ბირთვულ საფრთხეზე, რომელიც ყველას გვემუქრება, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის „ბოროტ ძალებზე“, ჩვენს ღირსეულ ბიჭებზე, ნაცისტებზე, დაქირავებულ მკვლელებზე, სპეციალური დანიშნულების ჯარების მეომრებზე და სხვებზე...

ჩვენი შეხვედრა შედგა 2001 წლის 29 აგვისტოს, ორი კვირის შემდეგ კი – 11 სექტემბერს – მსოფლიო შეიცვალა. ამის შესახებ ვესაუბრე მწერალს უკვე მაშინ, როცა ამ ტრაგიკული მოვლენებიდან თითქმის სამი წელი გავიდა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით მის მშვიდ და მყუდრო ფერმაში, რომელიც ჰერტფორდშირის საგრაფოში მდებარეობს.

– ახლა დაიწყო ახალი მსოფლიო ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. მაგრამ კულმინაცია დადგება მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, – შენიშნა მან.

ფრედერიკ ფორსაიტი, როგორც წესი, წინასწარმეტყველია. მაგალითად, მან თითქმის ზუსტად გამოიცნო ირანის შაჰის დამხობის დღე. საიდან აქვს ამ ადამიანს ასეთი ნიჭი?

– ხშირად მაქვს ურთიერთობა ხალხთან, – მიპასუხა მან.

როცა ფორსაიტი არ მუშაობს მორიგ ნაწარმოებზე, იგი გულდასმით შეისწავლის თავისი მკითხველების წერილებს და ცდილობს ყველას დაწვრილებითი პასუხი გასცეს. თანაც, იგი ძველებური საბეჭდი მანქანით მუშაობს. მან შეიძლება იცოდეს, თუ რა აქვს საუზმედ ბენ-ლადენს, მაგრამ ელექტრონული ფოსტა ფრედერიკ ფორსაიტისათვის კვლავ გამოცანად რჩება.

– ვერაფერი გავუგე ამ ათასგვარ ლოგოებსა და სხვა კომპიუტერულ ნიშნებს, – აღიარა ფორსაიტმა. – თუმცა, ეს მე არც მჭირდება. ჩემი საქმეა დავწერო ტექსტი.

ფრედერიკი დაიბადა 1938 წელს კენტის საგრაფოში, წვრილი მოვაჭრის ოჯახში. იგი ჩვიდმეტი წლის იყო, როცა ესპანეთში გაემგზავრა ენის შესასწავლად, თუმცა, იქ მატადორის ხელოვნებასაც დაეუფლა. ინგლისში დაბრუნების შემდეგ, იგი გახდა მისი უდიდებულესობის სამხედრო-საჰაერო ძალების ყველაზე ახალგაზრდა მფრინავი. შემდეგ დაეუფლა კიდევ ერთ პროფესიას – რეიტერის კორესპონდენტად გაემგზავრა აფრიკაში, სადაც უნდა გაეშუქებინა ბიაფრში მიმდინარე ომი. და უნდა ითქვას, რომ იქ ფრედერიკი მარტო უბის წიგნაკით კი არა, ავტომატითაც იყო შეიარაღებული.

– ჩემი პირველი ცოლი – კეროლი 1970 წელს გავიცანი, – იხსენებს მწერალი. – იგი მოდელი იყო. სამი წლის შემდეგ ქორწილი გადავიხადეთ და შეგვეძინა ორი ვაჟი. სამწუხაროდ, 1988 წელს ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. არა, ეს ფულთან ან რომელიმეს მხრიდან ღალატთან დაკავშირებული არ ყოფილა. უბრალოდ, ბოლო ხანებში, ჩვენ ხშირად მოგვდიოდა ჩხუბი.

ცოლთან განქორწინების შემდეგ ფრედერიკმა იყიდა 175 აკრი ფართობის მამული და ახლა ცხოვრობს იქ თავის მეორე ცოლთან – სენდისთან და უფროს ვაჟთან სტიუარტთან ერთად, რომელიც კეროლისგან შეეძინა.

– ოცდაათ წლამდე თავშიც კი არ მომსვლია რაიმე დამეწერა. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ადამიანმა უნდა შეიძინო მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება მანამ, სანამ საწერ მაგიდას მიუჯდებოდე.

მისი პირველი წიგნი „ტურის დღე“ მრავალი გამომცემლისთვის მიუღებელი იყო. მაგრამ, როცა 1970 წელს წიგნი გამოიცა, ავტორი საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი გახდა. ამ ნაწარმოების მიხედვით გადაიღეს ძალზე პოპულარული ფილმი. შემდეგ კი გამოჩნდა სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც ახლა უკვე კლასიკადაა მიჩნეული – „ოდესა ფაილი“, „მეოთხე ოქმი“.

– დარწმუნებული ვარ, რომ წიგნები ჩვენთან კიდევ დიდხანს დარჩებიან, იქნებ სამუდამოდაც კი, – თქვა ფრედერიკმა. – რამდენჯერ უწინასწარმეტყველებიათ, რომ წიგნების მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაიკარგებოდა! გვარწმუნებდნენ, თითქოს რადიო და ტელევიზია, აგრეთვე, კომპიუტერი „მოკლავდნენ“ ლიტერატურას. და რა გამოვიდა? ახლა ჩვენ გვაქვს ერთიც, მეორეც და მესამეც ადამიანები კი მაინც კითხულობენ წიგნებს.

66 წლის ფორსაიტი დღესაც ინარჩუნებს ბრძოლისუნარიანი აქტიური მამაკაცის იმიჯს. შვებულებებს იგი ტროპიკულ ქვეყნებში ატარებს, სადაც ნადირობით და წყალქვეშა ცურვით ერთობა. მის მიერვე შექმნილ სურათების სერიაში ფორსაიტმა საკუთარი თავი წარმოგვიდგინა, როგორც გიგანტთან მებრძოლი ძველი ეპოსიდან.

შარშან შემოდგომაზე მან კიდევ ერთი სიტყვა თქვა ლიტერატურაში. ფორსაიტის მოთხრობა „შურისმაძიებელი“ ბესტსელერი გახდა. ეს არის თრილერი ვიეტნამის ომის ვეტერანის შესახებ, რომელსაც დღეს არც თუ ისე პატიოსანი გზით უხდება ლუკმა-პურის შოვნა. ფორსაიტი ამჟამად მუშაობს ახალ მოთხრობაზე, რომლის დასრულებასაც 2006 წლისთვის აპირებს.

როგორც ყოველთვის, მწერალი ბევრს და საკმაოდ არატრაფარეტულად მსჯელობს პოლიტიკაზე.

– თითქმის არავინ ამბობს სიმართლეს ერაყის ომის შესახებ, – თქვა მან. – სიმართლე კი ასეთია. ჯერ კიდევ 2002 წლის შემოდგომაზე შეერთებულმა შტატებმა ერთ მუშტად შეკრა ისეთი უზარმაზარი არმია, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ფლოტი, რომ ყოველივე ამის დაშლა უკვე შეუძლებელი იყო. პრეზიდენტმა ბუშმა ამ ძალას კონკრეტული მიზანი დაუსახა. და რაც არ უნდა ეთქვათ გაეროში, ადრე თუ გვიან, მაინც გაისმებოდა ასეთი ბრძანება: „წინ!“. ტონი ბლერსაც ერთადერთი არჩევანი ჰქონდა: ან ბუშისთვის უნდა გაემაგრებინა ზურგი, ან დამორჩილებოდა ევროპელებისა და საკუთარი ხალხის განწყობილებას. მან პირველი გზა არჩია – აუწყო ფეხი თავის ბატონს.

– თუ ჩვენი პრემიერ-მინისტრი არ აღიარებს, რომ დაუშვა შეცდომა და ნებაყოფლობით არ გადადგება, ჩვენ, ამომრჩევლები, ვაიძულებთ მას ამის გაკეთებას უახლოეს არჩევნებზე, მომავალი წლის გაზაფხულზე, დარწმუნებულია ფრედერიკ ფორსაიტი.

ამ ადამიანისთვის მიუღებელია კომპრომისი როგორც ლიტერატურაში, ისე პოლიტიკაში.

**მიხეილ ოზეროვი.**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## დოსტოევსკის გამო როგორ იძია შური სისტემურმა მათემატიკოსმა

***როგორც ცნობილია, სამორინეებში, ალბათობის თეორიის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში, თვით ამ სათამაშო სახლის პატრონებს რჩებათ გამარჯვება. ამიტომაც, მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გამოიგონა აზარტული თამაშები, გამოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სურთ ამ უძლეველთა დამარცხება, ცდილობენ მიაგნონ თამაშის რაღაც იდუმალ კანონზომიერებას. ყველაზე გონებამახვილურ მოთამაშეებს, მათ შორის დიდ თევდორე დოსტოევსკისაც, რა სისტემები და მეთოდები არ გამოუგონებიათ, მაგრამ ისინი ყველა, როგორც დიდი რუსი მწერალი, საბოლოო ანგარიშით მაინც მარცხდებოდნენ.***

***ამიტომაც, ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ამბავი, რომელიც ესპანეთში მოხდა. იმის მტკიცება, რომ აღსრულდა აზარტული თამაშების მოყვარულთა საუკუნოვანი ოცნება, ალბათ, ნაადრევია, მაგრამ, ამაში გარკვეული წილი სიმართლე მაინც უნდა იყოს.***

### „გრან-მადრიდის“ სამორინის უბედურება

**დავიწყოთ ბოლოდან. ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ ამ ცოტა ხნის წინათ დაადგინა, რომ უკანონოდ უნდა ცნონ მადრიდის უდიდესი სამორინის „გრან-მადრიდის“ გადაწყვეტილება, რომელმაც ესპანელ სისტემურ მათემატიკოსსა და ინფორმატიკის დარგის სპეციალისტს გონსალო გარსია პელაიოს აუკრძალა სამორინეში მისვლა, რადგან იგი „თაღლითურ ტრიუკებში“ დაადანაშაულა. მოსამართლეებმა გაამართლეს მათემატიკოსი, და ამიერიდან მას შეუძლია შესვლა ქვეყნის ნებისმიერ სათამაშო დაწესებულებაში.**

„გრან-მადრიდის“ სამორინის ხელმძღვანელობამ ისარგებლა უფლებით, რომლის თანახმადაც მას შეუძლია სამორინეში შესვლა აუკრძალოს თაღლითობაში ეჭვმიტანილ პირებს, და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იმის საფუძველზე, რომ პელაიო და მისი გუნდის წევრები, რომელშიც მათემატიკოსის 10 ნათესავი და მეგობარი შედის, 1993 წლიდან მოყოლებული სისტემატურად ამარცხებდნენ ამ სათამაშო დაწესებულებას, ისევე, როგორც ქვეყნის სხვა სამორინეებს და მრავალი მილიონის მოგებაც შეძლეს.

მაგალითად, 1994 წლის მარტში, მარტო ერთი ღამის განმავლობაში მათემატიკოსმა და მისმა თანაშემწეებმა „გრან-მადრიდიდან“ გაიტანეს 110 მილიონი პესეტა. სწორედ ამის შემდეგ კაზინომ, რომელსაც გაკოტრების საფრთხე დაემუქრა, გადაწყვიტა, არ დაეშვა ეს ადამიანები რულეტის სათამაშოდ, რადგან ეჭვობდა, რომ ისინი რაღაც მაქინაციას მიმართავდნენ თამაშის მომენტში, თუმცა ამის არანაირი მტკიცებულება არ ჰქონიათ.

ამ ამბავმა იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია ესპანეთში. „პელაიოს გუნდმა“ კი დაიწყო მოგზაურობა სხვა ქვეყნების სამორინეებში, სადაც ასევე დამაჯერებლად იგებდა დიდ თანხებს. ამ მიზეზით საფრანგეთის სათამაშო დაწესებულებებმა, აგრეთვე, მონტე-კარლოს სახელგანთქმულმა სამორინემ აუკრძალეს იღბლიან ესპანელს თავიანთ კაზინოებში შესვლა, თუმცა ვერ შეძლეს დაესაბუთებინათ თავიანთი ასეთი გადაწყვეტილება, რადგან ყველაფერი, როგორც იტყვიან, „სუფთად კეთდებოდა“.

მოთამაშე-მათემატიკოსისა და მისი გუნდის წევრების მიმართ გამოთქმულ ყველა ბრალდებას, განხილვის შემდეგ უსაფუძვლოდ ცნობდნენ. გასული 10 წლის განმავლობაში მადრიდის ავტონომიური ოლქის მთავრობის, ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ესპანეთის დედაქალაქის უმაღლესი სასამართლო ინსტანციების წარმომად-



გენლებმა აღიარეს, რომ პელაიო და მისი კომპანია კორექტულად და კანონის სრული შესაბამისობით მოქმედებდნენ. თუმცა, სამორინემ მაშინვე გააპროტესტა ეს გადაწყვეტილება შემდგომ უმაღლეს ინსტანციაში, და პასუხის მოლოდინში, ეს კი ესპანეთში, ჩვეულებრივ, რამდენიმე წლის განმავლობაში ჭიანურდება, „გრან-მადრიდის“ დაცვის მუშაკები, უბრალოდ არ უშვებდნენ სამორინეში პელაიოსა და მის „თანამებრძოლებს“. ამ ისტორიისადმი ინტერესი კიდევ უფრო მეტად გააღვივა იმან, რომ მთავარმა გმირმა დაწერა და გამოაქვეყნა წიგნი – „პელაიოს ოჯახის უჩვეულო თავგადასავალი“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. წიგნი იმდენად საინტერესოა, რომ საფრანგეთში ახლა ამ ნაწარმოების მიხედვით ფილმსაც კი იღებენ, და იმდენად დამაჯერებელია, რომ საფრანგეთის ყველა სამორინემ კვლავ დართო თამაშის ნება პელაიოს.

### პელაიოს ყველასათვის ხელმისაწვდომი საიდუმლოებები

**ამ წიგნში პელაიო მკითხველს უამბობს არა მარტო თავის თავგადასავალს, რომელიც მწვავე და პიკანტური სიტუაციებით არის აღსავსე, არამედ საკმაოდ გულახდილადაც ამხელს თავის საიდუმლოებებს. იგი დაწვრილებით მოგვითხრობს მის მიერ შემუშავებულ მეთოდიკაზე, რომლის წყალობითაც პელაიო უფრო ხშირად იგებდა, ვიდრე აგებდა.**

ეს მეთოდიკა საკმაოდ რთული გასაგებია, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც საფუძვლიანად ვერ ერკვევიან მათემატიკასა და ინფორმატიკაში, რადგან ეფუძნება სხვადასხვა მაგიდაზე რულეტის თამაშის შედეგების ხანგრძლივ და ზედმიწევნით ფიქსირებას და მათ შემდგომ პროცესირებას უახლესი კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით. „პელაიოს საიდუმლო“, როგორც ავტორი ამტკიცებს, მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი რულეტის მექანიზმს აქვს რაღაც დეფექტი – ან იმ მასალის გამო, რომლითაც რულეტია დამზადებული, ან სპეციალურად ჩამონტაჟებული რაიმე სამარჯვის შედეგად – და ამიტომაც, ამ მოწყობილობის იდეალური მუშაობა შეუძლებელია. ეს დეფექტები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ კიდეც იმას, თუ რომელ ნომერზე გაჩერდება ბურთულა. მოთამაშე-მათემატიკოსმა დიდი შრომის შემდეგ, შეძლო ამ ციფრების პოვნა, ჩადიოდა მათზე ფსონს და ხშირ შემთხვევაში, მოგებულიც რჩებოდა.



ესპანეთის უზენაესი სასამართლოს დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პელაიოსა და მისი გუნდის მოგებები ეფუძნება „მახვილგონივრულ გამოგონებას მაღალ ინტელექტუალურ დონეზე, და ინფორმატიკის გამოყენებას. სამორინეს კი ეძლევა რეკომენდაცია, ეძებოს სხვა გზები, რათა თავიდან აიცილოს დანაკარგები“.

### უიღბლობა უიღბლობას მოსდევს

**რა თქმა უნდა, მათემატიკოსისათვის სასიამოვნო იყო ესპანეთის უმაღლესი რანგის სასამართლო ორგანოს მხრიდან ასეთი კომპლიმენტის მოსმენა. მაგრამ მისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თუმცა, თეორიულად კიდევ შეიძლება მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, მაგრამ ასეთ შემთხვევებს იგი არ განიხილავს.**

როგორც პელაიოსთან დაახლოებული ადამიანები ამტკიცებენ, არ არის გამორიცხული, რომ იგი აღძრავს სარჩელს მადრიდის სამორინის წინააღმდეგ „დაკარგული დროის გამო“ და ადვოკატებს გადაუხდის იმ ფულს, რომელიც მან ამ სამორინეში უკვე მოიგო ან, რომლის მოგებასაც აპირებს.

სხვათა შორის, ამ ბოლო ხანებში ეს ესპანეთის სამორინეების პირველი დამარცხება როდი გახლავთ. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ, მეორე სამორინემ – „მონტე-პიკაიომ“, რომელიც ქალაქ პუსოლში მდებარეობს, წააგო სასამართლო დავა ცნობილ რუს ტანმოვარჯიშესთან ვერა შიმანოვსკაიასთან (იგი ოლიმპიური ასპარეზობის და მსოფლიოს ჩემპიონია, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულია), რომელსაც სათამაშო დაწესებულების ხელმძღვანელობა ადანაშაულებდა „თაღლითობაში დანიშნული ბანქოთი თამაშის დროს“.

ვერა შიმანოვსკაიას, რომელიც 2003 წლის 4 სექტემბერს დააპატიმრეს დაუსაბუთებელი ჩვენების მიხედვით, უფრო გაუჭირდა, ვიდრე პელაიოს. მან გარკვეული დრო წინასწარ პატიმრობაში დაჰყო, რის შემდეგაც ვერა გაანთავისუფლეს, თუმცა, ჩამოართვეს ხელწერილი, რომ არ დატოვებდა ესპანეთის ტერიტორიას, და მხოლოდ თვენახევრის შემდეგ დართეს შინ დაბრუნების ნება. მიმდინარე წლის მარტში კი ესპანეთის სასამართლომ ვერა სრულიად უდანაშაულოდ ცნო და არაორაზროვნად მიანიშნა, რომ სახელგანთქმული სპორტსმენის დაპატიმრებით „მონტე-პიკაიოს“ გაუწიეს საკმაოდ კარგი უფასო რეკლამა.

**ხუან კოზო.**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## ქრონოლოგია

### 1466 წლის 19 ოქტომბერი

**პოლონეთის მეფემ კაზიმირ IV იაგელონჩიკმა და ტევტონთა ორდენის დიდმა მაგისტრმა ლუდვიგ ერლიხსჰაუზენმა პოლონეთის ქალაქ ტორუნიში დადეს საზავო ხელშეკრულება, რომელმაც დაასრულა გერმანელ ჯვაროსან-რაინდებთან პოლონეთისათვის წარმატებული ოცდაათწლიანი ომი.**

ტორუნის ზავის თანახმად, პოლონეთმა დაიბრუნა აღმოსავლეთი პომორიე უმნიშვნელოვანესი სანავსადგურო ქალაქ გდანსკით და მთელი რიგი სხვა მიწები, რომელიც მანამ ორდენს ჰქონდა მიტაცებული. მაგრამ, იმის



მიუხედავად რომ, ტევტონთა სახელმწიფოს ტერიტორია თითქმის ერთიორად შემცირდა და მან თავი პოლონეთის ვასალად ცნო, ტევტონები კვლავ წარმოადგენდნენ პოტენციურ საფრთხეს პოლონეთისთვის.

### 1984 წლის 20 ოქტომბერი

**ამერიკის კალიფორნიის შტატის მახლობლად მდებარე მონტერეის ყურეში გაიხსნა უზარმაზარი აკვარიუმი, რომელიც მსოფლიოში უდიდესია „ექსპონატების“ რაოდენობის მიხედვით.**



მის 93 რეზერვუარში, შეიძლება ვნახოთ ზღვის ფლორისა და ფაუნის 525 სახეობის 6500 წარმომადგენელი. შეერთებულ შტატებში მდებარეობს, აგრეთვე, მოცულობის მიხედვით ყველაზე დიდი აკვარიუმი, რომელიც 23,66 მილიონ ლიტრ წყალს იტევს. ამ აკვარიუმში წარმოდგენილია 90 სახეობის 3 ათასი თევზი.

### 1832 წლის 21 ოქტომბერი

**რუსმა ოფიცერმა და დიპლომატმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა და ა. ს. პუშკინის მეგობარმა ბარონმა პაველ შილინგ ფონ კანშტადტმა, პეტერბურგში, თავის ბინაში წარმოადგინა მსოფლიოში პირველი ელექტრომაგნიტური ტელეგრაფი.**



სამი წლის შემდეგ ბარონმა ამ მოწყობილობის გაუმჯობესებული ვარიანტი უჩვენა ბონში, გერმანელ მეცნიერთა ყრილობაზე, 1836 წელს კი, გაიყვანა რა კავშირგაბმულობის 5-კილომეტრიანი კაბელი საადმირალოს შენობასთან, განახორციელა შიდა სამთავრობო სატელეგრაფო კავშირის დამყარების ცდები. მოგვიანებით, შილინგის იდეებს რუსეთში დიდი ინტერესით არ შეხვედრიან, სამაგიეროდ, დასავლეთ ევროპაში ბარონის იდეები საფუძვლად დაუდეს ელექტრომაგნიტური ტელეგრაფის მთელ რიგ კონსტრუქციებს.

### 1779 წლის 22 ოქტომბერი

**პირველი საჰაერო ბურთის გაშვებიდან 14 წლის შემდეგ, სახელგანთქმული ჰაერნაოსანი ანდრე ჟაკ გარნერენი პირველი გადმოხტა პარაშუტით საფრენი აპარატიდან.**

გარნერენმა, რომელიც თავის ძმასთან ერთად აიჭრა ცაში 680 მეტრ სიმაღლეზე, უბრძანა მას გადაეჭრა ბაგირი, რომლითაც დამაგრებული იყო 8-მეტრიანი „ქოლგა“. იგი უვნებლად დაეშვა პარიზის ერთ-ერთი პარკის ტერიტორიაზე, სადაც მამაც ჰაერნაოსანს ათასობით აღფრთოვანებული პარიზელი დახვდა.

### 1917 წლის 23 ოქტომბერი

**პეტროგრადში გამართულ რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კონსპირაციულ სხდომაზე ვ. ი. ლენინმა ლ. დ. ტროცკის მხარდაჭერით, გ. ე. ზინოვიევისა და ლ. ბ. კამენევის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოითხოვა დაწყებულიყო პრაქტიკული მომზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, რომლის მიზანი იყო ხელისუფლების გადაცემა საბჭოებისათვის, რომელიც მაშინ ძირითადად ბოლშევიკებისგან შედგებოდა.**

იმ შემთხვევაში, თუ პარტიისათვის მიუღებელი იქნებოდა ეს კურსი, ლენინი იმუქრებოდა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოსვლით, და აცხადებდა, რომ უშუალოდ მიმართავდა მასებს და დაშლიდა პარტიის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას. ცენტრალური კომიტეტის 21 წევრიდან სხდომას 19 ესწრებოდა, რომელთაგან ლენინის რეზოლუციას ხმა მისცა ათმა, და ამრიგად, ცენტრალური კომიტეტის უმცირესობამ მიიღო ასეთი უმნიშვნელოვანესი და რუსეთის ბედის განმსაზღვრელი გადაწყვეტილება.

### 1632 წლის 24 ოქტომბერი

**ნიდერლანდის ქალაქ დელფტში, ხელოსნის ოჯახში დაიბადა ანტონი ვან ლევენჰუკი, რომელიც მოგვიანებით გახდა დიდი ვაჭარი, სახელმწიფო მოხელე და შესანიშნავი მეცნიერი, აღმოაჩინა მიკროორგანიზმების სამყარო. ლევენჰუკი იყო პირველი, ვინც შეძლო დაენახა, აგრეთვე, აღეწერა და ჩაეხატა ბაქტერიები, იმფუზორიები, სისხლის სხეულაკები, სპერმატოზოიდები.**



ლევენჰუკმა ყოველივე ამის გაკეთება შეძლო მის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიისა და ეფექტიანი მიკროსკოპების წყალობით. პრინციპში, ამას მიკროსკოპს ვერც კი ვუწოდებთ ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. ლევენჰუკმა შექმნა ჩინებული ოპტიკური ხარისხის 0,7-3 მილიმეტრი დიამეტრის მქონე ლინზები, რომლებიც 300-ჯერ ადიდებდნენ შესასწავლ ობიექტს.



### 1836 წლის 25 ოქტომბერი

**პარიზის ცენტრში, თანხმობის მოედანზე დადგეს 23 მეტრი სიმაღლის ობელისკი. იგი ვარდისფერი გრანიტისგან არის დამზადებული, რომელიც საფრანგეთში ჩამოიტანეს ლუქსორიდან, სადაც ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით 1285 წლისათვის იგი დადგეს ფარაონ რამზეს მეორის ტაძრის წინ.**

1830 წელს ეგვიპტის მმართველმა მოჰამედ ალიმ იგი საჩუქრად გადასცა საფრანგეთს. 220-ტონიანი მონოლითის გადმოტანას სპეციალურად აგებული გემით 4 წელზე მეტი დრო დასჭირდა და ფრანგებს ეს 2 მილიონი ოქროს ფრანკი დაუჯდათ.

# მთავარი ფიგურა არჩევნებზე

## ასე უწოდებს ლონდონური „თაიმსი“ ტერეზა კერის

**ქალს, რომელიც სულ ადვილად შეიძლება შეერთებული შტატების პირველი ლედი გახდეს, სადად აცვია. ყველაზე პატარა ოქროს ბრელოკს ატარებს. მუქი სათვალე უკეთია. სატელევიზიო კამერებისგან თავის დასაცავად.**

ტერეზა კერი, რომლის სრული სახელი და გვარი მარია ტერეზა ტირშტაინ სიმოეს-ფერეირა ჰეინც კერი, საკმაოდ მორიდებული ქალია, რომელიც საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. სახეზე პრაქტიკულად არანაირი კოსმეტიკა არა აქვს და თავის 65 წელზე ათი წლით ახალგაზრდად მაინც გამოიყურება.

ტერეზა მოზამბიკში დაიბადა და თავისუფლად ფლობს ხუთ ენას.

თავის პირველ მეუღლეს ჯონ ჰეინცს ტერეზა მაშინ შეხვდა, როცა ჟენევის უნივერსიტეტში თარჯიმანთა სკოლაში სწავლობდა. ამ სკოლაში იგი იოჰანესბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შევიდა, სადაც აპარტეიდის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე იყო. ჯონ ჰეინცი იმხანად შვეიცარიულ ბანკში მუშაობდა. „ჯეკი“, როგორც მას ტერეზა ეძახდა, ოჯახის მემკვიდრე იყო, ოჯახისა, რომელიც კეტჩუპის წარმოების იმპერიას ფლობდა. ზუსტად მეოთხედი საუკუნე იცხოვ-



რეს მათ ერთად, მაგრამ 1991 წელს ჯონ ჰეინცი დაიღუპა, როდესაც ვერტმფრენი, რომლითაც ის მიფრინავდა, თვითმფრინავს დაეჯახა. მიუხედავად იმისა, რომ მერე ჯონ კერის გაჰყვა ცოლად, ტერეზა თავის პირველ მეუღლეს პენსილვანიელ სენატორს, ძველებურადვე ასე იხსენიებს — „ჩემი ქმარი“ და „ჩემი ცხოვრების სიყვარული“. მას მუდმივად უკეთია ხელზე ცისფერი საფირონისთვლიანი ქორწინების ბეჭედი, რომელიც განსვენებულმა ჰეინცმა აჩუქა.

მას შემდეგ, რაც ჯონ ჰეინცი — დედისერთა შვილი — დაიღუპა, მისის კერიმ, რომელსაც სამი შვილი დარჩა, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ის პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვრივი და მილიარდნახევარზე მეტი დოლარის მემკვიდრე იყო. მასვე დარჩა საქველმოქმედო ორგანიზაციები მილიარდ დოლარზე მეტი საერთო თანხით. მან ამ ორგანიზაციების რეფორმირება განახორციელა და მეტი ეფექტურობა შესძინა. რესპუბლიკურმა პარტიამ ქვრივს სენატში მისი ქმრის ადგილის დაკავება შესთავაზა, მაგრამ მან ამჯობინა უდიდესი ფილანტროპი გამხდარიყო და მისტერ ჰეინცის მემკვიდრეობა ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოეყენებინა.

პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ტერეზას იმას საყვედურობენ, რომ მან განსვენებული ქმრის სიმდიდრე „იგდო ხელთ“, მისის კერი ასე უპასუხებს: „მე ვისურვებდი ცოცხალი ჯონი მყოლოდა და არ მქონოდა მისი ფული“.

მეუღლის დაკარგვამ ის ღრმა დეპრესიაში ჩააგდო. ფსიქიატრებმა მას „პროზაკი“ გამოუწერეს, რომელიც, ტერეზას თქმით, ავადმყოფობას ამსუბუქებს და არა უბედურებას.

სწორედ ჰეინცმა გააცნო მას 1990 წელს ჯონ კერი. ქმრის დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ (და ათი წლის შემდეგ იმ დღიდან, რაც ახლანდელი პრეზიდენტობის კანდიდატი თავის ცოლს გაეყარა), ტერეზა ისევ შეხვდა მას. ორიოდ თვის შემდეგ ჯონმა მას გვიან საღამოს ვაშინგტონში გასეირნება შესთავაზა. გასეირნება იმით დამთავრდა, რომ ისინი პირდაპირ ვიეტნამის ომის (რომელშიც კერი მონაწილეობდა) ვეტერანთა მემორიალის წინ მიეცნენ სიყვარულს.

ორივე კათოლიკე იყო და ერთად დაიწყეს ცხოვრება, ერთი წლის შემდეგ კი შეუღლდნენ. ჯვრისწერა 1995 წლის მაისში შედგა ეკლესიაში იმ მამულის ტერიტორიაზე, რომელიც ტერეზას ეკუთვნოდა. ეს მამული ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და ჯერ კიდევ მაშინ 10 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. ტერეზას ეკლესიაში თავისი სამი ვაჟიშვილი ახლდა: კრისტოფერი, ანდრე და ჯონი, ხოლო კერის — მისი ქალიშვილები: 18 წლის ალექსი და ვანესა, რომელიც 21 წლის იყო.

თუმცა მისის კერი თანამედროვე და ცივილიზებულ ქალად მიიჩნევს თავს, თეთრ სახლში გადასახლების პერსპექტივა დღემდე აკვირვებს.

— ვერ ვიჯერებ, რომ ჩემი მეორე ქმარი პოლიტიკოსია, — აღიარებს იგი. — იმასაც ვერ ვიჯერებდი, რომ ჩემი პირველი ქმარი პოლიტიკოსი იყო. ისევე, როგორც ვერც იმას ვიჯერებ, რომ ჩემმა ოჯახმა აფრიკა დატოვა და ამ ქვეყანაში გადმოვიდა, რომ მე ამერიკაში ვცხოვრობ და რომ მე და ჯონი თეთრ სახლში სამოგზაუროდ გავემგზავრეთ.

პირველ ხანებში ორი ოჯახი ვერ რიგდებოდა. — ბავშვებს საკუთარი მამების გაყოფა არ უნდათ, — იხსენებს ტერეზა.

იმავე დროს მათი ქორწინება ძალზე წარმატებული გამოდგა, თუმცა მეუღლეები სულ არ ჰგვანან ერთმანეთს ხასიათებით. როგორც მეგობრები ამბობენ, ტერეზა „სულ მოძრაობაშია“ და ქმარს ერთ ადგილზე ჯდომის საშუალებას არ აძლევს.

— მე ცოლად გავყევი მამაკაცს, რომელიც ჩემზე ხუთი წლით ახალგაზრდაა. ის „ბითლზის“ თაობიდანაა, და ეს არის ჩვენი სადემარკაციო ხაზი, — ამბობს მისის კერი.

ჯონს სჭირდება, რომ სხვები მას გამუდმებით „აცოცხლებდნენ“, აიძულებდნენ გამოავლინოს თავისი საუკეთესო თვისებები და ამ თვალსაზრისით ტერეზა შეუცვლელია. მას ქმრის განრისხებაც კი შეუძლია.

როდესაც ჯონს სთხოვეს, სამი სიტყვით დაეხასიათებინა ცოლი, მან უპასუხა: „უხამსი, სექსუალური, შესანიშნავი“. — მისი ზეგავლენა ყველაფერზე უბრალოდ უზარმაზარია. უწინარეს ყოვლისა, იგი ძალიან კარგია, როგორც მათრახი. გარდა ამისა, ტერეზა ძალზე გონიერი არსებაა, და მე არასდროს მინახავს ასეთი დარბაისელი ადამიანი, — თქვა კერიმ.

ტერეზა ფიქრობს, რომ აუცილებელია ქმრის მორალური სულისკვეთების ამაღლება, როცა ჯონი თავს დათრგუნულად გრძნობს, და მეუღლის მიწაზე დაშვება, თუ ის მეტისმეტად დარწმუნებულია საკუთარ თავში.

— სწორედ ასე უნდა იქცეოდეს ნებისმიერი კარგი ცოლი, — დარწმუნებულია ტერეზა.

ახლა, საარჩევნო კამპანიის დროს, იგი ძირითადად ქმრისაგან ცალკე მოგზაურობს ამერიკაში და ისეთ ადგილებში დადის, რომლებიც მის საქველმოქმედო მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული: სკოლებში, საავადმყოფოებში, გარემოს დაცვის ორგანიზაციებში და ა. შ. განსაკუთრებით ეფექტურია მისის კერის შეხვედრები აზიიდან და აფრიკიდან ჩამოსულებთან. იგი მათ ძალიან გულითადად ელაპარაკება, ამასთან იხსენებს თავის ცხოვრებას მოზამბიკში.

— განცდები და დარდი, რასაც მე განვიცდი, როდესაც საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში უსამშობლოდ დავრჩი, დღესაც არ მტოვებს.

მამამისი ონკოლოგი იყო და უფასოდ მკურნალობდა აფრიკელ პაციენტებს. ყოველ დილით მათი სახლის შესასვლელთან გრძელი რიგი დგებოდა ხოლმე. ტერეზა იხსენებს, რომ მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი იყო დღე, როდესაც მისმა 70 წლის მამამ პირველად მიიღო მონაწილეობა დემოკრატიულ არჩევნებში.

ტერეზას ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის მეუღლის პირობაზე იგი მეტისმეტად გულღიაა, მაგრამ ტერეზა აცხადებს, რომ ცხოვრების სტილს ვერ შეიცვლის. პოლიტიკურ მოღვაწეთა ცოლების უმრავლესობისგან განსხვავებით, მისის კერი გულწრფელია და დაწვრილებით უპასუხებს დასმულ შეკითხვებს. ტერეზამ შეძლო, მოეგერიებინა საპრეზიდენტო რბოლის ორგანიზატორთა ყველა იმის ცდა, რომ შეეზღუდათ მისი საჯარო გამოსვლები — მე გადაჭრით ვთქვი უარი ჩემ მიმართ ცენზურის განხორციელებაზე. — იმ მომენტიდან, როცა მე საკუთარი საქციელის გაკონტროლებას და იმ პრინციპების გადახედვას დავიწყებ, რომელიც მწამს, მე ის აღარ ვიქნები, ვინც ვარ. იდეალური არც ერთი ჩვენგანი არ არის, და ჩემი ნაკლოვანებებიც ჩანს, მაგრამ მე არ მსურს, რომ ბოთლში ჩამტენონ. მე კეტჩუპი არა ვარ.

რაც მეტ ძალას იკრებს საარჩევნო კამპანია, მით უფრო მეტად ინაცვლებს წინა პლანზე ტერეზა. თუ მისტერ კერი თეთრ სახლში სავარძელს დაიკავებს, ტერეზე გახდება აშშ-ს ყველაზე ხანდაზმული პირველი ლედი და ისტორიაში მეორე საზღვარგარეთ დაბადებული პირველი ლედი.

ბევრი მისი საჯარო გამონათქვამი ციტირებას და დამახსოვრებას იმსახურებს. აი ერთ-ერთი მათგანი: „ცხოვრებაში საუკეთესო რაღაცეების გაზომვა შეუძლებელია. ისინი მხოლოდ გრძნობითა და სულის მდგომარეობით იზომება. მაგალითად, ვერასდროს გაზომავ იმას, რასაც დედა თავისი შვილებისათვის აკეთებს“. ამას წინათ თავისი ქმრისთვის ხმის მიცემისკენ რომ მოუწოდებდა, მან ისე ილაპარაკა მის შესახებ, როგორც თითქმის არასდროს არ ლაპარაკობენ ამერიკელი პოლიტიკოსები:

— მე მას დაჟინებით ვუწევ რეკლამირებას არა იმიტომ, რომ ის დემოკრატია ან იმიტომ, რომ ის ჯონ კერიაა, არამედ იმიტომ, რომ ის კარგი ადამიანია.

მაშინაც კი, როდესაც მას ჰკითხეს, სჯერა თუ არა ნოემბრის არჩევნებში გამარჯვებისა, ტერეზამ მისთვის ჩვეული გულწრფელობით უპასუხა:

— მე ამას ვერ ვიტყვი. ახლა მე მხოლოდ დემოკრატებს ვხვდები.

ხოლო პასუხად კითხვაზე, რას გააკეთებს ქმრის დამარცხების შემთხვევაში, მისის კერიმ გაიღიმა:

— ეს ნამდვილად არ იქნება ჩემთვის ქვეყნიერების აღსასრული.

**რუსული პრესის მიხედვით.**

# რითი ერთობიან



ლიბიის დიქტატორის უფროსმა ვაჟმა **საიფ კადაფიმ** ვენის „აუერშპერგის“ სასახლეში მოაწყო თავისი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა. ეს საიფის პირველი ასეთი გამოფენაა, რომელიც უფრო ცნობილია, როგორც არქიტექტორი (მის პროექტებს შორის არის მეჩეთი, საჯარო ბიბლიოთეკა და ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო).

* * *



ამ დღეებში სათამაშოთა რიგებს შეემატა „უჭკვიანესი“ სენატორი **ჰილარი კლინტონი**. მოლაპარაკე თოჯინა გამოწყობილია მუქი ლურჯი ფერის კოსტიუმში. იგი 1 ნოემბრიდან გაიყიდება და დაახლოებით 25 დოლარი ეღირება.

* * *

**ჯორჯო არმანიმ** გამოაცხადა, რომ ხსნის **htt:www.giorgioarmani.com.** საიტს. იქ თავმოყრილია ინფორმაცია მსოფლიოს უდიდესი ქალაქების კულტურული და მოდური ცხოვრების შესახებ, საიტზე, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომია



ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით არმანის მაღაზიებისა და მისი ტანსაცმლის კოლექციების სრული ნუსხა.

* * *

**ისლანდიის** მთავრობამ გადაწყვიტა **ბიორკისათვის** ეჩუქებინა კუნძული, რათა გაესვა ხაზი იმისთვის, თუ როგორ აფასებს იგი მომღერალს. თუმცა, ბიორკმა კატეგორიული უარი განაცხადა ასეთი საჩუქრის მიღებაზე. „თუ ისინი აპირებენ თქვენთვის კუნძულის ჩუქებას,



იცოდეთ, რომ ყოველივე ამას უთუოდ დაემატება ტურისტებით სავსე ნავები, რომლებიც მოსვენებას არ მოგცემენ, — განაცხადა მომღერალმა. — ისლანდიაში უკვე ქუჩაშიც კი არ შემიძლია გავიარო ისე, რომ „არ ამეკიდოს“ რომელიმე ტურისტი ან ყველა თითს არ იშვერდეს ჩემსკენ. ისინი ისე იქცევიან, თითქოს დისნეილენდში ჩავიდნენ იხვის ჭუჭულის დონალდის სანახავად“.

## კარგი დრო გაატარეს!

**მიუნხენში დასრულებული მსოფლიოში უდიდესი ლუდის ფესტივალი „ოქტობერფესტი“ ისტორიაში შევა „დოყლაპიათა დღესასწაულის“ სახელით.**



ლუდის ფესტივალი ორ კვირას გრძელდებოდა და ამ დროის განმავლობაში მისმა მონაწილეებმა დალიეს 5,5 მილიონ კათხაზე მეტი ლუდი და დაკარგეს... 80 ბავშვი. ნაპოვნი ნივთების ბიუროში დღემდე ელის მფლობელებს ოთხი ათასი ნივთი. მათ შორის არის ყბის პროთეზი 5 ოქროს კბილით, ცოცხალი მწყერი, ბულგარულ ენაზე შედგენილი დაბადების მოწმობა და ქორწინების ბეჭედი. ფესტივალის სტუმრები, როგორც გაირკვა, ყველაზე ხშირად კარგავდნენ ტანსაცმელს, საბუთებს, საკრედიტო ბარათებს, საფულეებს, გასაღებებს, ჩანთებსა და მობილურ ტელეფონებს. გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, მიუნხენის ნაპოვნი ნივთების ბიუროს თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ იქ თავმოყრილი საგნებიდან მხოლოდ მეოთხედს თუ მოაკითხავს წასაღებად პატრონი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ბავშვებს არ შეეხება.

## ცხოვრება გრძელდება ოლიმპიადის შემდეგაც

**საბერძნეთის მთავრობა ცდილობს, იშოვოს ფული ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობის დასრულების შემდეგ დარჩენილი გრანდიოზული სპორტული ნაგებობების მეშვეობით.**

ოლიმპიური ობიექტები ააშენეს არა მარტო ათენში, არამედ ირაკლიონში, პატრასა და სალონიკშიც. უდიდეს ოლიმპიურ კომპლექსებს ათობით ჰექტარი ტერიტორია უკავიათ, და მათი მოვლა-შენახვა საბერძნეთის ხელისუფლებას წელიწადში 200 მილიონი ევრო დაუჯდება. ქვეყნის ეკონომიკამ ისედაც მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა ოლიმპიური ასპარეზობის გამართვის შემდეგ, და ამიტომაც, დამატებითი ხარჯების გაღება მისთვის დამღუპველი იქნება.





ინვესტორები მზად არიან დააბანდონ ფული, მაგალითად, ფეხბურთის ან კალათბურთის მოედნების მოვლა-პატრონობისათვის. ამ მიზნით ისინი უკვე ჩავიდნენ საბერძნეთში. რაც შეეხება უზარმაზარ ოლიმპიურ სტადიონს, რომელიც 70 ათას მაყურებელს იტევს, სახელმწიფო აპირებს იგი გადასცეს იჯარით ქორწილების, სადღესასწაულო შეკრებებისა თუ სხვა საზეიმო ღონისძიებების გამართვისათვის. საბერძნეთის პრესა აღნიშნავს, რომ ეს იდეალური გამოსავალია სტადიონის მშენებლობისათვის გაღებული სახსრების ამოსაღებად. მაგრამ, ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს დაინტერესება სოფტბოლის სტადიონის, ნიჩბოსნობის არხის ან ველოტრეკის შეძენით. ამ ობიექტების ხელსაყრელად გამოყენება საბერძნეთის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახდა.

## ოქროს ფსკერი

**ორი გრიგალი „ივანი“ (იგი აღბეჭდილია კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოზე) და „ფრენსისი“, რომლებმაც მთელი სექტემბრის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, დაატერორეს ფლორიდის შტატისა და მისი მიმდებარე რაიონების მოსახლეობა, ყველასათვის მოულოდნელად არქეოლოგიური აღმოჩენის ავტორები გახდნენ.**



ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროზე ზღვამ გამორიყა უამრავი ოქროსა და ვერცხლის მონეტა. არქეოლოგთა მტკიცებით, ეს ფული ესპანური ხომალდებიდან არის, რომლებიც 1715 წელს, ასევე გრიგალის შედეგად, ჩაიძირნენ ფლორიდის ნაპირის მახლობლად. ჩვენს დღეებში ამ მონეტების ღირებულებამ რამდენიმე ასეულჯერ გადააჭარბა მათ ნომინალს. ოქრო-ვერცხლი მიმოფანტულია დაახლოებით ხუთი კილომეტრი სიგრძის სანაპირო ზოლზე. ამერიკის გაზეთები წერენ, რომ ზღვის მიერ გამორიყული განძეულის საძებნელად გამოსულია მახლობელი დასახლებული პუნქტების უამრავი მცხოვრები, რომლებიც ლითონდეტექტორებითაც კი არიან შეიარაღებული.

## მაიმუნი ადამიანის მეგობარია

**ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქში დაუდგეს ძეგლი ატიპური პნევმონიის წინააღმდეგ ვაქცინის ძებნის დროს ლაბორატორიებში დაღუპულ მაიმუნებს.**



ძეგლი დადგეს ჰუბეის პროვინციის ქალაქ უჰანის ცენტრალური უნივერსიტეტის შენობის წინ. ძეგლს ასეთი წარწერა ამშვენებს: „ეძღვნება 38 მაიმუნის ხსოვნას“. ამ ლაბორატორიული ცხოველების დახმარებით უნივერსიტეტის სპეციალისტებმა შეძლეს შეემუშავებინათ ეფექტიანი ვაქცინა ატიპური პნევმონიის წინააღმდეგ. პრეპარატმა წარმატებით გაიარა გამოცდა მოხალისეთა ჯგუფზე. როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, ცდების დროს დაღუპულმა ცხოველებმა თითქმის ნახევარ კაცობრიობას შეუნარჩუნეს სიცოცხლე.

## კაბა შოკოლადისგან



**დიდ ბრიტანეთში დასრულდა „შოკოლადის კვირეული“, შოკოლადის რიგით მეორე ფესტივალი, რომელიც მიმდინარე წელს გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში შედგა ორასზე მეტი ღონისძიება, მათ შორის დაამზადეს საღამოს კაბა... ნამდვილი შოკოლადისგან. თუმცა, მსოფლიოში მრავლად ეწყობა ასეთი ფესტივალები და გამოფენები და „ტკბილი“ კაბით უკვე ვერავის გააკვირებს.** მაგალითად, ნიუ-იორკში გამართული ერთ-ერთი დღესასწაულის დროს დაამზადეს შოკოლადის შლაპა. პარიზში კი რუსეთმა წარმოადგინა სანქტ-პეტერბურგის ხიდები, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრე და შოკოლადზე შესრულებული სურათებიც კი, რომლებზეც ასახული იყო მოსკოვისა და პარიზის ღირშესანიშნაობანი.

## რომელ ქვეყანაშია ყველაზე მეტი ავტომობილი

**გაეროს სტატისტიკური სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე ავტომობილების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგს.**

1. აშშ — 756 ავტომობილი ყოველ ათას მცხოვრებზე.
2. ლუქსემბურგი — 686.
3. მალაიზია — 642.
4. ავსტრალია — 640.
5. მალტა — 638.
6. იტალია — 566.
7. საფრანგეთი — 565.
8. კანადა — 563.
9. ახალი ზელანდია — 560.
10. ავსტრია — 558.

....53. რუსეთი — 156.



ამ მაჩვენებლის მიხედვით ბოლო ადგილზეა ავღანეთი, სადაც ყოველ 1000 მცხოვრებზე მხოლოდ ერთი ავტომობილი მოდის.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს

# განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს კონკურსს წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად:

— ხობის რ-ნში, სოფ. ბიას მიმდებარედ, მდ. ხობისწყლის ტერასიდან ინერტული მასალის ამოღების მიზნით;

— ხაშურის რ-ნში, მცხეთიჯვარის კირქვების გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;

— ოზურგეთის რ-ნში, ნატანების ქვიშა-ხრეშის საბადოს დამუშავების მიზნით;

— მდ. მტკვრის მარცხენა კალაპოტიდან, ფეიქრების ქუჩის გასწვრივ, ქვიშა-ღორღის მოპოვების მიზნით;

— თელავის რ-ნში, ლოპოტის მარმარილოს საბადოს „ნაყორღალი-სასანთლის“ უბანზე წიაღის მოპოვების მიზნით;

— ტყიბულის რ-ნში, ლოლაშენის უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩრდ. აღმოსავლეთით, კურსების ტეშენიტის საბადოს შესწავლა-მოპოვების მიზნით;

— ხობის რ-ნის სოფ. ხამისქურის ტერიტორიაზე არსებულ ცაიში-1 კირქვის საბადოდან (ცაცხვი) კირქვის მოპოვების მიზნით;

— ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. მუხურში ზედაპირულად არსებული ნაყარი დოლომიტების მოპოვების მიზნით;

— ცხინვალის რეგიონში, სოფ. ერედვის მიმდებარედ არსებულ ვულკანური წიდის საბადოდან წიაღისეულის მოპოვების მიზნით;

— საჩხერის რ-ნში, გორაძირის ბაზალტისა და ვულკანური წიდის გამოვლინება-დამუშავების მიზნით;

— ნინოწმინდის რ-ნის სოფ. სპასოვკის ქვიშა-ღორღის მადანგამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;

— ვარძიის №22 და №43, ახალციხის №103 და კაზრეთის №102 და №545 უბნებზე ბუნებრივი ნახშირორჟანგის რესურსების შესწავლა-მოპოვების მიზნით;

— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხელვაჩაურის, მერისის და ხულოს მადნიანი კვანძების ფარგლებში კეთილშობილი, ფერადი და იშვიათი მეტალების შესწავლა-მოპოვების მიზნით;

—გარდაბნის რ-ნის სოფ. ფონიჭალაში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან ინერტული მასალის მოპოვების მიზნით;

— სიღნაღის რ-ნის სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაპირკეთებელი კირქვების მოპოვების მიზნით.

ლიცენზიები გაიცემა 20 წლამდე ვადით. ვადა განისაზღვრება მოთხოვნილი წიაღით სარგებლობის პარამეტრების გათვალისწინებით. სალიცენზიო ობიექტებს დაუწესდებათ მიწის მინაკუთვნი და მასზე უფლება გაიცემა ლიცენზიასთან ერთად. სამთო მინაკუთვნი განისაზღვრება საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს მიერ.

წიაღით სარგებლობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი რაციონალურად გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

წიაღით სარგებლობის კონკრეტული პირობები დაზუსტდება პრეტენდენტების მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ლიცენზიის მოპოვების მსურველებმა სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით და წარმოადგინონ დოკუმენტაცია „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება 2004 წლის 2 ნოემბრამდე.** კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით. **დამატებითი ცნობებისათვის** შეგიძლიათ დარეკოთ: 25-17-22, 25-17-20. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №87.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**

### განცხადება

შპს „გეო-ინჟ-ეკო სერვისი“ აცხადებს ლიკვიდაციის შესახებ.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0162, მოსაშვილის 24, ტელ: 22-01-14.

### კვირა
### 17 ოქტომბერი

**08.00**, **12.00**, **15.00**, **20.00**, **00.20** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "**არასერიოზული კაცი**" **10.00** იმღერე რამე **10.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **11.00** მრავალჟამიერ **11.30** სპა **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **15.20** თელავის თეატრის სპექტაკლი "**ალალე**" **17.00** კანის კინოფესტივალი **18.15** დოკ. ფილმი "პროვანსი და მხატვრები" **18.45** "იმღერე რამე" **19.25** "მთავარ როლში" **20.35** "ჩემი მშვენიერი ლედი" **20.55** სატ. კინოდარბაზი **22.00** ტვ-ლოტო **22.45** "ამბობენ" **23.15** კონცერტი - მ. სებისკვერაძე **00.30** მხ. ფილმი "**მაცივარში ვიღაც იჯდა**"

**19.00** საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მხიარული კარუსელი **20.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **21.00** "იმღერე რამე" **21.30** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **21.45** "მიამბეთ თქვენზე" **22.20** მხ. ფილმი "**ცისკრის ზარები**"

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00**, **12.00**, **15.00**, **00.10** კურიერი **09.20** "ჯეტექსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** დოკ. ფილმი "პომპეი" (ბი-ბი-სი) **12.50** მხ. ფილმი "**გარაჟი**" **15.20** მხ. ფილმი "**სიყვარული ყველას უნდა**" **17.00** სერიალი "**მარკო პოლო**" **18.00**, **21.00**, **00.40** კურიერი **18.20** პატრული — დაიჯესტი **19.00** მხ. ფილმი "**თავგადასავალთა მაძიებლები**". მთ. რ-ში: ალენ დელონი, ლინო ვენტურა **22.00** "გაიღიმეთ, ფარული კამერაა" **22.40** "ჯეოსელის კინოკლუბი" - "**გზააბნეული როუზი**" **877 45-79-25** ლორა დერნი, რობერტ დიუვალი (**18**), "**ტელემაღაზია**" **877 45-79-26** ნატალი ბეი, ჯუდიტ გოდრეში (**18**) "**მონსტრების კუნძული**" **877 45-79-27** კარმენ ელექტრა, ნიკ კარტერი (**18**), **01.00** მხ. ფილმი "**მეექვსე დღე**" (**18**).

**09.00** ანიმაციური ფილმი "ჰენზელი და გრეტელი" **1-2**ნ. **09.50** მხ. ფილმი "**დიდიე**" **12.30** **12** პლუსი **11.45** "დილის ფოსტა" **12.40**, **13.15**, **01.15** **ტვ**-მარკეტი **13.00**, **15.00**, **17.00**, **19.00**, **23.15** ქრონიკა **13.30** მხ. ფილმი "**დიდი ზომა**" (ჟ. დეპარდიე) **15.15** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **16.30** სპ. პროგრამა "ასი" **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-**20** საუკუნევ" **18.05** "ერთხელ ჰოლივუდში" **18.20** "არტ-ბულვარი" **19.30** თამაში "პოლიციის აკადემია" **19.55** ქართ. ფილმი "**დათა თუთაშხია**" მე-**2** ს. **21.00** "დროება" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** სერიალი "**ნეშ ბრიჯესი**" **01.45** იმედის მელოდიები

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "**ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია**" **10.30** სერიალი "**დაკარგული ქვეყანა**" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "**კარაბინერები**" **14.00**, **17.00**, **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი"**როგორ გახდე ვარსკვლავი**" **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "**დაკარგული ქვეყანა**" **20.30** სერიალი "**კარაბინერები**" **21.30** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. **23.30** მხ. ფილმი "**მდიდარი რომ ვიყო**" (**18**) (სმაინი).

**18.00** მხ. ფილმი "**შიშისმომგვრელი ბაღები**" **20.00** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "**ზამთრის ზღაპარი**" (**18**)

**14.00** მხ. ფილმი "**გრძელი ღამე**" **17.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **18.00** ქართული მუსიკა **19.00** საბ. გადაცემა "ინკოგნიტო" **20.00** ინდ. მხ. ფილმი "**სიყვარულით გაგიჟებული**" **23.00** "ჯაზ-პარნასი" **23.30** მუსიკა

**10.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** რეტროსპექტული ჩვენება — ჩარლი ჩაპლინი **20.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** რეტროსპექტული ჩვენება — ჩარლი ჩაპლინი

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



შვიდი ნოემბრისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების პრეზიდიუმი. ქ. ზუგდიდი, 1949 წელი.
მოგვაწოდა ლუდმილა ჭითანავამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

განძი

# მუცო არა მხოლოდ ლეგენდარული, რეალური სამოთხეცაა

**საქართველოს მთიანეთის განუმეორებელ სილამაზეზე, „ველური ბუნების" ამ შეუდარებელ ნაკრძალებზე უცხოელები იმდენს ლაპარაკობენ, თუ ჭკვიანად ვიქნებით, შესაძლოა, რამდენიმე დასავლეთელი მილიონერი ხვალ თუ არა ზეგ, ჩვეულებრივად „გაგიჟდეს" და საკუთარი მოგების (დანაზოგის) დიდი ნაწილი სვანეთის ან ფშავ-ხევსურეთის აღდგენა-განახლებაში დააბანდოს.**

ჩვენ სისტემატურად ვწერთ კავკასიონის ულამაზეს სანახებში ჯერ კიდევ შემორჩენილ დასახლებებზე, უკვე დანგრეულ ციხე-კოშკებზე, ისტორიული გმირების, ლეგენდების ქართულ საუფლოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე და თითქოს დარწმუნებულნი ვართ, რომ უცხოელი და ქართველი ინვესტორები მალე დაიწყებენ მთის მწვერვალებისკენ ცქერას – მზესთან, მთვარესთან და ვარსკვლავებთან მიახლოების, სულის და სხეულის განწმედის მიზნით...

როცა არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია „არსის", „თი-ბი-სი" ბანკის და ჟურნალისტთა ოცკაციანი დელეგაცია მუცო-2004-ის პირველი ექსპედიციიდან დაბრუნდა, ახალგაზრდა არქიტექტორმა, „ქართული სახლი – მუცოს" კოორდინატორმა ნანა მეფარიშვილმა მითხრა: ჩვენ ზღაპარში ვიყავით, იქიდან წამოსვლა არ გვინდოდა.... ღმერთო ჩემო, რა სილამაზეა, რა სიწმინდე, რა უმანკოება... ასე გვეგონა, ყოველ საღამოს ვარსკვლავებს ხელით ვწვდებოდით და ვეფერებოდით....

მართლაც რომ ასეა.

მკითხველს შევახსენებ, რომ წლეულს, აგვისტოში, მუცოს მომავალი აღდგენა-რეკონსტრუქციის მიზნით პირიქითა ხევსურეთის ამ უნიკალურ ძეგლს, დღევანდელი მდგომარეობის



გასაანალიზებლად (აზომვა, ფოტო და ვიდეო მასალის მოპოვება) არქიტექტორთა, დამფინანსებელთა და ჟურნალისტთა ჯგუფი ეწვია. გამოცდილი არქიტექტორის სოსო ბანძელაძის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდებმა ნაყოფიერად იმუშავეს, აზომეს 28 ციხე-კოშკი, გადაიღეს უნიკალური ფოტო და ვიდეომასალა და... 13 ოქტომბერს ყველაფერი ეს „არსის" სათაო ოფისის საგამოფენო დარბაზში გამოფინეს.

იმ განწყობის გადმოცემა, რაც დარბაზში სუფევდა, თითქმის შეუძლებელია. მამუკა ხაზარაძემ („თი-ბი-სი" ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ) და გია აბულაძემ (კომპანია „არსის" პრეზიდენტმა) კიდევ ერთხელ აღუთქვეს შეკრებილ საზოგადოებას – კოლეგებს, ახალგაზრდა არქიტექტორებს, ხევსურეთის მკვიდრთ, ჟურნალისტებს, ისტორიკოსებს, რომ ყველაფერს გააკეთებენ მუცოს თანმიმდევრული, ეტაპობრივი აღდგენისთვის.

ეს ეტაპები კი ასე გამოიყურება:

მუცოს ხეობის პოპულარიზაცია; სარესტავრაციო პროექტის მომზადებისთვის საჭირო სამუშაოების ჩატარება (I **ეტაპი**). მუცოს რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა; ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებელი გეგმა-პროექტის შექმნა (II **ეტაპი**). დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა რესტავრაციის პროექტის განსახორციელებლად (III **ეტაპი**). კოშკებისა და სხვა ნაგებობების რესტავრაცია; მთელი დასახლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (IV **ეტაპი**).

გამოფენის „უპრეტენზიო", უპირველესი მიზანი მუცოს საზოგადოებისთვის გაცნობა-პოპულარიზაცია და ამ უნიკალური კომპლექსის ტურისტულ მარშრუტში ჩასმა გახლდათ.

რა „ცოტაა", არა?

და მთავარი: მუცოს აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტი ამიერიდან ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის –ბიზნესმენი იქნება ის თუ რიგითი მშენებელი, ქართველი თუ უცხოელი. აკი ვთქვით, უცხოელები ისე იხიბლებიან ჩვენი ქვეყნის მაღალმთიანი პირველყოფილი სიმშვენიერით...

თუმცაღა, თვალი არ გვეცეს, ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს და მეგობრები, ქველმოქმედი მეგობრები გვიმრავლოს...

**სპარტაკ ქოზულია.**

ცოტაც გავიღიმოთ...



რუსმა მედიკოსებმა ცოტა ხნის წინათ შეარჩიეს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რათა ენახათ, თუ როგორ იმოქმედებდა მათს ორგანიზმზე ვიაგრა.

პირველი შედეგები ასეთი იყო: ყველას აღენიშნა პოტენციის ამაღლება. გამონაკლისი იყვნენ მხოლოდ ავტოინსპექტორები – ისინი, რატომღაც, სიმაღლეში გაიზარდნენ.

* * *

ფხიზელი მთვრალისთვის ამხანაგი კი არა, გადაადგილების საშუალებაა.

* * *

– ოფიციანტო, თქვენი კურდღლის მწვადი, უბრალოდ, ვირთხის სუნით ყარს. როგორც ჩანს, ჩემთან მოტანამდე იგი ვირთხებმა შეჭამეს.

– არავითარ შემთხვევაში, ბატონო, თქვენთან მოტანამდე მან თვითონ შეჭამა სამზარეულოში ყველა ვირთხა.

* * *

ტიპმა საკუთარ სახლში ცოლის პატიოსნებისა და გულწრფელობის შემოწმება განიზრახა. ტუალეტში შევიდა და მობილური ტელეფონით ცოლს დაურეკა.

– პატარავ, ძალიან მიყვარხარ, როდის გავა შენი დებილი ქმარი სახლიდან, შემატყობინე და შენთან გავჩნდები, – ეუბნება შეცვლილი ხმით. მერე უცებ თიშავს ტელეფონს, გამოდის ტუალეტიდან და ცოლს ეკითხება:

– ვინ რეკავდა, ძვირფასო?

– ისეთი არავინ, დაქალი იყო...

* * *

– ძვირფასო იუბილარო, მოდით, ავწიოთ თქვენს სადღეგრძელოებლად ჭიქები!

– მაცალეთ, ჯერ თვითონ ავწევ!

* * *

მოზრდილ ადამიანს არა სწამს თოვლის პაპისა. იგი არჩევნებში მონაწილეობს.

მოდა

# მაქსმარას სურნელი საქართველოშიც გავრცელდება

**სახელობითი მაღაზია-სალონები პარფიუმერიის ახალ-ახალ, ხარისხიან პროდუქტს ხშირად გვთავაზობენ. ცნობილი და წარმატებული ფირმები თავიანთ პროდუქციას ყველა მაღაზიაში როდი ავრცელებენ, მათ სპეციალური, პრესტიჟული, სახელობითი სალონები აქვთ, სადაც არაესთეტიკურად შეფუთულ, არასწორი წარწერებით წარმოდგენილ დაბალფასიან სუნამოებს ვერ ნახავთ, ხარისხიანი პარფიუმერია ხომ ფუფუნების საგანია. ჩვენს ქალაქში განთავსებული ისი პარის მაღაზიები სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა.**

ახლახან ერთ-ერთ **ისი პარის** სალონში უდიდესი და უძლიერესი ფირმის, ძვირადღირებული **მაქსმარას** სუნამოს წარმოდგენა მოეწყო, რომელსაც მოდასაყოლილი ქართველების დიდი ნაწილი ესწრებოდა.

აღსანიშნავია, რომ მაქსმარას ესკიზებითა და თარგებით შექმნილი ტანსაცმელი, ძირითადად, იდეალური ფორმისა და სხეულის ქალებისთვის იქმნება, მისი პარფიუმერია და, ბუნებრივია, სუნამოც იგივეს გულისხმობს. ამ ფირმის წყალობით იტალიურმა მოდამ და ამასთანავე, კოსმეტიკამ ევროპაში უდიდეს წარმატებას მიაღწია, უფრო მეტიც, პარფიუმერიის ქვეყანას – საფრანგეთსაც კი გაუსწრო.

დროისა და მოდის ცვალებადობის მიუხედავად, მაქსმარა ტრადიციას ყოველთვის ინარჩუნებს და მისი სუნამოს მომხმარებლები, სიმბოლურად, ლამაზი, ელეგანტური და იდეალური სხეულის მქონე ქალბატონები არიან.

მაქსმარას სუნამოს, რომლის შეძენა უკვე საქართველოშიც არის შესაძლებელი, ელიტურ „ინტელექტუალურ" და პროვოკაციულ პარფიუმერიად მიიჩნევენ. მისი ძვირფასი, ექსკლუზიური არომატი ქალებს ჯადოსნურ მომხიბვლელობას და მიმზიდველობას ანიჭებსო, ამბობენ მსოფლიოს წამყვანი დიზაინერები.

ისი პარის მაღაზია-სალონების მესვეურნი, ახლო მომავალში კიდევ ბევრ სიახლესა და სიურპრიზს გვპირდებიან. ამჯერად წარდგენილი სუნამო მაქსმარა კი მაღალი მოდის უკანასკნელი გამოძახილი გახლავთ.

**ლელა დონაძე.**









ხელოვნება

## მერაბ ჯაფარიძე



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეტად ორიგინალური, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი, ეროვნული კეთილდღეობისთვის დაუცხრომლად მებრძოლი **მერაბ ჯაფარიძე,** საზღვარგარეთ მებო ო'ნელად ცნობილი პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, მხატვარი, მოქანდაკე, რეჟისორი და მსახიობი.

ლეგენდარული გიგა ჯაფარიძის ტრადიციულ ქართულ ოჯახში იზრდებოდა პირმშვენიერი, რაინდული გარეგნობის მქონე ჭაბუკი. პატარაობიდანვე ელაციცებოდა ფუნჯს, ყალამს, საჭრეთელს. ონის პირველ სკოლაში სწავლის პერიოდშივე (და მანამდეც) წერდა და ხატავდა საინტერესო ფორმისა და შინაარსის ლექსებს, მოთხრობებს, ტილოებს, მხატვრულად კითხულობდა კლასიკოსების ნაწარმოებებს, თამაშობდა სცენაზე მამის გვერდით, მონაწილეობდა სასკოლო დილასაღამოებში, შესანიშნავად ცეკვავდა ქართულს, იყო ჭიდაობის ფალავანიც. მისი ლექსების პირველი კრებულიც სკოლაში დაიწერა...

შემდეგ, ცხოვრების ათასგვარი სირთულე და ის სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. საკუთარი თეატრალური დადგმები, სატელევიზიო კინოფილმები (დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის კინოსა და თეატრის მსახიობის სპეციალობა)...

ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობისთვის, მოწინააღმდეგეებმა დევნა დაუწყეს და იძულებული გახდა გერმანიაში გადახვეწილიყო. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულს ნოსტალგიამ დარია ხელი, მაგრამ ერისადმი სამსახური უფრო მეტად გააძლიერა. გერმანელი კეთილმოსურნეების ხელშეწყობით დაისტამბა მისი ნაწარმოებების რამდენიმე კრებული... პირველად საქართველოში გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა „მერაბ ჯაფარიძე – ლექსები – 1990 წ." შემდეგ – გერმანიაში: „გოეთე – ლექსები და გამონათქვამები" – თარგმნა მებო ო'ნელმა", „მებო ო'ნელისა და იოხენ ნოიჰაუზის ლექსთა კრებული თარგმნილი გერმანულ-ქართულ და ქართულ-გერმანულ ენებზე; „ვეზერის პირას ვისხედით ორნი" (2002 წ.); ლექსები და თარგმანები „მებო ო'ნელი – ცრემლი – მზის სხივის სამოსახლო" და სხვ.

ახლახან გამოვიდა მერაბ ჯაფარიძის – მებო ო'ნელის ახალი სქელტანიანი კრებული „ბესტსელერი", სადაც მოთავსებულია ორიგინალური მოთხრობები, ლექსები, თარგმანები, კიდევ უნდა გამოვიდეს მერაბის რამდენიმე კრებული. კრებულები თვით მერაბის ნახატებითაა შემკული.

ორიგინალურია მისი ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დადგმების მანერა, სახიობა. მან სცენაზე მრავალი მომხიბლავი როლი განასახიერა.

მერაბმა თანამოაზრეებთან ერთად გერმანიაში, მინდენში შექმნა ქართული სკოლა, გამოუშვა ქართულ-გერმანული გაზეთი „ხიდი". იგი ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოში, დასავლეთ ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრად რომ აირჩიეს.

დიდმა ღელვებმა, სამშობლოსგან დაშორებამ გატეხა მისი რკინისებური სხეულის ჯანმრთელობა და მიუხედავად გერმანელი მეგობრებისაგან უდიდესი თანადგომისა, მძიმე სენით დაავადდა; ორი ოპერაცია უშედეგო გამოდგა.

რამდენიმე თვეა მერაბი საქართველოში დაბრუნდა და თავისი მაღალგონივრული, მრავალფეროვანი, მაგრამ ტანჯული სიცოცხლე მშობელ ქალაქ ონში – წინაპრების ნათელმოსილ სახლში დაასრულა.

მის შემოქმედებასა და სახელს სიკვდილი არ უწერია! ასეთ შვილებს ერი მეტად უნდა უფრთხილდებოდეს!

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

**მეგობრები.**

ერიჰა!

# სექსუალური მუცელი... 21 დღეში?!

ერთი გამხდარ-გაჩხიკინებული კაცი მუშაობდა ჩვენთან. არავითარი კუნთი, მით უმეტეს, სექსუალური მუცელი მისდღემში არ გააჩნდა. მერე მოხდა საოცრება: გააფორმა კუთვნილი შვებულება, ჯეროვნად მოემზადა ზღვისპირეთისკენ სამოგზაუროდ და... ნუ იტყვით, რა მოუფიქრებია იმ შეჩვენებულს! 199 ლარად ახალი, რევოლუციური სპორტული სავარჯიშო შეუძენია – „ფიტნეს-ფამფი" და 21 დღეში ისეთი კუნთ-მუცელი დაუყენებია, – თბილისში დაბრუნებულს, ბუზებივით დაეხვივნენ სუსტი სქესის წარმომადგენლები – ეს რა სექსუალური მუცელი აქვსო...

ამის შემყურენი, შურით კინაღამ დავიხოცეთ, თუმცა ტან-მუცელ-კუნთებდაცვლილ კოლეგას ინტერვიუ მაინც ვთხოვეთ.

**– 199 ლარი გადაიხადე, თანაც მაშინვე, „ფიტნეს-ფამფის" შესაძენად?**

– დიახ, ზუსტად 199 ლარი!

**– ერთი ლარი ალბათ ტაქსში დახარჯე „ფამფის" შინ მისატანად.**

– არა, თვითონ მომიტანეს. თანაც, ფამფი კი არა, „ფიტნეს-ფამფი" – დაგვიზუსტა რესპონდენტმა, ფამფი სულაც არ ნიშნავს ფამფალს, პირიქით, მას თუ ფიტნესი დაემატება, უკვე „კლდე-კარს" მივიღებთ.

**– გამოდის, რომ, ადრე თუ მოფამფალებული იყავით, „ფიტნესის" გამოყენებით კაჟივით კუნთებს დაიყენებთ?**

– თანაც, სულ რაღაც 21 დღეში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არც ერთ სხვა სავარჯიშო იარაღს არ უნდა მიეკაროთ, არც ერთ ძვირადღირებულ დარბაზს.

**– მაშ, მარტო „ფიტნეს-ფამფი" შველის საქმეს?**

– რასაკვირველია. განსაკუთრებით სწრაფად გივითარდება მუცლის კუნთები. 5 დღეში იბურცება, 15 დღეში იკუნთება, 21-ში კი უკვე ჩამოყალიბებული სექსუალური მუცელი გაქვს.

**– მუცელი თუ სექსუალური იყო, არ ვიცოდით.**

– თქვენ, როგორც ჩანს, ბევრი რამ არ იცით. ახლა სხვა დროა, რევოლუციური. ყველაფერი სწრაფად ვითარდება, მათ შორის მუცლის, მხარბეჭის, ბიცეპსების და „წელ-კუდის" კუნთები...

ამ რევოლუციური ტირადის შემდეგ, რაღა დაგვრჩენოდა, დაღებული პირი დავმუწეთ და სასწრაფოდ ავკრიფეთ ტელეფონის ნომერი იმ ორგანიზაციისა, საიდანაც „ფიტნეს-ფამფის" სასწაულმოქმედი იარაღი მოაქვთ სულ რაღაც 199 ლარად.

**ანზორ ბასილაია.**





გამოფენა

# გალერეა მნახველს საინტერესო პროდუქციას სთავაზობს

**საგამოფენო ცენტრმა „ექსპო-ჯორჯიამ" თურქულ პარტნიორ ფირმა „ტუიაპთან" ერთად 14 ოქტომბერს „ექსპო-ჯორჯიის" პავილიონში გახსნა მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის მეცხრე საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა.**

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრიის, აზერბაიჯანის, გერმანიის, თურქეთის, იტალიის, პოლონეთის, რუსეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჩინეთის და საქართველოს კომპანიები.

46 საგამოფენო სტენდზე იხილავთ წყლის საქაჩ ტუმბოებს, ლითონის მესერებს და დეკორატიულ ნაკეთობებს, გათბობა-კონდიცირებას, წყალმომარაგებას, მოსაპირკეთებელ და სხვა მასალებს.

როგორც „ექსპო-ჯორჯიას" სამშენებლო გამოფენის მენეჯერმა **მაკა კაკულიამ** აღნიშნა, გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც მწარმოებელი, ასევე დისტრიბუტორი და იმპორტიორი კომპანიები. ორი ქართული ქარხანაა, რომელთაგან ერთი მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებს ამზადებს, მეორე ლითონის ნაკეთობების საამქროა, იგი საოჯახო და საოფისე ავეჯს ამზადებს.

გამოფენაზე მოსული სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია აზერბაიჯანული კომპანიის მიერ წარმოდგენილმა აუზმა, იგი სპეციალური იზოლაციითაა გაკეთებული. ეს კი შესაძლებელს ხდის, რომ აუზი ნებისმიერ ადგილას – სახლის სახურავსა თუ საცხოვრებელ კორპუსში დამონტაჟდეს.

აქ წარმოდგენილი იტალიური ნაწარმის ნიმუშებმა: მოსაპირკეთებელმა მასალებმა, მეტალო-შპალერმა და მეტალო-იატაკმა სამშენებლო ფირმების დიდი მოწონება დაიმსახურა. მათგან უკვე საქმიანი წინადადებებიც წამოვიდა.

**– რა პრინციპით მოხდა გამოფენაში მონაწილე ფირმების შერჩევა? –** ვკითხე ქალბატონ მაკას.

– გვაქვს სპეციალურ მონაცემთა ბაზა, რისი მეშვეობითაც დავაგზავნეთ ინფორმაცია და მსურველები თვითონ დაგვიკავშირდნენ. დღეს, მოგეხსენებათ, ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, აქ მონაწილე ფირმებსაც გარკვეული თანხის გადახდა უწევთ. თითოეულ კომპანიას ვთავაზობთ სერვისს, სადაც ოთხი დღის განმავლობაში შეუძლიათ გამოფინონ თავიანთი პროდუქცია, ჩვენის მხრივ ვალდებულებას ვიღებთ, გამოფენისთვის საჭირო ყველა პირობა შევქმნათ და კლიენტურა მოვიზიდოთ, – მითხრა.

გამოფენა 17 ოქტომბერს დაიხურება, ვფიქრობთ, მასში მონაწილე ფირმები კმაყოფილი დარჩებიან და ხელი შეეწყობა ახალი კონტრაქტების დადებას.

**ლელა მანაგლიშვილი.**

ლარის კურსი

**16 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. ლარი | 1 | 3.2971 |
| აშშ დოლარი ლარი | 1 | 1.8350 |
| ევრო ლარი | 1 | 2.2732 |
| რუსული რუბლი ლარი. | 1 | 0.0630 |

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika